

სახელმძღვანელო დოკუმენტი

მართლმსაჯულების
ხელმისაწვდომობის და ქალების
წინაშე არსებული
განსაკუთრებული გამოწვევების
შეფასების ჩარჩო



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE



UN

WOMEN



© 2016 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ყველა უფლება დაცულია.
გამოცემულია ნიუ-იორკში, აშშ

ISBN 978-1-63214-052-4

წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ორგანიზაციის მოსაზრებებს ან ევროპის საბჭოს მოსაზრებებსა თუ ოფიციალურ პოლიტიკას.

გამოცემულია გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მიერ
რედაქტორი: სიდ ქეინი
პროდუქციის კოორდინატორი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია
დიზაინი: Melanie Doherty Design

სახელმძღვანელო დოკუმენტი
მართლმსაჯულების
ხელმისაწვდომობის და
ქალების წინაშე არსებული
განსაკუთრებული
გამონწვევების შეფასების
ჩარჩო



მომზადებულია გაეროს ქალთა
ორგანიზაციის დაკვეთით
ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის
საფუძველზე
ნიუ-იორკი, **2016** წლის ივლისი



მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე ანგარიშის ავტორია ტერესა მარჩიორი, გენდერისა და მართლმსაჯულების კონსულტანტი.

წინამდებარე ანგარიშის მომზადებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და კომენტარებისთვის ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციას, მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტსა და გენდერული თანასწორობის შვეიცარიის ფედერალურ ოფისს.

სარჩევი

აკრონიმები 7

1 შესავალი 8

1.1. კონტექსტი 8

1.1.1.	განსაკუთრებული ყურადღება მართლმსაჯულების სისტემების მიმართ	8
1.1.2.	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა	8
1.1.3.	ხელმისაწვდომობის შეფასება	9
1.1.4.	მართლმსაჯულების განსაკუთრებული მახასიათებლები ქალებთან მიმართებით	9

1.2. განვითარების ახალი ჩარჩო 10

1.2.1.	მდგრადი განვითარების 2015 წლის შემდგომი დღის წესრიგი: ახალი სივრცე მართლმსაჯულებისთვის	10
1.2.2.	CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ	12
1.2.3.	ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით მიღწეული პროგრესის გაზომვა	13

1.3. წინამდებარე ანგარიშის მიზანი და სტრუქტურა 14

2 არსებული ინდიკატორების თავმოყრა და ანალიზი 15

2.1. მეთოდოლოგია 15

2.1.1.	წყაროები	15
2.1.2.	ინდიკატორთა იდენტიფიკაცია და ორგანიზება	17

2.2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორები 19

ცხრილი 2.1.	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები	19
ცხრილი 2.2.	გენდერით მოტივირებული ძალადობა - მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები	56
ცხრილი 2.3.	პოლიცია	70
ცხრილი 2.4.	სახელმწიფო სერვისები	76
ცხრილი 2.5.	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით	77
ცხრილი 2.6.	გარდამავალ სახელმწიფოებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორების შეზიუ, მონოდეტულია 97+ ქვეყნების მიერ 18	86
ცხრილი 1.	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები, რომელიც ეყენებს და/ან ეყრდნობა სახელმწიფო ორგანოების მიერ შეგროვებულ მონაცემებს	89

2.3. ხარვეზები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების არსებულ ინსტრუმენტებში 93

2.3.1.	ფოკუსირება მიწოდების მხარეზე და ჩადებული რესურსების აღმნიშვნელ ინდიკატორებზე	93
2.3.2.	ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერები და სამართლებრივი საჭიროებები	93

2.3.3.	უფლებების, დაცვის საშუალებების, ინსტიტუტების შესახებ ცნობიერება და სამართლებრივი ცოდნა	94
--------	--	----

2.3.4.	მართლმსაჯულების შედეგები	94
--------	--------------------------	----

2.4. გენდერის ინტეგრაცია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორებში - დეტალიზებული და გენდერულად სენსიტიური მონაცემთა ანალიზის ნაკლებობა 94

2.4.1.	გეოგრაფიული და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა	95
--------	--	----

2.4.2.	სამართლებრივ კონსულტაციაზე, წარმომადგენლობასა და იურიდიულ დახმარებაზე წვდომა	95
--------	--	----

2.4.3.	გენდერული ტრენინგი სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის	96
--------	---	----

2.4.4.	სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები - პარადიგმის ცვლა მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში	96
--------	--	----

ცხრილი 2.	ტენდენციები და ხარვეზები გამოყენებულ ინდიკატორებში და/ან იმ ინდიკატორებში, რომელიც სახელმწიფო ორგანოების მიერ შეგროვებულ მონაცემებს ეყრდნობა	97
-----------	--	----

3 შემოთავაზებული ინდიკატორები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის, მათ შორის, იმ გამოწვევების შესაფასებლად, რომელიც ქალებზე ახდენს გავლენას 99

3.1. მიზანი და მეთოდოლოგია 99

3.1.1.	მიზანი	99
--------	--------	----

3.1.2.	სტრუქტურა	100
--------	-----------	-----

3.1.3.	არასახელმწიფო მართლმსაჯულების შეფასება	101
--------	--	-----

3.1.4.	ინდიკატორების შერჩევა	101
--------	-----------------------	-----

3.2. შემოთავაზებული ინდიკატორების კალათა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, მათ შორის იმ სპეციფიური გამოწვევების შესაფასებლად, რომელსაც ქალები აწყდებიან 103

3.2.1.	ხელსაყრელი გარემო	103
--------	-------------------	-----

3.2.2.	მიწოდების მხარე	107
--------	-----------------	-----

3.2.3.	მოთხოვნის მხარე	116
--------	-----------------	-----

დანართი: ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის იმედისმომცემი მიდგომები 33 122

ბიბლიოგრაფია 128

განმარტებები და შენიშვნები 131

აკრონიმები

CEDAW:	ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია
CEPEJ:	მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია
CEVI:	ბელემ დო პარას კონვენციაზე ზედამხედველობის მექანიზმის ექსპერტთა კომიტეტი
DEMI:	Defensoría de la Mujer Indígena (მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების იურიდიული დახმარების ოფისი)
DHS:	დემოგრაფიული და ჯანდაცვის კვლევები
ECLAC:	ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ეკონომიკური კომისია
EIGE:	გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი
FRA:	ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო
GLSS:	განას ცხოვრების სტანდარტების გამოკითხვა
GREVIO:	ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (სტამბულის კონვენცია)
LSMS:	ცხოვრების სტანდარტების შეფასების კვლევა
MESECVI:	ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის (ბელემ დო პარას კონვენცია) ზედამხედველობის მექანიზმი
MDGs:	ათასწლეულის განვითარების მიზნები
NGO:	არასამთავრობო ორგანიზაცია
OAS:	ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია
OEA:	Organización de los Estados Americanos
OECD:	ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია
PEKKA:	Pemberdaayan Perempuan Kepala Keluarga (პროგრამა იმ ოჯახების გასაძლიერებლად, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ)
SDGs:	მდგრადი განვითარების მიზნები
SIEH:	Sistema Integrado de Encuestas de Hogares (ინტეგრირებული საოჯახო კვლევის სისტემა)
SIGI:	სოციალური ინსტიტუტები და გენდერული ინდექსი
UNDP:	გაეროს განვითარების პროგრამა
UNDOC:	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო
UNROLI:	გაეროს კანონის უზენაესობის ინდიკატორები
USAID:	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WBL:	ქალები, ბიზნესი და კანონი
WJP:	მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი

შესავალი

1.1.

კონტექსტი

1.1.1. განსაკუთრებული ყურადღება მართლმსაჯულების სისტემების მიმართ

ბოლო წლებია საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მართლმსაჯულების სისტემების გაუმჯობესებას სხვადასხვა ქვეყნებში. სამართლებრივი ჩარჩოებისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტების გაძლიერება კორუფციასთან ბრძოლის, ინვესტიციების მოზიდვის, უთანასწორობის აღმოფხვრის, უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და რესურსებზე წვდომის გაფართოების მიზნით სულ უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და საერთაშორისო აქტორებისთვის. მართლმსაჯულების სექტორის მიმართ ყურადღებისა და ინტერვენციების ზრდამ გამოიწვია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად ეფექტიანი ინსტიტუტების არსებობის საჭიროება, რათა მოხდეს იმ ძირითადი ელემენტების იდენტიფიცირება, რომელიც გავლენას ახდენს მართლმსაჯულების მექანიზმის მუშაობაზე. კვლევითმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმ ინდიკატორების შემუშავებაში, რომელიც მართლმსაჯულების სისტემების სხვადასხვა ასპექტის შესაფასებლად გამოიყენება. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და საერთაშორისო პარტნიორები ამჟამად არსებულ ინდიკატორებს იყენებენ მართლმსაჯულების სისტემების შესაფასებლად, კონკრეტული ამოცანებისა და მიზნების კუთხით მიღწეული პროგრესის მონიტორინგისთვის და, ასევე, იმ სტანდარტების დასადგენად, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონის უზენაესობის დაცვის შეფასებისა და შესაბამისი ტენდენციების დოკუმენტირების შესაძლებლობას იძლევა.

1.1.2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმისა და განმტკიცების პროცესის მიმართ მზარდი ინტერესისა და ჩართულობის კონტექსტში, განვითარების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის

მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა მოქალაქეთა მიერ მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომა, რათა მათ შეძლონ თავიანთი მოთხოვნის სამართლებრივი დაკმაყოფილება და კონფლიქტების გადაჭრა.

იმ ფართო განმარტების თანახმად, რომელსაც წინამდებარე ანგარიში იყენებს, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ გასაჩივრებისა და თავიანთი უფლებების დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობა. ეს ელემენტები მოიცავს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს ფართო და თანასწორი უფლებებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი ცნობიერებისა და ცოდნის არსებობას; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამართლებრივი კონსულტაციისა და წარმომადგენლობის არსებობას; დავების მოგვარების ისეთი მექანიზმის არსებობას, რომელიც არის ხელმისაწვდომი (მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისით), დროული, ეფექტიანი, ქმედითი, მიუკერძოებელი, კორუფციისგან თავისუფალი და სანდო, და რომელიც იყენებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის ნებსებას და პროცედურებს; და სასამართლოს გადანაცვლებების აღსრულებისათვის საჭირო ეფექტიანი და მიუკერძოებელი მექანიზმების არსებობას.¹ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაში, რომელსაც წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა, მართლმსაჯულებაზე წვდომას, ასევე, უწოდებენ "ვალდებულების მქონე აქტორის" (ე.ი. უწყებები, რომელთაც აქვთ მართლმსაჯულების უზრუნველყოფის უფლებამოსილება და მოვალეობა) შესაძლებლობას, უზრუნველყოს წვდომა, და "უფლებების მქონე პირთა" (ე.ი. პირები, რომელთაც ენიჭებათ მართლმსაჯულების ძიებისა და ემოციების უფლება) შესაძლებლობას, განახორციელონ თავიანთი უფლებები მართლმსაჯულების სერვისებზე წვდომის გზით.²

1.1.3. ხელმისაწვდომობის შეფასება

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არაერთი კვლევისა თუ შეფასების მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენს. შემუშავდა და განხორციელდა ინდიკატორები პროგრესის მონიტორინგისა და მონაცემების შეგროვების მიზნით, იმ ელემენტების შესახებ, რომლებიც აფერხებს და ხელს უწყობს მოქალაქეთა მიერ მართლმსაჯულების სისტემებზე წვდომის შესაძლებლობას. არაერთი ინდიკატორი ითვალისწინებს "ინსტიტუციური საქმიანობისა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის შეფასების მექანიზმებს, მომხმარებელთა

გამოცდილებისა და აღქმის კვლევებს, ფართო ინდექსებსა და ინდიკატორთა “კალათებს”, რომელთა მიზანია სხვადასხვა კონცეფციის თავმოყრა” (Berg and Desai 2013). ინდიკატორები, შესაძლოა, შეეხებოდეს მართლმსაჯულების განმახორციელებელთა (ე.ი. დაწესებულებები და პირები, რომლებიც მართლმსაჯულების სერვისებს უზრუნველყოფენ) ან მოთხოვნის მხარის (ე.ი. ამ სერვისების სავარაუდო მომხმარებლები) ელემენტებს.

1.1.4. მართლმსაჯულების განსაკუთრებული მახასიათებლები ქალებთან მიმართებით

ქალთა და მამაკაცთა კანონის წინაშე თანასწორობისა და დავების გადაჭრის მექანიზმებზე თანაბარი წვდომის უფლებას იცავს არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც მართლმსაჯულებაზე წვდომა ადამიანის საყოველთაო უფლებას წარმოადგენს, ხოლო წვდომის ხარისხი უნდა შეფასდეს იმგვარად, რაც უზრუნველყოფს გენდერულად სპეციფიური გამოცდილებების გათვალისწინებას.³

აღნიშნულ კონტექსტში, სხვადასხვა საერთაშორისო აქტორების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები⁴ - მათ შორის, გაერო, მსოფლიოს ბანკი, ევროპის საბჭო და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი - ხაზს უსვამს იმ უნიკალურ გამოწვევას, რომელსაც მართლმსაჯულების მაძიებელი ქალები აწყდებიან და ამ გამოწვევების შეფასების მნიშვნელობას. ამ კვლევებსა თუ ანგარიშებში პრობლემის სახით აღნიშნულია იმ მონაცემების ნაკლებობა, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომა და წარმატებული ღონისძიებების დოკუმენტირება. ეს პრობლემა საჭიროებს განსაკუთრებულ და დაუყოვნებელ ყურადღებას. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებასთან კავშირში გაიზარდა მართლმსაჯულებაზე წვდომის მნიშვნელობა, კანონისა და მართლმსაჯულების კუთხით ქალთა გამოცდილების - როგორც მომხმარებლების, ისე პროვაიდერების - სპეციფიკა სტატისტიკური მტკიცებულებით ნაკლებად არის დოკუმენტირებული.⁵

მიუხედავად ამისა, ფართოდ არის აღიარებული ის ფაქტი, რომ საშუალოდ, ქალებისათვის უფრო რთულია მოიპოვონ წვდომა ისეთ ინსტიტუციურ სივრცეებზე, სადაც შეძლებენ თავიანთი უფლებების დაცვასა და მოლაპარაკებების წარმოებას, ხოლო თავიანთ საჩივრებთან დაკავშირებით სამართლიანი შედეგის მიღწევას. არაერთი ბარიერი, რომელიც მართლმსაჯულებაზე წვდომას ბლუდავს, გენდერის გარდა სხვა მრავალი ფაქტორისგან მომდინარეობს (მაგალითად, სიღარიბე, განათლების ნაკლებობა, სახელმწიფო ენის

არცოდნა, სამართლებრივი ცოდნისა და ცნობიერების ნაკლებობა), თუმცა, ეს ფაქტორები ქალებზე უფრო ახდენენ გავლენას, ვიდრე მამაკაცებზე. მართლაც, სოციალური და ინსტიტუციური ბარიერების კომბინაცია ამწვავებს იმ სირთულეებს, რომელთაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით - შემოსავლის დონის, განათლების დონისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით - რაც სამართლებრივი საშუალებებისთვის მიმართვის მაღალ ბარიერებსა და სამართლებრივი შედეგის გარეშე დარჩენილ საქმეთა მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს. შედეგად, ქალები უფრო მონყვლადები არიან სამართლებრივი პროცესების დროს. ამასთან, ისეთი ბარიერები, როგორცაა დისკრიმინაციული კანონები და სოციალური სტიგმა, გენდერულად სპეციფიურია და მნიშვნელოვნად ზრდის ხელმისაწვდომობის სხვაობას.

1.2.

განვითარების ახალი ჩარჩო

1.2.1. მდგრადი განვითარების 2015 წლის შემდგომი დღის წესრიგი:

ახალი სივრცე მართლმსაჯულებისთვის

2015 წლის 25 სექტემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 70/1 რეზოლუცია, სახელწოდებით: “ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის”. რეზოლუცია შეიცავს საერთო შეთანხმების საფუძველზე შემუშავებულ მდგრადი განვითარების 17 მიზანს (SDGs) და 169 ამოცანას. აღნიშნული ქმნის მდგრადი განვითარების ახალ ჩარჩოს, რომელსაც ნევრი სახელმწიფოები, აღებული ვალდებულების თანახმად, 2030 წლამდე განახორციელებენ.

ახალი ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს გასული ათწლეულის მანძილზე ნასწავლ გაკვეთილებს, მათ შორის ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) იმპლემენტაციის პროცესს, ეფუძნება იმის აღიარებას, რომ მხოლოდ მშვიდობიან და სამართლიან საზოგადოებებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში, ხოლო მართლმსაჯულების ფუნქციონირებადი და ხელმისაწვდომი სისტემა განვითარების, როგორც ასეთის, აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. სწორედ იგი იძლევა განვითარების სხვა მიზნების განხორციელების შესაძლებლობას.

საყოველთაო მართლმსაჯულების მიღწევას განვითარების ახალ დღის წესრიგში პრიორიტეტული ადგილი უკავია, ხოლო მართლმსაჯულებაზე წვდომამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ასევე, წინა ხაზზე წამოიწია გენდერულმა თანასწორობამ და ქალთა გაძლიერებამ. კერძოდ, 70/1 რეზოლუციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ “[მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა] მიზნად ისახავს ყველა ადამიანის უფლებების

რელიზებას და გენდერული თანასწორობისა და ქალებისა და გოგოების გაძლიერების მიღწევას.⁶ მდგრადი განვითარების 16, 5 და 17 მიზნები განსაკუთრებით რელევანტურია წინამდებარე კვლევისთვის. მე-16 მიზანი ითვალისწინებს შემდეგ ვალდებულებას: “მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე”. კერძოდ, ამოცანა 16.3 ყურადღებას ამახვილებს “ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის ხელშეწყობაზე” და “ყველასათვის მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის” უზრუნველყოფაზე. ამოცანები 16.5, 16.6 და 16.7 ემსახურება ინსტიტუტების ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზანს და ითვალისწინებს “კორუფციის შემცირებას” (16.5), “ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების ჩამოყალიბებას ყველა დონეზე” (16.6) და “რეაქტიული, ინკლუზიური, მონაწილეობითი და წარმომადგენლობითი გადანაცვლების მიღების პროცესის შექმნას ყველა დონეზე” (16.7). ადამიანების მიერ თავიანთი უფლებებისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის მოთხოვნის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სამართლებრივი იდენტობის უზრუნველყოფა, დაბადების რეგისტრაციის ჩათვლით, როგორც ეს 16.9 ამოცანით არის გათვალისწინებული. დაბოლოს, ამოცანა 16.6 ყურადღებას ამახვილებს მდგრადი განვითარებისთვის არადისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის ხელშეწყობასა და აღსრულებაზე. 57-ე მიზანი ითვალისწინებს ამოცანებს, რომელიც შეეხება გენდერული თანასწორობისა და გოგოებისა და ქალების გაძლიერების სხვადასხვა ასპექტებს, რომელიც მკაფიოდ უკავშირდება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას - მაგალითად, ქალებისა და ბავშვების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთა (ამოცანა 5.1); ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღკვეთა (5.2); ქალთა მონაწილეობისა და ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა გადანაცვლების მიღების, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე (5.5); რეფორმების განხორციელება ქალებისათვის ეკონომიკურ რესურსებზე, ქონებაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, მემკვიდრეობასა და ბუნებრივ რესურსებზე თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად (5.ა); დაბოლოს, მყარი პოლიტიკისა და აღსრულებადი კანონმდებლობის მიღება და განმტკიცება გენდერული თანასწორობისა და ყველა დონეზე ქალებისა და გოგოების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით (5.გ).

ახალი ჩარჩო ასევე ხაზს უსვამს თითოეული მიზნისა და ამოცანის შესრულების მიზნით განხორციელებული პროგრესის მონიტორინგისათვის ეფექტიანი, გაზომვადი და ტექნიკურად გამართული ინდიკატორის შექმნას, ისევე, როგორც “სანდო და დროულად დამუშავებული მონაცემების” შეგროვებას, მონაცემთა ახალი და არატრადიციული წყაროების გამოყენებით (UN 2014); ამავდროულად, “მონაცემთა ფართო და სისტემურ დეტალიზებას” ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს უთანასწორობების გამოსავლენად და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინტერვენციების განსახორციელებლად, რომელიც რეალურად პასუხობს ყველაზე მოწყვლადი ადამიანების საჭიროებებს (High-Level Panel of Eminent Persons on the Post-2015 Development Agenda 2013). მე-17 მიზანი ადგენს დღის წესრიგის განხორციელების საშუალებებს და აღნიშნულ ელემენტებს 17.18 ამოცანაში ასახავს, რომლის თანახმადაც, “შემოსავლის, გენდერის, ასაკის ... და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით სხვა რელევანტური ნიშან-თვისების მიხედვით ჩაშლილი მაღალი ხარისხის, დროულად დამუშავებული და სანდო მონაცემების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით” აუცილებელია განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების გაუმჯობესება. დაბოლოს, 17.19 ამოცანა საერთაშორისო საზოგადოებას ავალდებულებს, “არსებულ ინიციატივებზე დაყრდნობით შექმნას მდგრადი განვითარების კუთხით განხორციელებული პროგრესის გაზომვის საშუალებები.”

1.2.2. CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ

განვითარების ახალ დღის წესრიგში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას კიდევ უფრო განამტკიცებს CEDAW კომიტეტის 33-ე რეკომენდაცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობაზე. აღნიშნულ რეკომენდაციაში კომიტეტი ახდენს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ექვსი აუცილებელი კომპონენტის იდენტიფიცირებას (CEDAW Committee 2015: 5-6):

უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, ე.ი. ქალთა შეუფერხებელი შესაძლებლობა, ჰქონდეთ წვდომა მართლმსაჯულებაზე და მოითხოვონ მათი CEDAW კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა;

ხელმისაწვდომობა, რომელიც მოიცავს სასამართლოებისა და კვაზი-სასამართლო ორგანოების არსებობას ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის, სოფლად და შორეულ ადგილებში; ფიზიკური ხელმისაწვდომობა, რომლის

თანხმადაც მართლმსაჯულების ყველა სისტემა უნდა იყოს ქალებისათვის უსაფრთხო, ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი და ქალების საჭიროებებზე ადაპტირებული და შესაფერისი;

კარგი ხარისხი, რაც გულისხმობს ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა, კომპეტენტურობა, ქმედითობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და დროულობა;

ეფექტიანი და ქმედითი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა;

მართლმსაჯულების სისტემ(ებ)ის ანგარიშვალდებულება.

ალანინიშნავია, რომ მონაცემთა შეგროვება და ინდიკატორების გამოყენება CEDAW-ს მიერ ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულ ზომებს შორის შედის. კერძოდ, ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად, კომიტეტი სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, შეაგროვონ მონაცემები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის, დავების გადაჭრის მექანიზმებზე, ადვოკატების რაოდენობასა და მათ გეოგრაფიულ განაწილებაზე; სასამართლო და კვაზი-სასამართლო ორგანოებში მომუშავე სპეციალისტების რაოდენობაზე და გენდერულ შემადგენლობაზე; და სასამართლო და კვაზი-სასამართლო ორგანოებში შეტანილი და მათ მიერ განხილული საქმეების ბუნების, რაოდენობის, ხანგრძლივობისა და შედეგების შესახებ. ყველა ეს მონაცემი გენდერის მიხედვით უნდა იყოს ჩაშლილი. ასევე რეკომენდირებულია ხარისხობრივი კვლევებისა და კრიტიკული გენდერული ანალიზის განხორციელება იმ ფაქტორების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც აბრკოლებს ან ხელს უწყობს მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობას, და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებელი პოლიტიკის შესამუშავებლად (ibid: 10). დაბოლოს, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად შესაბამისი ინდიკატორების შექმნა ხაზგასმით არის აღნიშნული კომიტეტის რეკომენდაციებში მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ (ibid: 8).

1.2.3. ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით მიღწეული პროგრესის გაზომვა

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს რეაგირების კუთხით მიღწეული პროგრესის მონიტორინგის მიზნით, ასევე, შემუშავდა შეფასებისა და გაზომვის ინსტრუმენტები. ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციამ "ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის (ბელემ დო პარას

კონვენცია) ზედამხედველობის მექანიზმის საშუალებით (MESECVI), ცოტა ხნის წინ შეიმუშავა ინდიკატორები, რომლის საფუძველზეც განხორციელდება წევრი სახელმწიფოების პროგრესის მონიტორინგი კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით. ინდიკატორები მოიცავს: სტრუქტურულ ინდიკატორებს, რომელიც აფასებს კონვენციის შესაბამისად ქალთა უფლებების პრაქტიკაში განხორციელებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების არსებობას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს "შიდასახელმწიფოებრივ კანონებს, რომელიც ეხება ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების უფლებაზე და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომელიც ხელს უწყობს და აღასრულებს ამ კანონებს" (OAS 2013: 7); პროცესის ინდიკატორებს, რომელიც ზომავს იმას, თუ რამდენად ხელს უწყობს პოლიტიკა, გეგმები და სტრატეგიები კონკრეტული უფლებების რეალიზებას, კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად; და შედეგის ინდიკატორები, რომელიც "მიზნად ისახავს ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტრატეგიების, პროგრამებისა და ინტერვენციების რეალური შედეგების გაზომვას" (ibid.). აღნიშნულ ინდიკატორებს გამოიყენებენ ბელემ დო პარას კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით განხორციელებული პროგრესის მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნით.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია) ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს. იგი ითვალისწინებს მონიტორინგის პროცედურებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისა და მისი დებულებების იმპლემენტაციის კუთხით სახელმწიფო მხარეთა პროგრესის შესაფასებლად. ამ მიზნით შექმნილია დამოუკიდებელი ექსპერტთა ორგანო - "ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ" (GREVIO). კონვენცია სახელმწიფო მხარეებს აკისრებს კვლევისა და მონაცემთა შეგროვების ვალდებულებებს, კერძოდ, მე-11 მუხლის თანახმად, სახელმწიფო მხარეები ვალდებულია იღებენ, რომ " რეგულარულად შეაგროვებენ შესაბამის დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით" და ეცდებიან "რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები" (Council of Europe, 2016). ამასთან, სახელმწიფოები ვალდებული არიან, GREVIO-ს გარკვეული პერიოდულობით წარუდგინონ ანგარიშები კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით მიღწეული პროგრესის შესახებ. ეს ანგარიშები უნდა შეიცავდეს კონვენციით გათვალისწინებულ სფეროებში შეგროვებულ მონაცემებს.8

1.3.

წინამდებარე ანგარიშის მიზანი და სტრუქტურა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორების შესახებ არსებული დისკურსის კიდევ უფრო განვითარებას მონაცემთა შეგროვების არსებული ძალისხმევისა და შეფასების ინსტრუმენტების თავმოყრის და ახალი ინდიკატორების შემოთავაზების გზით, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციები გამოიყენებენ მართლმსაჯულების სისტემების საყოველთაო ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელ იმ ბარიერებს, რომელთაც ქალები აწყდებიან.

ანგარიშის დანარჩენი ნაწილი ორი თავისგან შედგება - მეორე თავი თავს უყრის და ანალიზებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის არსებულ ინდიკატორებს. მის პირველ ნაწილში გაცნობით ინფორმაციას ინდიკატორთა თავმოყრისა და ანალიზის მიზნით გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ; მეორე ნაწილში წარმოდგენილია ცხრილები, რომელიც შეიცავს წინასწარ შერჩეული წყაროებიდან ამოკრეფილ მართლმსაჯულებაზე

ხელმისაწვდომობის ინდიკატორებს; მესამე სექცია ანალიზებს არსებული ინდიკატორების ხარვეზებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის იმ სფეროებს, რომელიც დამატებით შესწავლას საჭიროებს; მე-4 ნაწილი ფოკუსირებას ახდენს იმ მიდგომებზე, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების იდენტიფიცირებისა და ქალთა საჭიროებებზე რეაგირების კუთხით.

დაბოლოს, მე-3 თავში წარმოდგენილია ინდიკატორთა "ქალთა", რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის იმ კონკრეტული ასპექტების მოცვა, რომელიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებზე. ასევე, შესაძლებელია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გენდერული სხვაობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მაძიებელი ქალების დამაბრკოლებელი ბარიერების მოცვა. მე-3 თავის პირველი ნაწილი განმარტავს ინდიკატორების შერჩევის პროცესში გამოყენებულ მეთოდოლოგიას, ხოლო მე-2 თავში წარმოდგენილია ინდიკატორთა ჩამონათვალი. იგი, ასევე, მიმოიხილავს იმ მიზეზებს, რის გამოც მოხდა ამ კონკრეტული ინდიკატორების შერჩევა.

2

და არსებული ინდიკატორების თავმოყრა ნაღიზი

2.1 მეთოდოლოგია

2.1.1. წყაროები

წინამდებარე ანგარიში თავს უყრის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შეფასების არსებულ ინდიკატორებს, ახდენს მათ შეჯამებას და იკვლევს, თუ რომელ ინდიკატორებს იყენებენ ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ორგანოები.

ამ მიზნით ჩატარდა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორთა არსებული წყაროების სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა წყაროებს, მათ შორის: გლობალური ინდიკატორები, რომელიც

გამოიყენება ქვეყნის მიერ კანონის უზენაესობის დაცვის, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების შესაფასებლად; ოჯახებისა და საზოგადოების აზრის კვლევა ეროვნულ დონეზე; ინდიკატორები, რომელთაც იყენებენ ეროვნული სტატისტიკური სამსახურები, სასამართლოს სტატისტიკური ოფისები და საერთაშორისო კონვენციები.

იმის გამო, რომ დღესდღეობით არსებობს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შეფასების არაერთი ინდიკატორი, ხოლო ყველა მათგანის აღრიცხვა არაპრაქტიკულია, ინდიკატორთა კომპლექსური ჩამონათვალის

შემუშავების ნაცვლად წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს ინდიკატორთა ერთგვარი ნიმუშის შექმნას. შერჩეული წყაროები უზრუნველყოფს ნიმუშში სხვადასხვა სახის ინდიკატორების დაბალანსებულ წარმომადგენლობას, მათ შორის, ინდიკატორებისა, რომელსაც იყენებენ მრავალმხრივი (საერთაშორისო და რეგიონული) ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. მიღებული ნიმუში, მათ შორის ინდიკატორები, რომელიც გამოიყენება და/ან შემუშავებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ (სტატისტიკის ეროვნული სამსახურების საშუალებით ან მათ გარეშე) ასახავს რეგიონულ მრავალფეროვნებას. წინამდებარე ანგარიშის მიზნის გათვალისწინებით, რომლის შინაარსიც ღიაა შესწორებისა და დამატებებისთვის პარტნიორების მხრიდან, თავმოყრილ ინდიკატორებს, შესაძლოა, დაემატოს ახალი წყაროები. ამ მხრივ, მივესალმებით შესაბამის რეკომენდაციებს პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მხრიდან.9

ინდიკატორთა თავმოყრის მიზნით გამოყენებული იქნა შემდეგი წყაროები:

- არასამთავრობო ორგანიზაცია Afrobarometer-ის მიერ ჩატარებული კვლევები;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
- დემოგრაფიული და ჯანდაცვის კვლევები (DHS)
- ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ეკონომიკური კომისია (ECLAC), მისი მონაცემთა ბაზები და სტატისტიკური გამოცემების განყოფილება, CEPALSTAT;
- მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ - ევროპის საბჭო);
- დანაშაულის პრევენციისა და კონტროლის ევროპული ინსტიტუტი, რომელიც დაკავშირებულია გაეროსთან (HEUNI) – დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტატისტიკის ევროპული სახელმძღვანელო, მე-5 გამოცემა;
- ბელემ დო პარას კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმი (MESECVI) – “პროგრესის ინდიკატორები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის, ბელემ დო პარას კონვენციის, იმპლემენტაციის შესაფასებლად”, მიღებულია ექსპერტთა კომიტეტის მიერ (CEVI) 2013 წლის 21 მაისს”;
- ევროკავშირის ფუნდამენტურ

უფლებათა სააგენტო (FRA) – “გამოკითხვა ევროპაში ქალთა კეთილდღეობისა და უსაფრთხოების შესახებ”;

- არასამთავრობო ორგანიზაცია Global Integrity-ის გლობალური ანგარიში;
- მონღოლეთის მთავრობა - “ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა, პროგრესის მეხუთე ეროვნული ანგარიში” (2013);
- სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი – “Annuaire statistique du Cameroun” (2013);
- მართლმსაჯულებათა ხელმისაწვდომობის ეროვნული ცენტრი - მართლმსაჯულების ინდექსი;
- კენიის ეროვნული სტატისტიკის ბიურო - ფაქტები და მონაცემები კენიის შესახებ, 2014 წ.;
- მსოფლიო ბანკი - ცხოვრების სტანდარტების გაზომვის კვლევა;
- სტატისტიკის ცენტრალური სააგენტო, ეთიოპია - 2011/12 სოფლებში სოციო-ეკონომიკური კვლევა;
- განას სტატისტიკური სამსახური - განას საცხოვრებელი სტანდარტების კვლევა, მე-6 რაუნდი (2014);
- გვატემალას სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი - საცხოვრებელი პირობების ეროვნული კვლევა (2000);
- აღმოსავლეთ ტიმორის სტატისტიკის ეროვნული დირექტორატი - აღმოსავლეთ ტიმორის საცხოვრებელი პირობების კვლევა (2007) და აღმოსავლეთ ტიმორის საცხოვრებელი პირობების კვლევის გაგრძელება (2008);
- სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, სერბთა რესპუბლიკის სტატისტიკის ინსტიტუტი, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სტატისტიკის ინსტიტუტის ფედერაცია - საცხოვრებელი სტანდარტების შეფასების კვლევა 2004 (მე-4 ტალღის პანელი);
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) - სოციალური ინსტიტუტების და გენდერული ინდექსი (SIGI);
- გაეროს კანონის უზენაესობის ინდიკატორები (UNROLI);
- გაეროს გენდერული სტატისტიკა;
- მსოფლიო ბანკის გენდერული ინდიკატორები;
- მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის (WJP) ინდიკატორები;
- ქალები, ბიზნესი და კანონი (WBL).

2.1.2. ინდიკატორთა იდენტიფიკაცია და ორგანიზება

იმ ინდიკატორთა გამოსავლენად, რომელიც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას შეეხება განხორციელდა შერჩეული წყაროების შესწავლა. ეს ინდიკატორები, ასევე, მოიცავს ინდიკატორებს, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს გენდერთან დაკავშირებულ საკითხებსა და იმ სპეციფიურ ბარიერებზე, რომელიც ზღუდავს ქალების ხელმისაწვდომობას. ყველა ეს ინდიკატორი წარმოდგენილია 2.1.-2.5 ცხრილებში.

2.1. ცხრილში წარმოდგენილია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორები, რომლებიც თემატურად არის დაჯგუფებული იმ 15 განზომილების ქვეშ, რომელიც ასახავს მართლმსაჯულების პროცესის მიმდინარეობასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ფართო მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს არსებით უფლებებს სასამართლოების ფიზიკურ, ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ხელმისაწვდომობასთან, პროცესების სამართლიანობასთან და ეფექტიანობასთან, ანგარიშვალდებულობასთან, გამჭვირვალობასთან და სასამართლო ინსტიტუტებში კორუფციის არარსებობასთან დაკავშირებით.

ეს განზომილებებია:

- უფლებები;
- სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა;
- სამართლებრივი ცნობიერება და ცოდნა/სამართლისა და მართლმსაჯულების სისტემის შესახებ მოსაზრებები და აღქმები;
- ის ძირითადი განსჯადი საკითხები, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქეებზე/განხორციელებული ქმედებები/შედეგები/სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჩართულობა;
- მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ ნდობა/კმაყოფილება;
- მართლმსაჯულების ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა;
- პროცედურები;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- სასამართლოს დამოუკიდებლობა;
- კორუფცია;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება;
- მართლმსაჯულების სისტემის შესაძლებლობები;
- სპეციალური სასამართლოები და პროცედურები; დავების ალტერნატიული მოგვარების გზები.

ცხრილებში წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია ინდიკატორების შესახებ:

- დანესებულება, რომელმაც შეიმუშავა/რომელიც იყენებს ამ ინდიკატორს: ორგანიზაცია ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელმაც შეიმუშავა ინდიკატორი და/ან იყენებს მას მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის

შესაფასებლად;

- მონაცემთა წყაროები: მონაცემები, რომელსაც ეყრდნობა თითოეული ინდიკატორი, მათ შორის, ობიექტური მონაცემები (როგორიცაა ადმინისტრაციული და სავლელ მონაცემები და დოკუმენტების მიმოხილვა) და სუბიექტური მონაცემები (როგორიცაა ოჯახებისა და საზოგადოების განწყობების კვლევა, ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუები და გამოკითხვები);

- მართლმსაჯულების კონკრეტული სექტორი, რომელსაც ინდიკატორი ფარავს: ინდიკატორი ფარავს თუ არა სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, საკონსტიტუციო სასამართლოებსა და კანონებს, ან მთლიანად მართლმსაჯულების სისტემას;

- რამდენად აღწერს და/ან აფასებს ინდიკატორი მართლმსაჯულების სისტემაში ჩადებულ რესურსებს, შუალედურ და საბოლოო შედეგებს. ჩადებული რესურსები გულისხმობს ელემენტებს, რომელიც მართლმსაჯულების სისტემას ფუნქციონირებისა და სერვისების უზრუნველყოფის შესაძლებლობას აძლევს (მაგალითად, ადამიანური და მატერიალური რესურსები, კანონები, რეგულაციები, პროცედურები, მექანიზმები და ინსტიტუტები); შუალედური შედეგები გულისხმობს მართლმსაჯულების სისტემის მიერ მოკლე ვადებში უზრუნველყოფილ შედეგებსა და სერვისებს (მაგალითად, სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა ან იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციართა რაოდენობა); ხოლო გრძელვადიანი შედეგები კი აღნიშნავს მართლმსაჯულების სერვისების საბოლოო შედეგებს, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელთა განწყობებს და მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობას (მაგალითად, საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და მართლმსაჯულების განხორციელების საერთო ღირებულება); მართლმსაჯულების სისტემის რომელ მხარეს აღწერს/აფასებს ინდიკატორი - მიწოდების თუ მოთხოვნის: "მოთხოვნის მხარე" გულისხმობს იმ ბენეფიციარებს, ვისთვისაც არის განკუთვნილი მართლმსაჯულების სერვისები. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაში, მოთხოვნის მხარე აღნიშნავს "უფლებების მქონე პირებს" (ე.ი. სრულიად მოქალაქეები , მიუხედავად იმისა, ჰქონიათ თუ არა მათ შეხება მართლმსაჯულების სისტემასთან), ხოლო "მიწოდების მხარე" გულისხმობს კანონებსა და რეგულაციებს, მექანიზმებსა და ინსტიტუტებს, რომლისგანაც შედგება მართლმსაჯულების მანქანა.

2.2. ცხრილში წარმოდგენილია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები გენდერთი მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით; 2.3. ცხრილი ფოკუსირებას ახდენს პოლიციაზე, ხოლო 2.4. ცხრილი კი სახელმწიფო სერვისებზე. დაბოლოს, 2.5. ცხრილში ჩამოთვლილია ის ინდიკატორები, მათ შორის წინამორბედი ცხრილებიდან, რომელიც ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებას ეყრდნობა.

2.2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების არსებული ინდიკატორები

ფერების განმარტება: ინდიკატორები, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულებაზე წვდომის გენდერთან დაკავშირებულ ელემენტებზე

ინდიკატორები, რომელიც ეყრდნობა ადმინისტრაციულ მონაცემებს

ცხრილი 2.1. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	მონაცემთა წყარო	საკონსტიტუციო / სისხლის / სამოქალაქო სამართალი	ჩადებული რეზურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე
უფლებები					
საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია					
ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კონვენციებთან	მონღოლეთის მთავრობა - "ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა, მესამე ეროვნული პროგრესის ანგარიში". მონაცემთა ანალიზი სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ - სიღარიბისა და MDG მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული სისტემა (მონღოლეთის მთავრობის MDG პროგრესის ანგარიში)	ექსპერტთა შეფასება	საკონსტიტუციო/სამოქალაქო/სისხლის სამართლებრივი/ადმინისტრაციული	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
ამ კატეგორიაში დამატებითი ინდიკატორებისთვის, იხ. ცხრილი 2.2. (გენდერთი მოტივირებული ძალადობის ინდიკატორები)					
საკონსტიტუციო უფლებები					
არსებობს კონსტიტუციაში დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულება?	ქალები, ბიზნესი და კანონი (WBL)	ექსპერტთა გამოკითხვა/დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რეზურსები	ჩადებული რეზურსები
არსებობს კონსტიტუციაში დებულება, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას და მიუთითებს თუ არა იგი პირდაპირ გენდერზე?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რეზურსები	ჩადებული რეზურსები
კონსტიტუცია იცავს კანონის წინაშე თანასწორობას?	WBL	დოკუმენტები ს მიმოხილვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რეზურსები	ჩადებული რეზურსები

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	მონაცემთა წყარო	საკონსტიტუციო / სისხლის / სამოქალაქო სამართალი	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის ძეგასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე
კონსტიტუცია აღიარებს ჩვეულებით სამართალს, როგორც სამართლის წყაროს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
თუ ჩვეულებითი სამართალი სამართლის წყაროა, მიიჩნევა თუ არა იგი ძალადაკარგულად იმ შემთხვევაში, თუ არღვევს კონსტიტუციის დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის ან თანასწორობის შესახებ?	WBL	დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
კონსტიტუცია აღიარებს კონკრეტულ პირებზე მიმართულ კანონებს, როგორც კანონის წყაროს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
თუ კონკრეტულ პირებზე მიმართული კანონი სამართლის წყაროა, მიიჩნევა თუ არა იგი ძალადაკარგულად იმ შემთხვევაში, თუ არღვევს კონსტიტუციის დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის ან თანასწორობის შესახებ?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ეროვნული კანონები და რეგულაციები					
სამართლებრივი იდენტობა/მოქალაქეობა					
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია, მოითხოვოს ID ბარათი ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია მოითხოვოს პასპორტი ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია საკუთარი ბავშვებისთვის მოქალაქეობის მიცემა, ისევე როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო/ სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია უცხოელი მეუღლისთვის მოქალაქეობის მიცემა, ისევე როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო/ სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია, რომ იყოს "ოჯახის უფროსი" ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო/ სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ქორწინება - სამართალში					
მინიმალური საქორწინო ასაკი - ქალსა და მამაკაცს აქვს თუ არა ერთი და იგივე მინიმალური საქორწინო ასაკი	OECD SIGI	ქვეყნების შესახებ ინფორმაცია ¹⁰	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მშობლების უფლებები ქორწინებაში - ქალსა და მამაკაცს აქვს თუ არა თანაბარი უფლება იყვნენ შვილის კანონიერი მემკვიდრე ქორწინებისას	OECD SIGI	ქვეყნების შესახებ ინფორმაცია ¹⁰	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მშობლების უფლებები განქორწინების დროს - ქალსა და მამაკაცს აქვს თუ არა თანაბარი უფლება, იყვნენ შვილის კანონიერი მემკვიდრე და მზრუნველი განქორწინების შემდეგ	OECD SIGI	ქვეყნების შესახებ ინფორმაცია ¹⁰	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	მონაცემთა წყარო	საკონსტიტუციო / სისხლის / სამოქალაქო სამართალი	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე
დაქორწინებულ ქალებს კანონით მოეთხოვებათ, დაემორჩილონ თავიანთ მეუღლეებს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებული წყვილებს სამართლებრივად აქვთ თუ არა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის საერთო პასუხისმგებლობა?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
როგორია ქორწინებაში არსებული საკუთრების არსებული რეჟიმი?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ვინ ახდენს ქონების განკარგვას ქორწინების დროს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
თუ ქონების განკარგვას ქორწინების დროს ახდენს ქმარი, სჭირდება თუ არა მას ცოლის თანხმობა მნიშვნელოვან გარიგებებთან დაკავშირებით?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
არსებობს სპეციალური დებულებები, რომელიც არეგულირებს ოჯახურ საცხოვრებელს და მასთან დაკავშირებულ გარიგებებს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
კანონი ითვალისწინებს ქორწინების დროს არა-ფულადი კონტრიბუციების შეფასებას?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ქორწინება - პრაქტიკაში					
ნაადრევი ქორწინება იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, რომელიც 15-19 წლის ასაკში დაქორწინდა	OECD SIGI	რაოდენობრივი მონაცემების მეორადი წყაროები	სამოქალაქო	შედეგი	-
ქონება - კანონში					
მინაზე უსაფრთხო წვდომა - კანონი უზრუნველყოფს თუ არა ქალისა და მამაკაცისთვის თანასწორ და უსაფრთხო წვდომას მიწის გამოყენების, კონტროლისა და საკუთრების კუთხით	OECD SIGI	SIGI ქვეყნების შესახებ ინფორმაცია	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მიწის გარდა სხვა აქტივებზე უსაფრთხო წვდომა - კანონი უზრუნველყოფს თუ არა ქალისა და მამაკაცისთვის თანასწორ და უსაფრთხო წვდომას მიწის გარდა სხვა აქტივების გამოყენების, კონტროლისა და საკუთრების კუთხით	OECD SIGI	SIGI ქვეყნების შესახებ ინფორმაცია	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებულ ქალებსა და მამაკაცებს საკუთრების თანაბარი უფლებები აქვთ?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტები ს მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ქონება - პრაქტიკაში					
საცხოვრებელი სახლის ან სხვა სახლის/სასოფლო-სამეურნეო ან არა სასოფლო სამეურნეო მიწის ფლობა დამოუკიდებლად ან სხვასთან ერთად	DHS	ოჯახური მეურნეობის გამოკითხვა/ მონაცემები ჩამოლილია გენდერის მიხედვით	სამოქალაქო	-	მოთხოვნის მხარე

□ ინდიკატორები, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულებაზე წვდომის გენდერთან დაკავშირებულ ელემენტებზე

■ ინდიკატორები, რომელიც ეყრდნობა ადმინისტრაციულ მონაცემებს

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	მონაცემთა წყარო	საკონსტიტუციო / სისხლის / სამოქალაქო სამართალი	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე
უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა მფლობელობაში არსებულ სახლთან/სასოფლო ან არასასოფლო მიწასთან დაკავშირებით	DHS	ოჯახური მეურნეობის გამოკითხვა/მონაცემები ჩაშლილია გენდერის მიხედვით	სამოქალაქო	-	მოთხოვნის მხარე
არის თუ არა რესპონდენტის სახელი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტზე	DHS	ოჯახური მეურნეობის გამოკითხვა/მონაცემები ჩაშლილია გენდერის მიხედვით	სამოქალაქო	-	
მემკვიდრეობა					
ქვრივთა მემკვიდრეობის უფლება - ქალ და მამაკაც ქვრივებს ენიჭებათ თუ არა მემკვიდრეობის თანაბარი უფლებები	OECD SIGI	SIGI ქვეყნების შესახებ ინფორმაცია	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
შვილის (გოგო) მემკვიდრეობის უფლება - გოგო და ბიჭ შვილებს ენიჭებათ თუ არა მემკვიდრეობის თანაბარი უფლებები	OECD SIGI	SIGI ქვეყნების შესახებ ინფორმაცია	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
გოგო და ბიჭ შვილებს ენიჭებათ ქონებაზე მემკვიდრეობის თანაბარი უფლებები	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ქალ და მამაკაც ქვრივებს ენიჭებათ ქონებაზე მემკვიდრეობის თანაბარი უფლებები	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
კრედიტზე წვდომა					
ფინანსურ მომსახურებაზე წვდომა - ქალებსა და მამაკაცებს აქვთ თუ არა თანაბარი წვდომა ფინანსურ სერვისებზე	OECD SIGI	SIGI ქვეყნების შესახებ ინფორმაცია	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაუქორწინებელ ქალს შეუძლია საბანკო ანგარიშის გახსნა ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტები ს მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
სამეწარმეო სამართალი					
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტები ს მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია ბიზნესის დარეგისტრირება ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტები ს მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
გადაადგილების თავისუფლება					
საჯარო სივრცეზე წვდომა - კანონმდებლობა ითვალისწინებს შეზღუდვას ქალის გადაადგილების თავისუფლებაზე და საჯარო სივრცეზე წვდომის კუთხით, როგორცაა საცხოვრებელი ადგილის არჩევის, ოჯახისა და მეგობრების მონახულების ან კანსპორტის აღების შესაძლებლობის შეზღუდვა	OECD SIGI	SIGI ქვეყნების შესახებ ინფორმაცია	სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	მონაცემთა წყარო	საკონსტიტუციო / სისხლის / სამოქალაქო სამართალი	ჩადებული რეზურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია ქვეყანაში მოგზაურობა ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია ქვეყნის გარეთ მოგზაურობა ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
დაუქორწინებულ/დაქორწინებულ ქალს შეუძლია საცხოვრებელი ადგილის არჩევა ისე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
შრომის უფლება და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებები					
დაქორწინებულ/დაუქორწინებელ ქალს შეუძლია სამსახურის დაწყება ან პროფესიისა თუ ხელობის დაუფლება ისევე, როგორც მამაკაცს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
მშობლის ბენეფიტები ¹¹ პენსიაზე გასვლა და პენსიის მიღება სამუშაო საათები და ინდუსტრიის შეზღუდვები სამუშაო ადგილას დაცვის გარანტიები	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
იურისდიქცია და პროცესუალური წესები					
კანონი აღიარებს ჩვეულებით სასამართლოებს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო/ სამოქალაქო/სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
კანონის აღიარებს კონკრეტული პირებისთვის განკუთვნილ სასამართლოებს?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	საკონსტიტუციო/ სამოქალაქო/სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
სასამართლოში ქალის ჩვენებას იგივე მტკიცებულებითი წონა ენიჭება, როგორც მამაკაცისას?	WBL	ექსპერტთა გამოკითხვა/ დოკუმენტების მიმოხილვა	სამოქალაქო/სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
გათვალისწინებულია კომპენსაცია დანაშაულის მსხვერპლთათვის? რა სახის დანაშაულებზე? რისგან შედგება კომპენსაცია?	CEPEJ	ქვეყნის შესახებ ანგარიში	სამოქალაქო/სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რეზურსები	მიწოდების მხარე
სამართლებრივი მხარდაჭერის/წარმომადგენლობის/იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა					
რამდენად შეუძლია გადახდისუუნარო ადამიანს სამართლებრივი კონსულტაცია მიიღოს იურისტისგან, იურისტის დამხმარესგან ან იურიდიული დახმარების ცენტრისგან	WJP	სამოქალაქო/ადმინისტრაციული	სამოქალაქო/ადმინისტრაციული	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
რამდენად შესაძლებელია, რომ დაკავებულმა ეჭვმიტანილმა, რომელიც მოითხოვს სამართლებრივ კონსულტაციაზე წვდომას, მიიღოს ადეკვატური სამართლებრივი კონსულტაცია საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატისგან, პოლიციის იზოლაციაში ყოფნისას/წინასწარი პატიმრობისას/პროცესის მიმდინარეობისას?	WJP	სამოქალაქო/ადმინისტრაციული	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ბრალდებულის დაუსწრებლად გამოცხადებული განაჩენების პროცენტული რაოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ქალთა მიმართ ძალადობაზე მართლმსაჯულების სისტემის რეაგირება				
ძალადობის შესახებ კომპეტენტური ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის მიერ მიღებული, გამოძიებული და განხილული (გადანწყვეტილების მიღებით) საჩივრების რაოდენობა	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი/შედეგი	მოთხოვნის/მიწოდების მხარე
ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში გაცემული დამცავი ორდერების პროცენტული რაოდენობა, მოთხოვნილი ორდერების რაოდენობასთან მიმართებით, ჩაშლილი დანაშაულის და/ან შეტყობინებული ძალადობის ტიპის მიხედვით	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
გადანწყვეტილებები და განჩინებები, რომელიც იყენებს ბელემ დო პარას კონვენციას და მასზე მიუთითებს ¹⁵	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
განაჩენების ან განჩინებების რაოდენობა ოჯახში ძალადობის ან ძალადობის სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით (ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, პატრიმონული, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური, პოლიტიკური, სამუშაო ადგილას ძალადობა, სექსუალური შევიწროება, პოლიტიკური შევიწროება, მშობიარობის დროს ქალზე განხორციელებული ძალადობა და ა.შ.), ჩაშლილი სქესის, ასაკის, რასის, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით	MESECVI	სამოქალაქო/ადმინისტრაციული/ სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
იმ გადანწყვეტილებებისა და რეზოლუციების რაოდენობა, რომელიც მსხვერპლთა კომპენსაციას ითვალისწინებს და კომპენსაციის სახეობები	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე	სამიზნე / ინდიკატორი
ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, სხვადასხვა გამოვლინებით და ძალადობის შედეგად ქალთა სიკვდილის შესახებ საგამოძიებო უწყებაში შესული შეტყობინებების პროცენტული რაოდენობა, პროცესის სტატუსის მიხედვით: - კვლევა - ბრალდება - სასამართლო გადაწყვეტილებები - არ დაკმაყოფილდა დაარქივდა	MESECVI	სისხლის სამართლებრივი/ადმინისტრაციული/სამოქალაქო	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
სისხლის სამართლის სასამართლოების მიერ განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (რუტინული ან სპეციალიზებული), სხვადასხვა დანაშაულებთან დაკავშირებით (ქალთა მიმართ ძალადობა, ფემიციდი, ფემიციდის მცდელობა), სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობასთან მიმართებით (რუტინული და სპეციალიზებული)	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ძალადობის მსხვერპლი ქალების კომპენსაციის შესახებ ან ქალთა ძალადობრივი სიკვდილის საქმეებში ირიბი მსხვერპლების შესახებ იმ საქმეების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, რომლის შესახებაც მართლმსაჯულების სისტემის იურისდიქციულ ერთეულებს ჰქონდათ ინფორმაცია.	MESECVI	სამოქალაქო/სისხლის სამართლის	ჩადებული რესურსები	მოთხოვნის მხარე
ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გამოტანილი მსჯავრდებულების წილი შეტყობინებების საერთო რაოდენობაში	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ფემიციდის მსხვერპლთა რაოდენობა ბოლო 12 თვის მანძილზე, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, სიკვდილის მიზეზისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	-	Demand side
ფემიციდთან დაკავშირებით აღძრული და მსჯავრდებით დასრულებული საქმეების წილი აღრიცხული საქმეების საერთო რაოდენობაში, ბოლო 12 თვის მანძილზე	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
იმ დასრულებული საქმეების რაოდენობა, რომელიც შეეხებოდა ძალადობის მსხვერპლ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ, სოფლად მცხოვრებ გოგობებსა და მოზარდებს, სრულწლოვან და ხანდაზმულ ქალებს	MESECVI	სისხლის სამართლებრივი	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება				
სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით აღძრული რამდენი საჩივარი დაკმაყოფილდა და რა ოდენობით კომპენსაცია მიენიჭათ მომჩივნებს (12-თვიან პერიოდში)?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლის სამართლის	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
16სასამართლოებში არსებობს სასამართლოს საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის სისტემა შემდეგ საკითხებზე: - შემოსული საქმეების რაოდენობა? - მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა? - გადადებული საქმეების რაოდენობა? - პროცესის ხანგრძლივობა?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლის სამართლის	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე

ინდიკატორები, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულებაზე წვდომის გენდერთან დაკავშირებულ ელემენტებზე
 ინდიკატორები, რომელიც ეყრდნობა ადმინისტრაციულ მონაცემებს

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე	სამიზნე / ინდიკატორი
17 არსებობს სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოებისა და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ეს დაწესებულება აქვეყნებს თითოეული სასამართლოს ფუნქციონირების შესახებ მონაცემებს ინტერნეტში?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ინდივიდუალურ სასამართლოებს მოეთხოვებათ საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
სასამართლოებში არსებობს სასამართლოს საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის სისტემა შემდეგ საკითხებზე: - შემოსული საქმეების რაოდენობა? - მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა? - გადადებული საქმეების რაოდენობა? - პროცესის ხანგრძლივობა?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ ადმინისტრაციული	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
ახორციელებთ სასამართლო პროცედურების დროს მოცდის პერიოდის მონიტორინგს?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ ადმინისტრაციული	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
არსებობს სასამართლოების ფუნქციონირების შეფასების სისტემა, რომელიც იყენებს შეფასების გეგმას - წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების გეგმას?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ ადმინისტრაციული	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
არსებობს პროკურატურის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა?	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
არსებობს მოსამართლის აცილების მოთხოვნის ეფექტიანი პროცედურა, თუ მხარეს მიაჩნია, რომ მოსამართლე არ არის მიუკერძოებელი?	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობა, ხანგრძლივობასთან და შეუსრულებლობასთან დაკავშირებით	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
მოსამართლეების/პროკურორების/აღსრულების აგენტების წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური საქმეების რაოდენობა (მთლიანი რაოდენობა და გადაცდომის მიხედვით ჩაშლილი), დაკისრებული სანქციების რაოდენობა (მთლიანი რაოდენობა და სანქციების მიხედვით ჩაშლილი)	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ ადმინისტრაციული	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ეფექტიანი აღსრულება				
არსებობს სისტემა, რომელიც აფასებს აღსრულების პროცედურის ხანგრძლივობას: -სამოქალაქო საქმეებში? -ადმინისტრაციულ საქმეებში?	CEPEJ	სამოქალაქო/ადმინისტრაციული	პროცესი	მიწოდების მხარე

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე	სამიზნე / ინდიკატორი
შესაძლებლობები				
ადამიანური რესურსები				
მოსამართლეთა რა პროცენტულ ნაწილს შეადგენენ ქალები	UNROLI	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მოსამართლეთა რა პროცენტულ ნაწილს შეადგენენ ქალები	UNODC	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მოსამართლეთა რა პროცენტულ ნაწილს შეადგენენ ქალები	World Bank Gender Statistics (მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი)	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რა რაოდენობას შეადგენენ ქალები	WBL	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არის თუ არა ქალი	WBL	საკონსტიტუციო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
პროფესიული მოსამართლეების რაოდენობა, გენდერის მიხედვით: -პირველი ინსტანციის სასამართლოებში -მეორე ინსტანციის სასამართლოებში -უზენაეს სასამართლოებში	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
სასამართლოს თავმჯდომარეთა რაოდენობა (პროფესიონალი მოსამართლეები) გენდერის მიხედვით	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
პროფესიონალი მოსამართლეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლოს შემადგენლობაში არ არიან მუდმივად და შესაბამის ანაზღაურებას იღებენ	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
არა-პროფესიონალი მოსამართლეების რაოდენობა, რომლებიც არ იღებენ კომპენსაციას მაგრამ იღებენ ხარჯების ანაზღაურებას	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მოსამართლეს აპარატში მომუშავე არამოსამართლე მოხელეთა რაოდენობა, გენდერის მიხედვით	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
პროკურორების რაოდენობა, გენდერის მიხედვით: -პირველი ინსტანციაში -მეორე ინსტანციაში -უზენაეს სასამართლოში	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მოსამართლეს აპარატში მომუშავე არამოსამართლე მოხელეთა რაოდენობა, გენდერის მიხედვით	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
პროკურატურაში მომუშავე მოხელეების რაოდენობა (რომლებიც პროკურორებს არ წარმოადგენენ)	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
პირველი ინსტანციის სპეციალიზებული სასამართლოების რაოდენობა	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი/სამოქალაქო	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე

- ინდიკატორები, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულებაზე წვდომის გენდერთან დაკავშირებულ ელემენტებზე
- ინდიკატორები, რომელიც ეყრდნობა ადმინისტრაციულ მონაცემებს

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე	სამიზნე / ინდიკატორი
შემდეგი სახის დავების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოების რაოდენობა (გეოგრაფიული ადგილმდებარეობით): -ვალის ამოღება წვრილმანი დავების შემთხვევაში -სამსახურიდან გათავისუფლება -ძარცვა * რესპონდენტებს ეთხოვათ, დაესახელებინათ წვრილმანი დავის განმარტება	CEPEJ	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
პროკურატურაში მუშაობენ ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის საკითხებზე სპეციალურად მომზადებული პროკურორები?	CEPEJ	სისხლის სამართლებრივი	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
მართლმსაჯულების სისტემის რამდენმა თანამშრომელმა გაიარა მომზადება გენდერული და კულტურათათმორისი პერსპექტივით	MESECVI	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის ადმინისტრაციული	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
სოფლად მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების რაოდენობა, რომლებიც ადგილობრივ თემში არიან კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები პირები.	MESECVI	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ადმინისტრაციული-სახელმწიფო/არასახელმწიფო სისტემები	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც პროკურატურაში, სასამართლოებში და მართლმსაჯულების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს წარმოადგენენ.	MESECVI	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ადმინისტრაციული-სახელმწიფო/არასახელმწიფო სისტემები	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
იმ საჯარო მოსამსახურეებისა და სახელმწიფო მოხელეების რაოდენობა, რომელთაც გაიარეს მომზადება და აუმაღლდათ ცნობიერება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე	MESECVI	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ადმინისტრაციული-სახელმწიფო/არასახელმწიფო სისტემები	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე
იმ საჯარო მოსამსახურეების რაოდენობა, რომელთაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უწევთ ინტერაქცია ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა გამოვლინების მსხვერპლებთან: -ქალი ოფიცრების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი დაწესებულებაში შესული შეტყობინებების რაოდენობასთან მიმართებით -ქალი ფსიქოლოგების და ფსიქიატრების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებში შესული შეტყობინებების რაოდენობასთან მიმართებით -სოციალური მუშაკების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებში შესული შეტყობინებების რაოდენობასთან მიმართებით -ქალი ადვოკატების რაოდენობა სისხლისსამართლებრივი წარმოების დროს ქალებისათვის (მომჩინების ან ბრალდებულებისათვის) კონსულტაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებში შესული შეტყობინებების რაოდენობასთან მიმართებით -იმ თარჯიმნების რაოდენობა, რომელთაც ქალთა უფლებების შესახებ აქვთ ცოდნა	MESECVI	სამოქალაქო/სისხლი ს სამართლის/ადმინისტრაციული-სახელმწიფო/არასახელმწიფო სისტემები	ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე

სამიზნე / ინდიკატორი	შეიმუშავა/იყენებს	ჩადებული რესურსები / შუალედური შედეგი/ საბოლოო შედეგი/ გავლენის შეფასება/ პროცესი	მოთხოვნის / მიწოდების მხარე	სამიზნე / ინდიკატორი
დავის ალტერნატიული მოგვარება				
იმ აკრედიტებული ან რეგისტრირებული მედიატორების რაოდენობა, რომლებიც სასამართლო მედიაციას ახორციელებენ	CEPEJ	სამოქალაქო	მიწოდების მხარე	მიწოდების მხარე
სასამართლო მედიაციის პროცედურების რაოდენობა, საქმეთა კატეგორიების მიხედვით	CEPEJ	სამოქალაქო	შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
პოლიცია				
ხელმისაწვდომობა/საქმიანობა				
პოლიციის მიერ გახსნილი განზრახ მკვლელობის საქმეები	UNROLI		შუალედური შედეგი	მიწოდების მხარე
ანგარიშვალდებულება				
პოლიციაში კორუფციისა და გადაცდომის სისხლისსამართლებრივი დევნა - ხდება თუ არა პოლიციაში გადაცდომის ან კორუფციის შემთხვევების მკაცრად გამოძიება და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება	UNROLI		შუალედური შედეგი/პროცესი	მიწოდების მხარე
შესაძლებლობები				
გენდერული ბალანსი – ქალი პოლიციელების პროცენტული მაჩვენებელი	UNROLI		ჩადებული რესურსები	მიწოდების მხარე

ცხრილი 2.6. გარდამავალ სახელმწიფოებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორების მენიუ, მოწოდებულია 97+ ქვეყნების მიერ¹⁸

მართლმსაჯულების პირობები	მართლმსაჯულების ინსტიტუტების შესაძლებლობები	მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობა
<p>-ჩვეულებითი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის %, ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის %</p> <p>-იმ მოსახლეობის %, რომელსაც მიაჩნია, რომ მართლმსაჯულებაზე ხელი მიუწვდება</p> <p>-იმ მოსახლეობის %, რომელიც ინფორმირებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ და მართლმსაჯულების სისტემას ენდობა</p>	<p>-სახელმწიფო ბიუჯეტის რა ნაწილს შეადგენს მართლმსაჯულების სექტორისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები</p> <p>-მართლმსაჯულების სექტორისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტის % და ხარჯები</p> <p>-ეროვნული ბიუჯეტის რა % შეადგენს მართლმსაჯულების სექტორისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი</p> <p>-ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასამართლო ხელისუფლებისთვის გამოყოფილი და ეფექტიანად ათვისებული ბიუჯეტი</p>	<p>-მართლმსაჯულების სექტორის ზოგადი საქმიანობის აღქმა</p> <p>-საზოგადოების რა % მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების სისტემა (სასამართლო) არის დამოუკიდებელი</p>
<p>-რამდენ შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკისრებული იქნა სასჯელი სასამართლოში კორუფციის გამო</p> <p>-სასამართლოში კორუფციის დოკუმენტირებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც კანონით გათვალისწინებულ სანქციას დაექვემდებარა. რამდენ შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკისრებული იქნა სასჯელი სასამართლოში ელიტურ კორუფციასთან დაკავშირებით</p> <p>-რამდენი საქმე აღიძრა სასამართლოში სახელმწიფო აქტორებისა და საჯარო მოხელეების წინააღმდეგ</p> <p>-ბოლო ხუთი წლის მანძილზე აღრიცხული საარბიტრაჟო საქმეების რაოდენობა</p>	<p>-ისეთი კანონების არსებობა, როგორცაა* სექსუალური ძალადობის შესახებ კანონი, ბავშვთა დაცვის შესახებ კანონი</p> <p>-კონკრეტულ კანონებზე ხელმისაწვდომობის კუთხით პასუხისმგებელი სტრუქტურის არსებობა/რამდენი კანონი გახდა ხელმისაწვდომი</p> <p>-მართლმსაჯულების ტრადიციული ნორმების გათვალისწინება სამართლებრივ კოდექსში</p> <p>-ჩვეულებითი სამართლის საკითხების/საქმეების რაოდენობა, რომელიც ავსებს ან შეესაბამება კანონით განსაზღვრულ სისტემას და იმ საქმეთა პროცენტული რაოდენობა, რომელიც ტრადიციული/ჩვეულებითი სამართლის სისტემებით მოგვარდა.</p>	<p>-მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს ანგარიში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ</p> <p>-ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საერთაშორისო ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით</p> <p>-მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელთა რაოდენობა/% რომელთა წინააღმდეგ კორუფციის გამო აღიძრა საქმე და რომელთაც მსჯავრი დაედოთ</p> <p>-ელიტური კორუფციის გამო მსჯავრდებულთა ჩამონათვალი</p> <p>-უკანონო დაკავებების რაოდენობა</p> <p>-იმ პირების რაოდენობა, რომლებიც უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ, ოლქების მიხედვით</p>
<p>-გაუპატიურებაზე და სასტიკ ძალადობრივ ქმედებებზე პასუხისმგებელი დამნაშავეების რაოდენობა, რომელთა წინააღმდეგაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა და დაისაჯნენ</p> <p>-ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეების რაოდენობა, რომელიც ამჟამად განიხილება</p> <p>-იმ გადახდისუუნარო ადამიანების რაოდენობა, რომლებიც უფასო სამართლებრივ მომსახურებას იღებენ</p> <p>-ადამიანის უფლებათა საქმეების რაოდენობა/% რომელიც განიხილულ იქნა და ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი</p>	<p>-რეფორმის, გეგმისა და პროგრამის არსებობა, რეფორმის ბიუჯეტი.</p> <p>-მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის ხელმისაწვდომობა</p> <p>-შერჩევისა და პენსიაზე გასვლის გეგმისა და პროგრამის არსებობა</p> <p>-მოსამართლეთა სტატუსისა და ანაზღაურების გაუმჯობესება</p>	<p>-დასრულებული საქმეების პროპორციული რაოდენობა მიღებულ საქმეთა საერთო რაოდენობაში (წლიური მონაცემები)</p> <p>-კორუფციის საქმეების რაოდენობა, რომელიც იქნა წარმოებაში მიღებული და რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა</p> <p>-მინის შესახებ დავების რაოდენობა, რომელიც დაექვემდებარა სისხლისსამართლებრივ დევნას</p> <p>-დაზარალებულთა რაოდენობა, რომელთაც მიიღეს კომპენსაცია</p> <p>-სასამართლოს აღსრულებული გადაწყვეტილებების რაოდენობა</p> <p>-საჯარო ინტერესთან დაკავშირებული სამართალწარმოების რაოდენობა</p> <p>-სექსუალური ძალადობის შემთხვევების რაოდენობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა</p> <p>-სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირებზე დაკისრებული სასჯელის ხანგრძლივობა</p> <p>-ქვეყანაში არასრულწლოვნებისათვის განკუთვნილი სასამართლოების არსებობა</p> <p>-არასრულწლოვნებისათვის განკუთვნილ სასამართლოებში მოსამართლეების რაოდენობა</p>

მართლმსაჯულების პირობები	მართლმსაჯულების ინსტიტუტების შესაძლებლობები	მართლმსაჯულების ინსტიტუტების საქმიანობა
<p>-იმ ნაბიჯების ჩამონათვალი, რომელიც გადაიდგა მართლმსაჯულების სისტემის მოქალაქეებთან დასაახლოვებლად</p> <p>-წარმოებული პრო-ბონო საქმეების რაოდენობა</p>	<p>-მართლმსაჯულების სტრუქტურების გადანაწილება პროვინციის, ოლქისა და ტერიტორიის მიხედვით</p> <p>-მაგისტრატ/ზემდგომი სასამართლოების გადანაწილება პროვინციის, ოლქისა და ტერიტორიის მიხედვით</p> <p>-სახანო ადვოკატების და მოსახლეობის თანაფარდობა, ოლქების მიხედვით</p> <p>-ადვოკატების რაოდენობა ყოველ 100,000 პატიმარზე</p> <p>-მოსამართლეების რაოდენობა ყოველ 100,000 მოსახლეზე</p> <p>-პატიმრებისა და საპატიმრო დაწესებულებების თანაფარდობა, რეგიონების მიხედვით</p> <p>-პატიმრებისა და საკანის ფართობის თანაფარდობა</p>	<p>-განხორციელდა ღონისძიებები გადახდისუუნარო პირებისათვის ფორმალურ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად</p> <p>-მოსახლეობის%, რომელიც ინფორმირებულია სამართლებრივ საკითხებზე და ადამიანის უფლებებზე</p>
<p>-მოსამზადებელი პროგრამის არსებობა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ტრადიციულ მართლმსაჯულებას ახორციელებენ</p> <p>-მართლმსაჯულების ფორმალური სისტემის მოხელეების მიერ მართლმსაჯულების ტრადიციულ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა</p>	<p>-მართლმსაჯულების სისტემის სრულფასოვნად მომზადებული და დანიშნული თანამშრომლების რაოდენობა (მოსამართლეები და მაგისტრატი მოსამართლეები, პროკურორები, სახანო ადვოკატები, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები, ადვოკატები და სხვა)</p> <p>-მართლმსაჯულების სისტემაში რეკრუტირებული ქალების რაოდენობა</p> <p>-1 წლის მანძილზე შერჩეული მოსამართლეების რაოდენობა</p> <p>-1 წლის მანძილზე პენსიაზე გასული მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა მოხელეების რაოდენობა</p> <p>-ნელინადში რამდენი მოსამართლე და სასამართლოს მოხელე გადის ტრენინგს</p> <p>-რამდენჯერ გამოვიდა სიტყვით მართლმსაჯულების ინსტიტუტის ხელმძღვანელი მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებისა და მოსამართლეები წინაშე, კეთილსინდისიერების საკითხებზე სასაუბროდ</p> <p>-ბოლო ხუთი წლის მანძილზე რეაბილიტირებული და აშენებული სასამართლო ინფრასტრუქტურის რაოდენობა</p> <p>-სრულად აღჭურვილი სასამართლოების რაოდენობა</p> <p>-შექმნილი და მომუშავე სამხედრო სასამართლოების რაოდენობა</p> <p>-შექმნილი სამშვიდობო სასამართლოების რაოდენობა</p> <p>-ადგილობრივი სასამართლოების რაოდენობა, რომელიც გაუპატურებასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავს</p> <p>-ცალკე საპატიმრო დაწესებულების არსებობა ქალებისა და ბავშვებისთვის</p> <p>-პატიმრებისთვის სპეციალური ტანსაცმლის, საწოლებისა და საწოლის თეთრეულის არსებობა</p> <p>-პატიმართა კვების რაციონი არის საკმარისი, მრავალფეროვანი და დაბალანსებული</p> <p>-შიდა ეზოს/ბიბლიოთეკის/ვიზიტორთა ოთახების/ტრენინგისათვის განკუთვნილი ადგილების არსებობა ციხეში</p>	

ცხრილი 1. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორები, რომელიც იყენებს და/ან ეყრდნობა სახელმწიფო ორგანოების მიერ შეგროვებულ მონაცემებს

ზემოთ წარმოდგენილი ინდიკატორების უმრავლესობა შემუშავებულია და გამოიყენება საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ (როგორცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, OECD, OAS, ევროპის საბჭო, Global Integrity და World Justice Project). ამავდროულად, ეს ინდიკატორები ეყრდნობა მთავრობის მიერ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებს.

1. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია. ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) საკმაოდ კომპლექსური ინდიკატორები შეიმუშავა, რომელიც წევრ სახელმწიფოებში მართლმსაჯულების სისტემების შესაფასებლად გამოიყენება. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ანგარიშების მომზადება CEPEJ-ის კითხვარის მიხედვით, ადმინისტრაციული და იმ სხვა მონაცემების საფუძველზე, რომელსაც სახელმწიფოები რეგულარულად აგროვებენ. როგორც 2.1-2.5 ცხრილებში ჩანს, სახელმწიფოებმა CEPEJ-ს უნდა მიანოდონ მონაცემები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა განზომილებების შესახებ, მათ შორის:

- იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა;
- მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობა;
- პროცესის ვადები;
- პროცედურები;
- სასამართლოს დამოუკიდებლობა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- დანაშაულის მსხვერპლთა უფლებები;
- აღსრულება;
- შესაძლებლობები;
- სპეციალური სასამართლოები და პროცედურები;
- დავების ალტერნატიული მოგვარება;
- ოჯახში ძალადობა.

წევრი სახელმწიფოები კითხვარის პასუხად ინფორმაციას წარადგენენ წერილობით, შესაბამის მონაცემებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, ან კონკრეტული ინდიკატორით მოცული განზომილება ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემას არ ეხება. სახელმწიფოების მიერ შეგროვებული და წარდგენილი მონაცემები მოიცავს ადმინისტრაციულ მონაცემებს, როგორცაა მოსამართლეებისა და პროკურორების რაოდენობა (მათ შორის, სასამართლოების რაოდენობა და გეოგრაფიული მდებარეობა, ქალი მოსამართლეებისა და პროკურორების რაოდენობა), საქმეთა ნაკადი, საქმეების ხანგრძლივობა, იმ საქმეების რაოდენობა, სადაც იურიდიული დახმარება იქნა უზრუნველყოფილი და სხვა "ობიექტური მონაცემები" არსებული კანონმდებლობების, ინსტიტუტებისა და პროცედურების შესახებ.

2. საცხოვრებელი სტანდარტების შესახებ გამოკითხვები. საცხოვრებელი სტანდარტების შეფასების კვლევა (LSMS) არის პროგრამა, რომელსაც მსოფლიო ბანკის განვითარების კვლევის ჯგუფი ახორციელებს. მთავრობების თხოვნის საფუძველზე, LSMS -ის ჯგუფები სტატისტიკის ეროვნულ სამსახურებთან მუშაობენ შინამეურნეობის გამოკითხვების შემუშავებისა და განხორციელების კუთხით. ეს გამოკითხვები შეეხება ქვეყანაში იდენტიფიცირებულ პრიორიტეტებს, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, შრომა, ფინანსებზე წვდომა და მიგრაცია. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის შეირჩა საცხოვრებელი სტანდარტების რამოდენიმე კვლევა. საცხოვრებელი სტანდარტის გამოკითხვები მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ინდიკატორებს სხვადასხვა დონით მოიცავს, თუმცა, ზოგიერთი მათგანი კონკრეტულად მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ელემენტებზე ახდენს ფოკუსირებას.

ზოგადად, ამ ინდიკატორების მიზანია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ქვეყნისათვის დამახასიათებელი ასპექტების მოცვა, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით (ე.ი. რა წარმოადგენს საზოგადოებაში კონფლიქტის ძირითად მიზეზებს). შესაბამისი გამოკითხვები ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: რა ქმედებები განახორციელა რესპონდენტმა კონფლიქტის ან დავის წარმოშობის შემდგომ, რატომ არ მოახდინა კონფლიქტის/დავის შეტყობინება და რამდენად კმაყოფილია იგი მართლმსაჯულების ინსტიტუტებით. "ადმოსავლეთ ტიმორის საცხოვრებელი პირობების გამოკითხვის გაგრძელება" (2008) შერჩეული კითხვარებიდან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ყველაზე კომპლექსურ ინდიკატორებს ითვალისწინებს. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს სექციებს, სახელწოდებით: "მოსაზრებები მართლმსაჯულების შესახებ" და "აღქმები მართლმსაჯულების შესახებ", რომელთა მიზანსაც წარმოადგენს გარკვეული საკითხების მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებების იდენტიფიცირება (მაგალითად, ქალს უნდა შეეძლოს თუ არა ტრადიციული "ადათის" პროცესში საკუთარი მოსაზრების გამოხატვა) და კანონის ცოდნის/აღქმის დონის გამოვლენა (მაგალითად, ქალს შეუძლია თუ არა მამაკაცის თანხმობის გარეშე განქორწინების მოთხოვნა).

3. დემოგრაფიული და ჯანდაცვის გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები (DHS), რომელთაც აფინანსებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მიზნად ისახავს მონაცემების შეგროვებას ჯანდაცვის და

დემოგრაფიული ტენდენციების შესახებ განვითარებად ქვეყნებში. გამოკითხვის შედეგა და მონაცემების შეგროვება ხორციელდება ადგილობრივი აქტორების მიერ, USAID-ის ტექნიკური დახმარების ჯგუფების მხარდაჭერით. DHS გამოკითხვები, მათი თემატიკისა და მიუხედავად, შეიცავს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ კითხვებს. განსაკუთრებით საინტერესოა ის კითხვები, რომელიც შეეხება გენდერთი მოტივირებულ ძალადობას და იმას, თუ ვის მიმართა დაზარალებულთა იმ ნაწილმა, რომელმაც მოახდინა ძალადობის შემთხვევის შეტყობინება. სხვა კითხვები შეეხება ოჯახში ძალადობის მიმართ დამოკიდებულებას და საცხოვრებლის მფლობელობას, მათ შორის, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობას და ასეთ დოკუმენტში რესპონდენტის სახელის შეტანას. ყველა ეს მონაცემი გენდერის მიხედვით არის ჩაშლილი.

4. ბელემ დო პარას კონვენციის რეაგირების მექანიზმი (MESECVI) – "პროგრესის ინდიკატორები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის (ბელემ დე პარას კონვენცია) იმპლემენტაციის შესაფასებლად, რომელიც მიღებულ იქნა 2013 წლის 21 მაისს, ექსპერტთა კომიტეტის მიერ (CEVI)". ეს ინდიკატორები, რომელიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS/OEA) წევრ სახელმწიფოებს შორის გამართული ფართო და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის საფუძველზე შემუშავდა, მიზნად ისახავს სტანდარტული ინსტრუმენტების უზრუნველყოფას კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით განხორციელებული პროგრესის შესაფასებლად. ზოგიერთი ინდიკატორი ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საკითხზე და მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ისეთი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც აღიარებს ქალის უფლებას ძალადობისგან თავისუფალ ცხოვრებაზე; ისეთი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლის უფლებას სამართლიან სასამართლოზე და დაცვით ღონისძიებებზე; ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯისთვის საჭირო ინსტიტუტებისა და პროცედურების არსებობა; ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის; შეტყობინების მაჩვენებელი; მართლმსაჯულების რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე - მათ შორის, ადამიანური რესურსები და სპეციალური ტრენინგის უზრუნველყოფა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისათვის. CEPEJ-ის მექანიზმის მსგავსად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, MESECVI-ს წარუდგინონ შესაბამისი მონაცემები. მიუხედავად იმისა, პროგრესის ინდიკატორებს ჯერ არ აქვთ საბოლოო სახე და არ მომხდარა მათი იმპლემენტაცია, ნათელია, რომ ეს ინდიკატორები დააჩქარებს სახელმწიფოების მიერ შესაბამისი მონაცემების შეგროვების კუთხით განუღო ძალისხმევას.

5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია). კონვენცია სახელმწიფო მხარეებს უწესებს კვლევისა და მონაცემების შეგროვების ვალდებულებას. კერძოდ, მე-11 მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან, "რეგულარულად შეაგროვონ შესაბამისი დეტალური სტატისტიკური მონაცემები, კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით" და "რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები." ამასთან, სახელმწიფოები ვალდებული არიან ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფს (GREVIO) წარუდგინონ პერიოდული ანგარიშები კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით განხორციელებული პროგრესის შესახებ. ანგარიში უნდა შეიცავდეს კონვენციით გათვალისწინებულ სფეროებში შეგროვებულ მონაცემებს.^{19 20}

6. სახელმწიფო უწყებების და სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მიერ შეგროვებული მონაცემები. სახელმწიფო უწყებები, როგორც წესი, ახდენენ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას და განახლებას. იუსტიციის მინისტრები, სასამართლოს სტატისტიკური სამსახურის საშუალებით, შესაძლებლობის შემთხვევაში, აღრიცხავენ მონაცემებს დასაქმებული სპეციალისტების რაოდენობისა და მათი ანაზღაურების შესახებ და ისეთ საკითხებზე აგროვებენ მონაცემებს, როგორებიცაა: საქმეთა ნაკადი, დანაშაულის შეტყობინება, გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და მსჯავრდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, ასევე, ახდენენ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და გამოქვეყნებას, როგორიცაა, მაგალითად, მოსამართლეების რაოდენობის თანაფარდობა მოსახლეობის რაოდენობასთან, ან იურიდიული დახმარების სამსახურის მომხმარებელთა რაოდენობა.

მონაცემთა შეგროვების ისეთ ინსტრუმენტებში, როგორიცაა CEPEJ-ის ანგარიში, LSMS და DHS გათვალისწინებული ინდიკატორების გარდა, წინამდებარე ანგარიში, ასევე, მიმოიხილავს ისეთ ინდიკატორებს, რომელსაც იყენებენ განას, კენიას, მონღოლეთი და კამერუნი, რაც მკითხველს შეეძენას წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა სახის მონაცემებს აგროვებენ მთავრობები და სტატისტიკის ეროვნული სამსახურები რეგულარულად. ამ მიზნით, შეირჩა მაგალითები სხვადასხვა რეგიონებიდან და ეს მაგალითები არ არის ამომწურავი.

2.3. ხარვეზები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასების არსებულ ინსტრუმენტებში

2.3.1. ფოკუსირება მიწოდების მხარეზე და ჩადებული რესურსების აღმნიშვნელ ინდიკატორებზე

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებს თუ გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შეფასების არსებული "სამყარო" საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. იგი მართლმსაჯულების ჯაჭვის თითქმის ყველა განზომილებას მოიცავს. ჩამონათვალში წარმოდგენილია განსხვავებული ბუნების ინდიკატორები, რომელიც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას "ზომავს" სხვადასხვა კუთხიდან და განსხვავებული სიღრმით. ზოგიერთი მათგანს - მაგალითად, Global Integrity-ის ინდიკატორებს აქვთ ფართო ფორმულირება და მათ მიზანს წარმოადგენს იმ კომპლექსური სიტუაციების იდენტიფიცირება, რომელიც ასახავს მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ელემენტებსა და აქტორებს შორის ინტერაქციას. სხვა ინდიკატორები - მაგალითად, CEPEJ-ის ინდიკატორები უფრო კონკრეტულია და მართლმსაჯულების მანქანის უფრო დეტალურ სურათს ხატავს, მის ცალკეულ ელემენტებს აკვირდება. აღნიშნული მრავალფეროვნების მიუხედავად, არსებობს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა სფეროები, რომელიც ინდიკატორების მიღმა რჩება, არ "გაზომილია" და არ გამოკვლეულია. ერთ-ერთი მკაფიო ტენდენცია, რომელიც წინამდებარე დოკუმენტში ინდიკატორების თავმოყრამ გამოავლინა, არის ის, რომ ინდიკატორები ფოკუსირებას ახდენენ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის "მიწოდების მხარეზე", ხოლო "მოთხოვნის მხარის" ელემენტები ნაკლებად არის დოკუმენტირებული. ამასთან, ინდიკატორების უმრავლესობა ზომავს სისტემაში ჩადებულ რესურსებს - როგორცაა, გარკვეული ინსტიტუტების ან რეგულაციების არსებობა, და მხოლოდ რამოდენიმე მათგანი ამახვილებს ყურადღებას მართლმსაჯულების პროცესის საბოლოო შედეგებზე და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამ პროცესის სხვადასხვა ელემენტები მომხმარებლებზე.

2.3.2. ხელმისაწვდომობის დამატარებელი ბარიერები და სამართლებრივი საჭიროებები

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მხოლოდ რამოდენიმე21 მაგალითი არსებობს, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების "მოთხოვნის მხარის" შესახებ ცოდნის ბაზის შექმნას, ე.ი. იმ საჭიროებებზე და გამოწვევებზე, რომელსაც მართლმსაჯულების სერვისების ბენეფიციარები და მომხმარებლები აწყდებიან. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული იმ გამოწვევების შესახებ მონაცემები, რომელთაც ქალები და მამაკაცები აწყდებიან, განსაკუთრებით სასარგებლოა პოლიტიკისა და ინტერვენციების შესამუშავებლად და უფრო ხელმისაწვდომი სისტემის შექმნის მიმართულებით განხორციელებული პროგრესის შესაფასებლად. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი განსაკუთრებული საკითხების გამოვლენა (ანუ საკითხებისა, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია სამართლებრივი საშუალებებით), რომელსაც მოქალაქეები აწყდებიან. შეტანილი საქმეების შესახებ არსებობს ინდიკატორები

და გროვდება შესაბამისი მონაცემები, თუმცა, ამ ინფორმაციის სისტემატური ანალიზი და მონაცემების ჩაშლა სქესისა და საქმეების კატეგორიების მიხედვით იმ საკითხების სიღრმისეულად შესწავლას გახდის შესაძლებელს, რომელსაც აწყდებიან მართლმსაჯულების მაძიებელი ქალები და მამაკაცები. ასეთი მონაცემები, ასევე, წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ქმედითი, კონტექსტზე და გენდერზე მორგებული ინდიკატორების შექმნა.

2.3.3. უფლებების, დაცვის საშუალებების, ინსტიტუტების შესახებ ცნობიერება და სამართლებრივი ცოდნა

მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ელემენტია²², შედარებით ნაკლები მონაცემები არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად არიან ქალები და მამაკაცები ინფორმირებული თავიანთი უფლებების და იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს განსჯად საკითხს, იმ ინსტიტუტების შესახებ, რომელთაც საჩივრებისა და დავების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება ევალებათ და იმ პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამ უფლებების დაცვა და აღსრულება. სამართლებრივი ცოდნისა და ცნობიერების დონის დოკუმენტირება, მართლაც, რთულია. იგი საჭიროებს კითხვების ისე შემუშავებას, რომ რესპონდენტებმა გაიგონ, რას ეკითხებიან; გამოკითხვების ისე აღმინისტრირებას, რომელიც შეამცირებს რესპონდენტთათვის მიმართულების მიმცემი ინფორმაციის მიწოდებას; მონაცემების ინტერპრეტაციასა და იმის გააზრებას, თუ რეალურად რა წარმოადგენს ცოდნის ნაკლებობას და რა შეიძლება მიენეროს ღრმად ფესვგადგმულ დამოკიდებულებებს, სოციალურ ღირებულებებსა და მართლმსაჯულების სისტემის გარკვეულ აღქმას, რაც ადვილი საქმე არ არის. ამავდროულად, როგორც ქალების, ისე მამაკაცების სამართლებრივი ცნობიერებისა და ცოდნის დონების იდენტიფიცირება და არსებული ხარვეზების გამოვლენა მნიშვნელოვანია ინტერვენციებისა და პოლიტიკის შესამუშავებლად.²³

2.3.4. მართლმსაჯულების შედეგები

არსებული ინდიკატორები განსაზღვრავს მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიანობას და სამართლიანობას, თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანია საქმეების შედეგებში არსებული ტენდენციების იდენტიფიცირება და ამ მონაცემების შევსება ინფორმაციით იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ადამიანები ამ შედეგებზე. შედეგების შესახებ მონაცემების დეტალიზება სქესის (მომჩინის, ბრალდებულის, დამნაშავისა და მსხვერპლის სქესი) და საქმეთა კატეგორიების მიხედვით უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაციას მოსამართლეთა დამოკიდებულებებისა და მიკროძოგების შესახებ და, ასევე, იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება მართლმსაჯულების სისტემის მუშაობას.

2.4. გენდერის ინტეგრაცია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ინდიკატორებში - დეტალიზებული და გენდერულად სენსიტიური მონაცემთა ანალიზის ნაკლებობა

შეფასებისა და გაზომვის არსებული ინსტრუმენტები იშვიათად ახდენს იმ გამოწვევების იდენტიფიცირებას, რომელსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისას. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის არაერთი ინდიკატორი ისეთ სფეროებს მოიცავს, სადაც ქალები არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, მამაკაცებთან შედარებით. ამავდროულად, არ ხდება მონაცემთა დეტალიზება და სხვადასხვა კატეგორიის მონაცემების კომბინირება (მაგალითად, სასამართლოებამდე საშუალო მანძილი და ქალებისათვის ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებები), რის გამოც ეს ინდიკატორები არათანაბარი ხელმისაწვდომობის სიტუაციებს არ ავლენს. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ის სფეროები, რომელიც განსაკუთრებით რელევანტურია ქალებისათვის, გენდერულად სენსიტიურ ანალიზს უნდა დაექვემდებაროს.

2.4.1. გეოგრაფიული და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა

სასამართლოების გეოგრაფიული განაწილება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ელემენტია და სხვადასხვა აქტორების 24 მიერ შემუშავებული და გამოყენებული ინდიკატორები სწორედ აღნიშნულის შეფასებას ითვალისწინებს. სასამართლოებამდე მანძილი და მგზავრობის ხანგრძლივობა სხვადასხვა გავლენას ახდენს როგორც მამაკაცებზე, ისე ქალებზე, იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობენ ისინი - ქალაქში თუ სოფელად, აქვთ თუ არა მათ სატრანსპორტო საშუალებებზე წვდომა და რა ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამავდროულად, ხშირად ქალები მამაკაცებთან შედარებით არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, რასაც არსებული ინდიკატორები ვერ ითვალისწინებს. ქალებს სატრანსპორტო საშუალებებზე ნაკლებად მიუწვდებთ ხელი და მათ მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად აქვთ მგზავრობისათვის საჭირო თანხის გადახდის ეკონომიკური შესაძლებლობა. მათი გადაადგილება უფრო მეტად არის შეზღუდული და ისინი განსაკუთრებით განიცდიან დროის უკმარისობას. ბავშვზე ზრუნვის ისეთი დანესტებულებების ნაკლებობა, რომელიც ქალებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია და მათი საცხოვრებლის ახლოს მდებარეობს, ან სასამართლოს შენობაში მდებარეობს, ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის განმსაზღვრელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამასთან, სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც ქალებისათვის რელევანტურ საკითხებს განიხილავენ - როგორცაა, საოჯახო სასამართლოები ან წვრილმანი დავების განმხილველი სასამართლოები და, ასევე, პოლიციისა და პროკურატურის სპეციალური განყოფილებები (რომლებიც გენდერით მოტივირებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობენ), როგორც წესი, ურბანულ ტერიტორიებზე მდებარეობს, ხშირად ოლქში ან პროვინციის დედაქალაქში. სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე, მნიშვნელოვანი ბარიერია, რომელიც ქალების მიერ

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას აბრკოლებს, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში რესურსები არათანაბრად არის განაწილებული ქალებსა და მამაკაცებს შორის, ხოლო იმ ოჯახების საშუალო შემოსავალი, რომლის უფროსიც ქალია, ნაკლებია იმ ოჯახების შემოსავალზე, რომლის უფროსიც კაცია.

2.4.2. სამართლებრივ კონსულტაციაზე, წარმომადგენლობასა და იურიდიულ დახმარებაზე წვდომა

იმ სამართლის სპეციალისტების არსებობას, რომლებიც ფინანსურად ხელმისაწვდომ კონსულტაციასა და წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ სამართლებრივი პროცესების დროს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, ქალებისათვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ხელმისაწვდომ სამართლებრივ დახმარებას და შესაბამისად, ასეთი დახმარების არარსებობა მათზე არაპროპორციულად უარყოფით გავლენას ახდენს. მამაკაცებთან შედარებით წერა-კითხვის დაბალი დონე და ოფიციალური ენის არცოდნა, მედიაზე და ხშირად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა იწვევს უფლებების, პროცედურებისა და დავის მოგვარების არსებული მექანიზმების შესახებ ცნობიერების ნაკლებობას. არსებობს ინდიკატორები, რომელიც ზომავს სამართლებრივ მხარდაჭერის, წარმომადგენლობისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს, თუმცა, შედარებით ნაკლებია შეფასების იმ ინსტრუმენტებისა და მონაცემების რაოდენობა, რომელიც განსაზღვრავს ქალებისა და მამაკაცების გამოცდილებას ამ სერვისებთან დაკავშირებით და იმას, თუ რა გავლენა აქვს მათ ნაკლებობას ქალებსა და მამაკაცებზე.

2.4.3. გენდერული ტრენინგი სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის

მოსამართლეებისა და პროკურორების პროფესიული მომზადების შეფასებას იშვიათად ითვალისწინებს იმ ინდიკატორების "კალათა", რომელიც მართლმსაჯულების სისტემის შესაძლებლობას "ზომავს". წინამდებარე დოკუმენტში განხილული რვა წყაროდან, მხოლოდ CEPEJ-ის ანგარიში მოიცავს ამ სფეროს. კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა კონკრეტულ გენდერულ ტრენინგს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარებაზე, რათა მათ შეძლონ გენდერ-სპეციფიური საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება მართლმსაჯულების პროცესში და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მათზე, და განამტკიცებინათ მათ ცოდნას გენდერით მოტივირებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და პროცედურების შესახებ. მხოლოდ CEPEJ-ის ინდიკატორები ითვალისწინებს მართლმსაჯულების გენდერთან დაკავშირებულ ასპექტებს. კერძოდ, ეს ინდიკატორები აფასებს, მუშაობენ თუ არა პროკურატურის ყველა ოფისში პროკურორები, რომლებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე.

2.4.4. სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებები - პარადიგმის ცვლა მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში

როგორც აღინიშნა, გენდერით მოტივირებული ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ინდიკატორებს თუ არ ჩავთვლით, ზემოაღნიშნულ ცხრილებში წარმოდგენილი მხოლოდ რამოდენიმე ინდიკატორი შეეხება იმ გამოწვევებს, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ეს ინდიკატორები კონკრეტული სფეროს გარშემო არიან "შემოკრებილი". მათ შორისაა, ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა და იურიდიულ და სამართლებრივ პროფესიებში თანაბარი წარმომადგენლობა. თუმცა, ზოგად ინდიკატორებს, რომელიც აფასებს ქალებისა და მამაკაცების მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტებს, ფასეული ინფორმაციის უზრუნველყოფა შეუძლიათ ხელმისაწვდომობის სფეროში გენდერის მიხედვით არსებულ განსხვავებებზე იმ შემთხვევაში, თუ ეს ინდიკატორები გამოიყენებს მონაცემებს, რომელთა სისტემატური დეტალიზება და ანალიზი ხდება იმ დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთობლიობაში, რომელიც ხაზს უსვამს კონკრეტულ სფეროებში გენდერული სხვაობის არსებობას.

მართლაც, იმისათვის, რომ მართლმსაჯულების სისტემამ უზრუნველყოს საყოველთაო ხელმისაწვდომობა, მან უნდა შეძლოს ყველა მომხმარებლის საჭიროებებისა და გამოწვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება. ამ მხრივ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც ასახავს მართლმსაჯულების "მოთხოვნის მხარის" კომპლექსურ ბუნებას და გაითვალისწინებს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ გამოცდილებებსა და დაბრკოლებებს მართლმსაჯულების სფეროში. მაგალითად, იმისათვის, რომ ინდიკატორმა გაითვალისწინოს გეოგრაფიული და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების გავლენა ქალებსა და მამაკაცებზე, საჭიროა მონაცემების სისტემატური დეტალიზება და ამ საკითხთა აღქმის შესახებ მონაცემების შეგროვება, რომელიც შეეხება ადმინისტრაციულ და სავლელ მონაცემებს სასამართლოების ადგილმდებარეობისა და სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ. ამასთან, მონაცემთა ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს ოჯახში რესურსების განაწილების, სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის, საზოგადოებასა და ოჯახში გენდერული როლების, წერა-კითხვისა და სამართლებრივი ცნობიერების დონეების შესახებ დეტალიზებულ მონაცემებს შორის კორელაციას.

ცხრილი 2. ტენდენციები და ხარვეზები გამოყენებულ ინდიკატორებში და/ან იმ ინდიკატორებში, რომელიც სახელმწიფო ორგანოების მიერ შეგროვებულ მონაცემებს ეყრდნობა

ინდიკატორები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოსაყენებლად არის შექმნილი და მონაცემები, რომელიც ამ ინდიკატორების გამოყენების შედეგად გროვდება განსხვავებულია და სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. ზოგიერთი ინდიკატორი - მაგალითად CEPEJ ინდიკატორები, რომლის შესაბამისი მონაცემებიც გროვდება მართლმსაჯულების სექტორში ადმინისტრაციული ან სტატისტიკური ორგანოების მიერ და, გარკვეულწილად, MESECVI ინდიკატორები - მიზნად ისახავს მართლმსაჯულების მანქანის სტრუქტურული და ფუნქციური ასპექტების შეფასებას, ისეთის, როგორიცაა ოპერატიულობა, ეფექტიანობა, ქმედითობა და ანგარიშვალდებულება. სხვა ინდიკატორები, როგორცაა საცხოვრებელი სტანდარტების შესახებ გამოკითხვებში გათვალისწინებული ინდიკატორები, შეეხება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის "მოთხოვნის მხარის" ასპექტებს, მათ შორის, ძირითად განსჯად საკითხებს, თუ რომელ ინსტიტუტებს მიმართავენ მომხმარებლები და რამდენად აქვთ მათ ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ამ მხრივ, რამოდენიმე საკითხია უნდა აღინიშნოს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ CEPEJ ინდიკატორები, მაგალითად, გარკვეულ საკითხებზე ანგარიშგებას ითვალისწინებს, თუმცა, სახელმწიფო ორგანოებს არ ეკისრებათ მოთხოვნილი მონაცემების შეგროვების ვალდებულება და მათ შეუძლიათ მიუთითონ, რომ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. მეორე, საჭიროა მეთი კვლევა იმ კონტექსტის შესაფასებლად, რომელშიც ქვეყნები აგროვებენ მონაცემებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე, და იმაზე, თუ რამდენად აგროვებს ყველა ქვეყანა, როგორც მინიმუმ, გარკვეულ მონაცემებს მაინც. რაც შეეხება გამოყენებულ ინდიკატორებში და მთავრობის მიერ შეგროვებულ მონაცემებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, აღნიშნული ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. მართლაც, სახელმწიფო ორგანოების მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარკვეული ასპექტების შესაფასებლად შერჩეული ზომები დამოკიდებულია ეროვნულ პრიორიტეტებზე, რაც შესაძლოა, განსხვავდებოდეს გლობალური ტენდენციებისგან. მეორეს მხრივ, ინდიკატორთა მოქნილი "კალათა", ისეთი, როგორიც წინამდებარე ანგარიშშია შემოთავაზებული, ქვეყნებს უზრუნველყოფს ინსტრუმენტთა ისეთი ჰრებულობა, რომელიც აფასებს მოთხოვნისა და მიწოდების იმ ძირითად ელემენტებს, რომელიც უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ მართლმსაჯულების სისტემა ყველასათვის იყოს ხელმისაწვდომი.

3. შემოთავაზებული ინდიკატორები მართლმსაჯულების

ხელმისაწვდომობის, მათ შორის, იმ გამოწვევების შესაფასებლად, რომელიც ქალებზე ახდენს გავლენას

ინდიკატორები ქმნიან სოციალური, ეკონომიკური ან სხვა ფენომენის სტატუსის ან პროგრესის შესახებ სურათს, მისი შემადგენელი ელემენტების შეფასების გზით. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა კომპლექსური ფენომენია, რომელიც წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული განმარტების თანახმად, მოიცავს უფლებებისა და მოვალეობების არსებობას, რომელიც დაცულია კანონებითა და რეგულაციებით; ამ უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერებასა და უფლებების განხორციელებისა და მოთხოვნის შესაძლებლობას დავის მოგვარების სამართლიანი, ეფექტიანი და ანგარიშვალდებულებული მექანიზმების საშუალებით.

მართლმსაჯულების, მათ შორის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შეფასების ის სივრცე, რომელიც 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის საფუძველზე შეიქმნა, უზრუნველყოფს უნიკალურ შესაძლებლობას, რათა მოხდეს ასეთ კონტექსტში შემოთავაზებული ინდიკატორების განვრცობა და ინდიკატორთა კომპლექსური კრებულის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულებისა და მართლმსაჯულების განმარტებული სისტემების ხელმისაწვდომობის (მათ შორის, ფიზიკური ხელმისაწვდომობის), მისაღებობისა და ხარისხის შეფასებას. ამასთან, მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობისა და ამ სფეროში განვითარებული კარგი პრაქტიკის შესახებ CEDAW-ს ზოგადი რეკომენდაცია (იხ. დანართი 1) წარმოადგენს ერთგვარ ტრამპლინს იმ ინდიკატორების შესაქმნელად და განსახორციელებლად, რომელიც გაითვალისწინებს იმ გამოწვევებს, რომელთაც აწყდებიან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მაძიებელი ქალები. ქვემოთ წარმოდგენილია ჩარჩო, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას ასეთი ინდიკატორების "კალათის" შესაქმნელად.

3.1. მიზანი და მეთოდოლოგია

3.1.1. მიზანი

ზემოთ თავმოყრილი ინდიკატორებისა და მათი ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე ქვეთავში წარმოგიდგინთ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორებს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალების ხელმისაწვდომობის დამატარებულ ბარიერებს. ასეთი ინდიკატორების შექმნის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო

ორგანიზაციების უზრუნველყოფა ინსტრუმენტებით, რომელიც:

- ხელმძღვანელობას გაუწევს სამართლებრივ რეფორმას, პოლიტიკისა და ინტერვენციების განსაზღვრას მართლმსაჯულებაზე ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად;
- შეაფასებს არსებულ ხარვეზებს მართლმსაჯულების სერვისების მიწოდებისა და მოთხოვნის კუთხით, რაც გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობაზე;
- ხელს შეუწყობს მართლმსაჯულებაზე ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობისა და ქალების უფლებებისა და კანონით მინიჭებული სხვა სიკეთების განხორციელების პროცესის მონიტორინგსა და მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშებას;
- შესაძლებელს გახდის მართლმსაჯულებაზე ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ტენდენციების შეფასებას, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, ისე სხვადასხვა ქვეყნებს შორის;
- წახალისებს გენდერის მიხედვით დეტალიზებული მონაცემების შეგროვებას ისეთ სფეროებში, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს მამაკაცების და ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე;
- ზრდის ცნობიერებას მართლმსაჯულებაზე ქალებისა და მამაკაცების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და იმ ბარიერებზე, რომელიც აღნიშნულზე ახდენს გავლენას.

3.1.2. სტრუქტურა

წინამდებარე ინდიკატორები ორგანიზებულია სამი განზომილების

გარშემო: 1) ხელსაყრელი გარემო. აღნიშნული მოიცავს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ითვალისწინებს უფლებებსა და კანონით მინიჭებულ სხვა სიკეთებს, რეგულაციებსა და დაცვის მექანიზმებს, რომელიც განსაზღვრავს სივრცეს, სადაც მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შეუძლიათ აწარმოონ მოლაპარაკება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და მართლმსაჯულების შედეგების შესახებ; 2) მართლმსაჯულების მიწოდების მხარე, მათ შორის ელემენტები, რომლებიც ქმნიან მართლმსაჯულების მანქანას - მაგალითად, ინსტიტუტები და მართლმსაჯულების სერვისების განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსები; 3) მართლმსაჯულების მოთხოვნის მხარე. იგი ფოკუსირებას ახდენს იმ ძირითად ელემენტებზე, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, მიმართონ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. აღნიშნული განზომილებების ფარგლებში ინდიკატორები დაჯგუფებულია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სამი ძირითადი ელემენტის გარშემო, რომელიც ასახავს მართლმსაჯულების ჯაჭვის შემადგენელ ნაწილებს, მათ შორის: კანონებითა და რეგულაციებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა; საჩივრები და სამართალდარღვევები; რა ინსტრუმენტებია საჭირო მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობისა და სისტემაში ნავიგაციისთვის; ის მექანიზმები და დაცვის საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილე მხარეებისათვის პროცესებისა და შედეგების მიმღებლობას. ეს ელემენტებია:

- სამართლებრივი ჩარჩო;
 - მართლმსაჯულების საჭიროებები;
 - სამართლებრივი ცნობიერება, იურიდიულ კონსულტაციაზე და წარმომადგენლობაზე (იურიდიული დახმარება) ხელმისაწვდომობა;
 - სასამართლოებზე წვდომა;
 - სამართლიანი პროცესი და შედეგი;
 - მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობა.
- თითოეული ელემენტი უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ. შემოთავაზებული ინდიკატორების შერჩევასა გათვალისწინებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:
- ინდიკატორები უნდა იყოს გაზომვადი;
 - ინდიკატორები უნდა იყოს ადვილად გასაგები და საზოგადოებისათვის ადვილად განმარტებადი;
 - ინდიკატორები უნდა მოიცავდეს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის იმ ელემენტებს, რომელიც განსაკუთრებით რელევანტურია ქალებისთვის.

3.1.3. არასახელმწიფო მართლმსაჯულების შეფასება
 არასახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემები - ე.ი. ჩვეულებითი და რელიგიური სამართლებრივი სისტემები, რომელიც არსებობს სახელმწიფო სამართლებრივ და სასამართლო სისტემასთან ერთად, რომლის ლეგიტიმურობაც მომდინარეობს წეს-ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან ან გააჩნია რელიგიური კონოტაცია - დავების მოგვარების მექანიზმის სახით მნიშვნელოვან როლს თამაშობს არაერთ ქვეყანაში, სადაც რამოდენიმე სამართლებრივი სისტემა მოქმედებს. ხშირად მართლმსაჯულების მაძიებელი ქალები მათ ანიჭებენ უპირატესობას ან მხოლოდ ასეთ სისტემებს მიმართავენ. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დოკუმენტი აღიარებს არასახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემის როლს, იგი

ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულების სახელმწიფო სისტემებზე, ხოლო ჩვენს მიერ შემუშავებული ინდიკატორები ითვალისწინებს შეფასების მხოლოდ რამოდენიმე ინსტრუმენტს, რომელიც ცალსახად არასახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემას შეეხება (მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლის მიზანია მართლმსაჯულების სისტემების მიმართ ნდობისა და სამართლებრივი პროცედურების ხანგრძლივობის "გაზომვა"). დანარჩენი ინდიკატორების გამოყენება შესაძლებელია როგორც მართლმსაჯულების სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სისტემებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიზანია სტანდარტული ინდიკატორების საფუძველზე მართლმსაჯულების არასახელმწიფო სისტემის ელემენტების "გაზომვის" მაგალითების უზრუნველყოფა. გადაწყვეტიტო, ყურადღება არ გაგვემახვილებინა არასახელმწიფო მართლმსაჯულებაზე, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არასახელმწიფო სამართლებრივი სისტემის შეფასება რაოდენობრივი მეთოდებით საკმაოდ რთულია და შეფასების ინსტრუმენტები, შესაძლოა, დამაბნეველიც აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მათი სათანადოდ კონტექსტუალიზაცია. ამავდროულად, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ქვეყანაში ქალებისა და მამაკაცებისათვის ხელმისაწვდომი ნორმატიული სისტემისა და მართლმსაჯულების შესახებ კომპლექსური სურათის შექმნა საჭიროებს ისეთი ინდიკატორების შემუშავებას, რომელიც არასახელმწიფო სისტემებს შეესაბამება. ჩვეულებითი და რელიგიური სამართლებრივი სისტემების უადრესად უჩვეულო და ადგილობრივი ბუნების გათვალისწინებით, უმჯობესია, თუ ასეთი ინდიკატორების შემუშავება მოხდება საკონსულტაციო პროცესის საშუალებით, სადაც წამყვანი როლი ექნება თავად ქვეყანას და მასში მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული მხარეები როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემებიდან.

3.1.4. ინდიკატორების შერჩევა

ქვემოთ წარმოდგენილი ინდიკატორების შერჩევა მოხდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს ინსტიტუციური საჭიროებების შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სწორედ გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით. აღნიშნული მოცემულობის ფარგლებში, შერჩევის პროცესში ვიხელმძღვანელებთ შემდეგი პრინციპებით: ჩვენ გვჯერა, რომ ინდიკატორებმა მთავრობებს არ უნდა წაუყენოს მონაცემთა შეგროვების მომთხოვნი პირობები და არ უნდა დააკისროს დააკისროს დამატებითი ტვირთი. ამავდროულად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ინდიკატორებმა გარკვეული როლი უნდა ითამაშოს მონაცემთა შეგროვებისთვის ახალი ძალისხმევის კატალიზირებისა და შესაძლებლობების განვითარების კუთხით, რაც "მონაცემთა რევოლუციისკენ" მიმავალი გზის შემადგენელი ნაწილია. მოკლედ რომ ვთქვათ, ინდიკატორები უნდა იყოს რეალისტური და ამავდროულად, არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს. ინდიკატორთა შემოთავაზებული "კალათა" სწორედ ამ ორი მოთხოვნის ერთმანეთთან დაბალანსების მიზანს ემსახურება. შესაძლებლობის ფარგლებში, თითოეული განზომილება მოიცავს ინდიკატორებს, რომელიც ეყრდნობა ობიექტურ/ადმინისტრაციულ მონაცემებსა და სუბიექტურ/აღქმით მონაცემებს, რათა ინდიკატორებმა შექმნას მართლმსაჯულებაზე

ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად ამომწურავი სურათი. დაბოლოს, ზოგიერთი შემოთავაზებული ზომა ეფუძნება არსებულ ინდიკატორებს, რომელსაც წინამდებარე დოკუმენტი ზემოთ მიმოიხილავს; ზოგი ინდიკატორი ეფუძნება 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის შესახებ დიალოგის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს, ხოლო სხვა ინდიკატორები მიზნად ისახავს შეფასების არსებულ ინსტრუმენტებში იდენტიფიცირებული ხარვეზების შევსებას. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილების მიზანია ჩარჩოს უზრუნველყოფა იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აქვთ ქალებსა

და მამაკაცებს მართლმსაჯულების სისტემაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. თითოეული განზომილების ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აარჩიონ მათთვის სასურველი ინდიკატორები ან შექმნან ახალი, სპეციფიური ინდიკატორები, რომელიც მათ საჭიროებებსა და გარემოებებს შეესაბამება. მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის სრულფასოვანი შეფასების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კომპლექსური მიდგომის გამოყენება და თითოეული განზომილებიდან მინიმუმ ერთი ინდიკატორის შერჩევა.

3.2. შემოთავაზებული ინდიკატორების კალათა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, მათ შორის იმ სპეციფიური გამოწვევების შესაფასებლად, რომელსაც ქალები აწყდებიან

3.2.1. ხელსაყრელი გარემო i. სამართლებრივი ჩარჩო

სასამართლოები და ეფექტიანი სამართლებრივი პროცესები მნიშვნელოვან კარგავს, თუ მოქალაქეებს არ ენიჭებათ მყარი უფლებები, რომელთა მოთხოვნა და აღსრულება შესაძლებელია ამ სასამართლოებისა და პროცესების საშუალებით. სწორედ სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრავს, თუ რომელი საკითხებია განსჯადი და ექვემდებარება მოგვარებას სამართლებრივი საშუალებებით. ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, რომელიც მოქალაქეებისათვის თანაბარ უფლებებს უზრუნველყოფს, მართლმსაჯულების საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სისტემის საფუძველია. უთანასწორო

კანონები ან ისეთი კანონები, რომლებიც გენდერულ ასპექტს არ ითვალისწინებს, ქალებსა და მამაკაცებს მხოლოდ ფორმალურად ანიჭებს უფლებებს, ხოლო რეალურად, ქალებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, ზღუდავს ქალების შესაძლებლობას, მიაღწიონ მართლმსაჯულების სამართლიანს შედეგებს. კანონები, რომლებიც შეეხება ქმედუნარიანობასა და სამართლებრივ სტატუსს, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებს, ქორწინებასა და განქორწინებას, ხშირად ხელს უწყობს დისკრიმინაციას და ზღუდავს ქალთა გაძლიერებას.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
რამდენად შეესაბამება შიდასახელმწიფოებრივი კანონები სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებს ადამიანების უფლებებისა და ქალთა უფლებების შესახებ	ინტერვიუ ექსპერტთან/სამართლებრივი დოკუმენტების მიმოხილვა	MESECVI
რამდენად შეესაბამება საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა ორგანოების პრეცედენტული სამართალი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებს ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების შესახებ	ინტერვიუ ექსპერტთან/პრეცედენტული სამართლის დოკუმენტების მიმოხილვა	ეს ინდიკატორი ავსებს წინამორბედ ინდიკატორს და მონიტორინგს უწევს ადამიანის უფლებათა ორგანოების სამართლებრივ გადაწყვეტილებებს, რომელიც, პრეცედენტული სამართლის სახით, წარმოადგენს კანონმდებლობის დამატებით წყაროს
რამდენად შეესაბამება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ	ინტერვიუ ექსპერტთან/სამართლებრივი დოკუმენტების მიმოხილვა	MESECVI
რამდენად შეესაბამება საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა ორგანოების პრეცედენტული სამართალი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ	ინტერვიუ ექსპერტთან/პრეცედენტული სამართლის დოკუმენტების მიმოხილვა	ეს ინდიკატორი ავსებს წინამორბედ ინდიკატორს და მონიტორინგს უწევს ადამიანის უფლებათა ორგანოების სამართლებრივ გადაწყვეტილებებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მომდინარე უფლებებთან დაკავშირებით
რამდენად კრძალავს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას შემდეგ სფეროებში (დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აარჩიონ ერთი ან მეტი სფერო, თავიანთი საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით) - ქმედუნარიანობა/სამართლებრივი სტატუსი - საკუთრების უფლებები - მემკვიდრეობის უფლებები - ქორწინებასთან დაკავშირებული უფლებები - განქორწინებისა და ბავშვებზე მეურვეობის მიღების უფლება - საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება - ეროვნების მიღების, შეცვლის, შენარჩუნების ან გადაცემის უფლებები - განათლების უფლებები - დასაქმების უფლებები	ინტერვიუ ექსპერტთან/სამართლებრივი დოკუმენტების მიმოხილვა	CEDAW-ით და WBL ინდექსით მოცული სფეროები

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
<p>შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ქალებისა და მამაკაცებისათვის რამდენად უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას შემდეგ სფეროებში (დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აარჩიონ ერთი ან მეტი სფერო, თავიანთი საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით)</p> <ul style="list-style-type: none"> - ქმედუნარიანობა/სამართლებრივი სტატუსი - საკუთრების უფლებები - მემკვიდრეობის უფლებები - ქორწინებასთან დაკავშირებული უფლებები - განქორწინებისა და ბავშვებზე მეურვეობის მიღების უფლება - საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება - ეროვნების მიღების, შეცვლის, შენარჩუნების ან გადაცემის უფლებები - განათლების უფლებები - დასაქმების უფლებები 	<p>ინტერვიუ ექსპერტთან/სამართლებრივი დოკუმენტების მიმოხილვა</p>	<p>CEDAW-ით და WBL ინდექსით მოცული სფეროები</p>
<p>ისეთი კანონების არსებობა, რომელიც ახდენს შემდეგი დანაშაულების კრიმინალიზებას (დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აარჩიონ ერთი ან მეტი სფერო, თავიანთი საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით):</p> <ul style="list-style-type: none"> - ფსიქოლოგიური და სისხლის სამართლის წესით დასაჯადი ძალადობა - ადევნება - სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით (მათ შორის მეუღლის/პარტნიორის მიერ) - იძულებითი ქორწინება - ქალების სასქესო ორგანოების დასახიჩრება - იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია - სექსუალური შევიწროება და ამ დანაშაულის ხელშეწყობა ან თანამონაწილეობა და მცდელობა - კორუფციის სექსუალიზებული ფორმები 	<p>სამართლებრივი დოკუმენტების მიმოხილვა</p>	<p>ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია), მუხლები 33-41 მსგავს ინდიკატორს იყენებს MESECVI ინდიკატორი შემოთავაზებული იქნა UNODC-ის მიერ (კანონში გასათვალისწინებელი დანაშაულების დაკონკრეტების გარეშე) 2015 წლის შემდგომ განვითარების დღის წესრიგის შესახებ დიალოგის კონტექსტში</p>
<p>სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ იურიდიულ დაწესებულებებს (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფკავშირებს)</p>	<p>ინტერვიუ ექსპერტთან/სამაგიდო კვლევა</p>	<p>იურიდიული პირებისთვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის შესაძლებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანობისთვის. მართლაც, არაერთ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები, სტრატეგიული სამართალწარმოების საშუალებით, მნიშვნელოვან მონაპოვრებს აღწევენ ქალთა უფლებების კუთხით. ამასთან, ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა უფლებებს იცავენ, შეძლებენ თავად აწარმოონ ისეთი საქმეები, რომლებიც შეეხება პირებს, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ სურთ ან არ შეუძლიათ საქმის სასამართლოში აღძვრა, ან მომჩივნებთან ერთად აწარმოონ საქმეები, რაც საქმეებს მეტ წონას შესძენს (ეკონომიკური საშუალებებისა და ხილვადობის კუთხით).</p>
<p>ისეთი კანონების არსებობა, რომელიც ითვალისწინებს არასისხლისსამართლებრივ სანქციებს, როგორცაა დამცავი ორდერები გენდერით მოტივირებული ძალადობის, გაუპატიურებისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში</p>	<p>ინტერვიუ ექსპერტთან/სამაგიდო კვლევა</p>	<p>მხოლოდ სისხლისსამართლებრივმა სანქციებმა, შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს ადეკვატური რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის გაუპატიურების შემთხვევებზე. ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, ქალები საკუთარი და შვილების საარსებო საშუალებასთან დაკავშირებით ქმრებზე არიან დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში სანქციები, როგორცაა დამცავი ორდერები, შესაძლოა, დაცვის უფრო ადეკვატურ საშუალებას წარმოადგენდეს, ვიდრე პატიმრობა.</p>

3.2.2. მიწოდების მხარე

i. შესაძლებლობები

შესაძლებლობების შეფასება ნიშნავს მართლმსაჯულების სისტემის შესაძლებლობის "გაზომვას", რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა მართლმსაჯულებით საჭიროებებზე. შესაძლებლობა კომპლექსური ფენომენია, რომელიც მართლმსაჯულების მთლიან ჯაჭვს კრავს. რელევანტურია შესაძლებლობების როგორც ობიექტური (ადამიანური რესურსები, ტრენინგი), ისე სუბიექტური (მომხმარებლის კმაყოფილება, ექსპერტის მოსაზრება) ასპექტები, ხოლო მათი გაზომვა დაბალანსებული შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ქვემოთ წარმოდგენილი ინდიკატორები მოიცავს მართლმსაჯულების ჯაჭვის ორივე ბოლოში განთავსებულ ელემენტებს. ჩადებული რესურსების გაზომვა, როგორცაა მოსამართლეებისა და მაგისტრატის მოსამართლეების რაოდენობა ყოველ 100,000 სულ მოსახლეზე, უზრუნველყოფს სისტემის რეალური შესაძლებლობების შესახებ მყარ მონაცემებს (ინდიკატორის რელევანტურობა ეფუძნება დამუშავს იმის თაობაზე, რომ ადეკვატური რაოდენობის პერსონალი აუცილებელია სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სერვისების უზრუნველსაყოფად). მონაცემთა დეტალიზება

სქესის მიხედვით იძლევა მრავალფეროვნებისა და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლობითობის შეფასების შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან "ქალების მონაწილეობა სასამართლოში ... მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ... მართლმსაჯულების სისტემა ასახავდეს იმ საზოგადოების საჭიროებებს, რომელსაც იგი ემსახურება. ქალ მოსამართლეებს ... შეუძლიათ ხელი შეუწყონ კანონის უზენაესობის განმტკიცებას მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობაში კონტრიბუციის გზით ... და, ასევე, კანონების (მათ შორის, მართლმსაჯულებაზე ქალებისა და გოგონების ხელმისაწვდომობის შესახებ კანონების) იმპლემენტაციაში მათი როლის საშუალებით (UNODC 2013: 59).

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
მოსამართლეების/მაგისტრატის მოსამართლეების რაოდენობა ყოველ 100 000 სულ მოსახლეზე, სქესის მიხედვით	ადმინისტრაციული მონაცემები	მსგავსი ინდიკატორები: განასტატისტიკის სამსახური CEPEJ CEDAW კომიტეტის რეკომენდაცია მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ (2015: 10).
მოსამართლეების რაოდენობა, სქესის მიხედვით: - პირველი ინსტანციის სასამართლოებში - მეორე ინსტანციის სასამართლოებში - უზენაეს სასამართლოებში	ადმინისტრაციული მონაცემები	შენიშვნა: არსებობს მსგავსი ინდიკატორები, რომელიც ფორმულირებულია გენდერ-სპეციფიური ფორმით და გამოიყენება მართლმსაჯულების პროფესიაში ქალთა მონაწილეობის გასაზომად. ეს ინდიკატორებია: ქალი მოსამართლეების პროცენტული მაჩვენებელი (UNROLL, UNODC, მსოფლიო ბანკის გენდერული სტატისტიკა, MESECVI); საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეების რაოდენობა; და საკონსტიტუციო სასამართლოში ქალი მოსამართლეების რაოდენობა; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არის თუ არა ქალი (WBL).
შეტანილი საქმეების რაოდენობა, მოსამართლეების მიხედვით, გენდერისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით ჩაშლილი	ადმინისტრაციული მონაცემები	ეს ინდიკატორი მიზნად ისახავს მართლმსაჯულების რეალური შესაძლებლობების შეფასებას, მოსამართლეთა დატვირთულობის საფუძველზე. მონაცემთა გენდერისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით ჩაშლა ხაზს უსვამს შესაძლო ტენდენციებს ქალი და მამაკაცი მოსამართლეებისათვის მიკუთვნებულ საქმეების რაოდენობასთან და ტიპოლოგიასთან დაკავშირებით
ადმინისტრაციული სასამართლოს ქალი თანამშრომლების (არამოსამართლე თანამშრომლები) თანაფარდობა, თანამდებობების მიხედვით	ადმინისტრაციული მონაცემები	CEPEJ; CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ
მართლმსაჯულების მოხელეებისათვის (პოლიცია/მოსამართლეები/პროკურორები) სავალდებულო მომზადების/პროფესიული გადამზადების ტრენინგის უზრუნველყოფა გენდერულ საკითხებზე	ექსპერტთა გამოკითხვა/ინტერვიუ/საველე მონაცემები	წარმოდგენილია CEDAW კომიტეტის ზოგად რეკომენდაციაში ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ მსგავსი ინდიკატორები: MESECVI CEPEJ
რამდენად სერიოზული პრობლემაა მართლმსაჯულების მოხელეების (პოლიცია/მოსამართლეები/პროკურორები) შესაძლებლობების ნაკლებობა?	ექსპერტთა გამოკითხვა/სასამართლო პერსონალის გამოკითხვა	მსგავსი ინდიკატორები: WJP
საჯარო მოსამსახურეებისა და მოხელეების პროცენტული რაოდენობა (შესაბამის პირთა საერთო რაოდენობაში), რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგი და მიუწოდდათ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე	ადმინისტრაციული მონაცემები	MESECVI ექსპერტთა კომიტეტი (CEVI)

ii. იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და ხარისხი

უფასო და ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარების არსებობა როგორც სისხლისსამართლებრივ, ისე სამოქალაქო საქმეებზე მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ინტერვენიციები, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების უზრუნველყოფაზე დადებითად აისახება მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობაზე, ისეთ სიტუაციებში, როგორიცაა გაუპატიურების ან ძალადობის შეტყობინება და, ასევე, დაბადების, ქორწინების ან

განქორწინების სერტიფიკატის მიღება. უფასო და ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა, შესაძლოა, სახელმწიფოს მიერ იქნას შეთავაზებული, თუმცა, ხშირად, ასევე, ხორციელდება კერძო იურისტების მიერ, რომლებიც პრო ბონო მომსახურებას უზრუნველყოფენ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ, იურისტების, სამართლის სტუდენტების ან პარალელგალების საშუალებით.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
იურიდიული დახმარების პროვაიდერთა 25 რაოდენობა სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ საქმეებში, ყოველ 100 000 სულ მოსახლეზე, სქესის მიხედვით	ადმინისტრაციული მონაცემები/საველე მონაცემები	ადაპტირებულია მონოლოეთის მთავრობის "ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა, ეროვნული პროგრესის მეხუთე ანგარიშიდან"
სამართლებრივი ნორმების ან ტრადიციების არსებობა, რომლის თანახმადაც ადვოკატებს მოეთხოვებათ პრო ბონო სერვისების უზრუნველყოფა გადახდისუუნარო ადამიანებისათვის	ინტერვიუ ექსპერტთან/სამაგიდო კვლევა	ეს ინდიკატორი მოიცავს გადახდისუუნარო ადამიანებისათვის იურიდიული დახმარების სერვისების მიწოდების ალტერნატიულ მეთოდს. პრო ბონო სერვისების განვითარება, შესაძლოა, ფასეული ინსტრუმენტი აღმოჩნდეს იურიდიული სისტემის შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, რათა სისტემაზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ გადახდისუუნარო პირებს
გადახდისუუნარო ბრალდებულებისათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა	ექსპერტთა გამოკითხვა/სამაგიდო კვლევა	UNROLI (ფოკუსირებას ახდენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე)
იურიდიული ხარჯების რა პროცენტულ ნაწილს ფარავს სახელმწიფო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხდება უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა	ადმინისტრაციული მონაცემები	იმისათვის, რომ იურიდიული დახმარების სამსახური იყოს ეფექტიანი და ხარისხიანი, საჭიროა, რომ მას ადეკვატური რესურსები ჰქონდეს. ეს ინდიკატორი მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ რამდენად არის იურიდიული დახმარების სამსახურები სათანადო ბიუჯეტით უზრუნველყოფილი.
იურიდიული დახმარება ითვალისწინებს თუ არა სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებას	ექსპერტთა გამოკითხვა/სამაგიდო კვლევა იურიდიული დახმარების სერვისების პროვაიდერთა ადმინისტრაციული და პროფესიული პერსონალის გამოკითხვა მომხმარებელთა გამოკითხვა	CEPEJ ²⁶
შემოსავლის ან აქტივების შეფასება იურიდიული დახმარების მიკუთვნების შესახებ გადანაცვების მიღებისას, იმ პირის რეალური შემოსავლის ან განკარგავადი აქტივების შეფასების საფუძველზე, რომელიც დახმარებას ითხოვს	ინტერვიუ ექსპერტთან/ ადმინისტრაციული მონაცემები სასამართლოს კლერკთა გამოკითხვა	CEPEJ CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ
იურიდიული დახმარების ხარისხი	ექსპერტთა გამოკითხვა	WJP და UNROLI მსგავს ინდიკატორებს მოიცავს
იურიდიული დახმარების პროვაიდერთა რა ნაწილს წარმოადგენენ ქალები	ადმინისტრაციული მონაცემები/ საველე მონაცემები	MESECVI
სისხლის სამართლის საქმეებში იმ ბრალდებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც პროცესზე ადვოკატი ჰყავდათ, სქესის მიხედვით	ადმინისტრაციული მონაცემები	ადაპტირებულია WJP ინდიკატორიდან

iii. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

მოშორებით მდებარე მართლმსაჯულების დაწესებულებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია, რომელიც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას აფერხებს და იგი არაპროპორციულად აისახება გადახდისუნარო და არახელსაყრელ პირობებში მყოფ ადამიანებზე, მათ შორის ქალებსა და სოფლად მაცხოვრებლებზე, რომელთაც სატრანსპორტო საშუალებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა აქვთ. მანძილი გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე - დიდ მანძილზე გადაადგილება მოითხოვს საკმარის დროსა და ფინანსებს. მან, ასევე, შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლის დაკარგვაც იმის გამო, რომ ადამიანს მოუწევს სამსახურის რამოდენიმე საათით ან დღით გაცდენა, რათა სასამართლო პროცესში მიიღოს მონაწილეობა. გადახდისუნარო ქალები განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან,

რადგან მათ ოჯახის რესურსებზე შეზღუდული წვდომა აქვთ და ასევე შეზღუდულია მათი გადაადგილების შესაძლებლობა, ტრადიციების ან, სულაც, დროის უქონლობის, ბავშვის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მოვალეობებისა და სატრანსპორტო საშუალების არქონის გამო. მართლმსაჯულების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე ორიენტირებული ინდიკატორები უნდა ეყრდნობოდეს როგორც ობიექტურ/ადმინისტრაციულ მონაცემებს, ისე ალქმით მონაცემებს, რათა შეძლოს არა მხოლოდ ფიზიკური მანძილის ასახვა, არამედ, იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ფიზიკური მანძილი ადამიანების ალქმაზე მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
მართლმსაჯულების დაწესებულებების რაოდენობა ყოველ 100,000 სულ მოსახლეზე და მათი გეოგრაფიული მდებარეობა	ადმინისტრაციული მონაცემები	ადაპტირებულია CEPEJ-დან
იმ ადამიანების %, რომელთაც თავიანთი მაცხოვრებელი ადგილიდან მართლმსაჯულების დაწესებულებამდე მისასვლელად სჭირდებათ (X დრო)	ადმინისტრაციული მონაცემები/საველე მონაცემები	ადაპტირებულია ღია საზოგადოების ფონდისა და ორგანიზაცია Namati-ს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორიდან, 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის შესახებ დიალოგის კონტექსტში
იმ ადამიანების %, ვისაც მიაჩნია, რომ მართლმსაჯულების დაწესებულება ფიზიკურად ხელმისაწვდომია, სქესის მიხედვით	შინამეურნეობის გამოკითხვა	ეს ინდიკატორი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხს უდგება მართლმსაჯულების მძიებელი პირების თვალთახედვის გათვალისწინებით და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების დაწესებულებებამდე არსებული მანძილის შესახებ ობიექტური მონაცემების შევსებას. სუბიექტური მონაცემები გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე აუცილებელია კონკრეტული პირების ან ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი გარემოებების ასახვის მიზნით - მაგალითად, გარკვეულ გზებზე გადაადგილების სირთულე, სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობა და სოციალურ-კულტურული ბარიერები, რომელიც ზღუდავს გადაადგილებას. მაგალითად, ინდონეზიაში UNDP-ის კვლევის რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა განაცხადა, რომ "სასამართლოები მათი სახლიდან ფიზიკურად ხელმისაწვდომ ადგილას მდებარეობდა" (UN Women 2011: 54).
კონფიდენციალობის დასაცავად საჭირო პროცედურებისა და ცალკეული სივრცეების არსებობა (მაგალითად, ცალკე ოთახი) დანაშაულის შესატყობინებლად, ჩვენების მისაცემად და მოსაცდელად (ჩამოთვალეთ ყველა არსებული პროცედურა და სივრცე)	ინტერვიუ ექსპერტთან/საველე მონაცემები	ისეთი პროცედურების და სივრცეების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალობის დაცვას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გაუპატიურების შემთხვევებში, მაგალითად, მსხვერპლებისა და მოწმეების მიერ ჩვენების მისაცემად ცალკე ოთახების არსებობა ამცირებს ტრავმასა და შიშს და დანაშაულის შეტყობინებას უწყობს ხელს. ²⁷
იოლად ხელმისაწვდომი ცენტრების არსებობა გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სამედიცინო და სასამართლო-სამედიცინო შემოწმებების ჩატარების, ტრავმის შემთხვევაში დახმარების და კონსულტაციის უზრუნველყოფის მიზნით.	ინტერვიუ ექსპერტთან/საველე მონაცემები	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია), მუხლი 25

მგზავრობის დროისა და დისტანციის ალქმის შესახებ მონაცემების შევსება შესაძლებელია დეტალიზებული მონაცემებით საჯარო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის (არსებობა და ფინანსური ხელმისაწვდომობა) და კერძო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის შესახებ და ასევე, ისეთი არაფორმალური ბარიერების შესახებ, როგორცაა თემის ლიდერებისგან ნებართვის მიღების აუცილებლობა.

iv. ღირებულება

ოფიციალური და არაოფიციალური ღირებულება, ასევე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით გადახდისუუნარო და არახელსაყრელ პირობებში მყოფი ადამიანებისათვის, ქალების ჩათვლით, რომელთაც ეკონომიკურ რესურსებზე შეზღუდულად მიუწვდებათ ხელი. სამართლებრივი წარმომადგენლობის ღირებულება, სასამართლო ხარჯები,

მგზავრობის ღირებულება და სამსახურში გაცდენილი დროის გამო დაკარგული შემოსავალი, რასაც, შესაძლოა, თან ერთოდეს ქრთამის მოთხოვნა, კიდევ უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მოწყვლად ჯგუფებს.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
<p>სასამართლო წარმოების საშუალო ღირებულება (იურიდიული წარმომადგენლობის/დახმარების ჩათვლით) ისეთ საჩივრებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება (დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აარჩიონ ერთი ან მეტი სფერო, თავიანთი საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით):</p> <ul style="list-style-type: none"> - განქორწინებას - კონტრაქტის აღსრულებას - თანამშრომლების გათავისუფლების საქმეებს - უძრავ ქონებას - გადახდისუუნარობის საქმეებს - მემკვიდრეობას - ბავშვზე მზრუნველობას - ძარცვის შემთხვევებს - განზრახ მკვლელობის შემთხვევებს - გაუპატიურების შემთხვევებს - ოჯახში ძალადობის შემთხვევებს - სექსუალურ ძალადობას (გარდა გაუპატიურებისა და ოჯახში ძალადობისა) - შემაკავებელ ორდერებს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, გაუპატიურების ჩათვლით 	<p>ადმინისტრაციული მონაცემები/საველე მონაცემები/შინამეურნეობის კვლევა/ექსპერტთა გამოკითხვა</p>	<p>ადაპტირებულია UNROLI-დან და აღმოსავლეთ ტიმორის საცხოვრებელი სტანდარტების კვლევის გაგრძელებიდან (2008)</p>
<p>იმ ადამიანების %, რომლებიც აცხადებენ, რომ სასამართლოები ფინანსურად ხელმისაწვდომია, სქესის მიხედვით</p>	<p>შინამეურნეობის კვლევა</p>	<p>ადაპტირებულია WJP-დან</p>
<p>ადამიანების %, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ქრთამის და არაოფორმალური გადასახადების გადახდა ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელება მოსთხოვენ, მათ შორის სექსუალური ქმედების, სასამართლო პროცესის დაწყების ან დაჩქარების სანაცვლოდ ან მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად, სქესის მიხედვით</p>	<p>ექსპერტთა გამოკითხვა/ინტერვიუ/შინამეურნეობის კვლევა</p>	<p>შემოთავაზებულია UNDOC-ის მიერ, 2015 წლის შემდგომ განვითარების დღის წესრიგის შესახებ დიალოგის კონტექსტში; გათვალისწინებულია “მე-16 მიზნის პრიორიტეტულ ინდიკატორებში”, რომელიც შემოთავაზებულია 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ</p>

v. დრო

სასამართლო პროცედურების გაჭიანურება აფერხებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, რადგან მომჩივნებს ართმევს დროული სამართლებრივი დაცვის, დანაშაულის მსხვერპლებს დროული დაცვის (მაგალითად, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის საშუალებით), ხოლო დაკავებულ ეჭვმიტანილებს კი მათი პასუხისმგებლობის დასადგენად პროცესის დროულად გამართვის შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლოში ხშირად და ხანგრძლივი დროით გამოცხადების ვალდებულება შესაძლოა, ზედმეტ ტვირთად იქცეს. მანძილისა და

ლირებულების მსგავსად, სასამართლო პროცედურების ხანგრძლივობა სხვადასხვა პირებსა და ჯგუფებზე განსხვავებულ გავლენას ახდენს. ამ საკითხის შეფასება საჭიროებს ჩაშლილი ადმინისტრაციული, სუბიექტური და ალემთი მონაცემების შეგროვებას.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
<p>სასამართლო წარმოების საშუალო ხანგრძლივობა ისეთ საჩივრებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება (დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აარჩიონ ერთი ან მეტი სფერო, თავიანთი საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით):</p> <ul style="list-style-type: none"> - განქორწინებას - კონტრაქტის აღსრულებას - თანამშრომლების გათავისუფლების საქმეებს - უძრავ ქონებას - გადახდისუნარიობის საქმეებს - მემკვიდრეობას - ბავშვზე მზრუნველობას - დარცვის შემთხვევებს - განზრახ მკვლელობის შემთხვევებს - გაუპატიურების შემთხვევებს - ოჯახში ძალადობის შემთხვევებს - სექსუალურ ძალადობას (გარდა გაუპატიურებისა და ოჯახში ძალადობისა) - შემაკავებელ ორდერებს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, გაუპატიურების ჩათვლით <p>რა დრო სჭირდება საქმის დასრულებას, ჩაშლილი მომჩივნის/ბრალდებულის/დაზარალებულის/მოძალადის სქესის და საქმის კატეგორიის მიხედვით</p>	<p>ადმინისტრაციული მონაცემები</p>	<p>CEPEJ</p>
<p>რა დრო სჭირდება საქმის დასრულებას, ჩაშლილი მოპასუხის სქესის მიხედვით</p>	<p>მომხმარებელთა კვლევა</p>	<p>ადაპტირებულია WJP-დან</p>
<p>რამდენად მნიშვნელოვანია პროცესის ხანგრძლივობის პრობლემა სისხლის სამართლის, სამოქალაქო და კომერციულ სასამართლოებში ან მართლმსაჯულების ტრადიციულ/რელიგიურ დანესებულებებში?</p>	<p>ექსპერტთა გამოკითხვა/inter-view/მომხმარებელთა კვლევა</p>	<p>ადაპტირებულია WJP-დან (WJP-ის ინდიკატორი მხოლოდ სახელმწიფო მართლმსაჯულების მექანიზმებს შეეხება)</p>
<p>უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებობა (ჩამოთვალეთ უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება, ისეთი როგორიცაა, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები ან შემაკავებელი ორდერები)</p>	<p>ექსპერტული ინტერვიუ/სამაგიდო კვლევა</p>	<p>შუალედური ღონისძიებები არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართლმსაჯულების სისტემის დროულ რეაგირებაზე, ადამიანთა საჭიროებების შესაბამისად. ხელმისაწვდომი უზრუნველყოფის ღონისძიებები, როგორცაა ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები ან შემაკავებელი ორდერები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგალითად, ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის</p>
<p>12 თვეზე მეტი ხნის ვადით წინასწარ პატიმრობაში მყოფი ეჭვმიტანილების რაოდენობა, ჩაშლილი სქესის მიხედვით</p>	<p>ადმინისტრაციული მონაცემები</p>	<p>გათვალისწინებულია "მე-16 მიზნის პრიორიტეტული ინდიკატორებში", რომელიც შემოთავაზებულია 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ</p>

vi. სპეციალიზებული სასამართლოები

სპეციალიზებული სასამართლოების არსებობა, სადაც მოქმედებს მარტივი და იაფი პროცედურები, როგორცაა საოჯახო დავების ან წვრილმანი დავების განხილველი სასამართლოები, მნიშვნელოვნად ამცირებს ხელმისაწვდომობის ბარიერებს. მართლმსაჯულების იაფ,

მარტივ და სწრაფ პროცესებს განსაკუთრებული სარგებელი მოაქვს გარკვეული ჯგუფებისათვის, როგორებიც არიან მცირე მენარმეები (აღნიშნულ კატეგორიაში შედის ქალი მენარმეების უმეტესობა) ან მეუღლეები, რომელთაც განქორწინება ან ალიმენტის მიღება სურთ.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
მცირე ზომის საჩივრების განხილველი სასამართლოს ან წვრილმანი დავების დაჩქარებულით წესით განხილვის პროცედურის არსებობა, და წვრილმანი დავების მაქსიმალური ღირებულება (ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის რა %-ია).	ექსპერტთა გამოკითხვა/ინტერვიუ	WBL
სპეციალიზებული სასამართლოს ან პროცედურის არსებობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე	ექსპერტთა გამოკითხვა	WBL
წვრილმანი დავების/ოჯახური დავების განხილველი სასამართლოების რაოდენობა ყოველ 100,000 სულ მოსახლეზე და მათი გეოგრაფიული მდებარეობა	ადმინისტრაციული მონაცემები	ადაპტირებულია CEPEJ-დან
იმ ადამიანთა %, რომელთაც სახლიდან (სპეციალიზებულ სასამართლომდე) მოსახვედრად (X დროის პერიოდი) სჭირდებათ	ადმინისტრაციული მონაცემები/საველე მონაცემები	ადაპტირებულია ღია საზოგადოების ფონდისა და ორგანიზაცია Namati-ს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორიდან, 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის შესახებ დიალოგის კონტექსტში
იმ ადამიანთა %, რომელიც აცხადებს, რომ (სპეციალიზებული სასამართლო) ფიზიკურად ხელმისაწვდომ მანძილზე მდებარეობს, სქესის მიხედვით	შინამეურნეობის კვლევა	ახალი ინდიკატორი 2015 წლის შემდგომ განვითარების დღის წესრიგის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების მაღალი დონის პანელი
სპეციალიზებული სასამართლოების მიერ 1 კალენდარული წლის მანძილზე მიღებული და განხილული საქმეების რაოდენობა, მათ შორის: - მიმდინარე საქმეები 1-ლი იანვრის მდგომარეობით - შეტანილი საქმეები - დასრულებული საქმეები - საქმეები, რომელთა განხილვაზეც სასამართლომ უარი განაცხადა/საქმეები, რომელიც სისტემიდან გავიდა - მიმდინარე საქმეები 31 დეკემბრის მდგომარეობით	ადმინისტრაციული მონაცემები	ადაპტირებულია CEPEJ-ს ინდიკატორებიდან

vii. პროცესის (მსხვერპლთა უფლებების ჩათვლით) და შედეგის სამართლიანობა

მართლმსაჯულების სისტემის უნარი, უზრუნველყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული პროცესი და შედეგი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ელემენტია. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ნიშნავს არამხოლოდ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას, არამედ უფლებას ისეთ სამართალწარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს

დავების გადანყვეტას სამართლიანად, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე; ისეთ შედეგს, რომელიც ორივე მხარისათვის დავის გადაჭრის მისაღები გზას წარმოადგენს; აღსრულებად შედეგს; სათანადო დაცვასა და მხარდაჭერას დანაშაულის მსხვერპლებისათვის, მათ შორის, მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება თავისუფალია გენდერით მოტივირებული დისკრიმინაციისგან	ექსპერტთა გამოკითხვა	WJP
მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისებისა და პროცედურების არსებობა (ჩამოთვალეთ ყველა არსებული სერვისები და პროცედურები, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, მსხვერპლის უფლება, სასამართლო პროცესზე თან ახლდეს მხარდამჭერი პირები)	ინტერვიუ ექსპერტთან/სამაგიდო კვლევა	გარდა სამართლიანი სასამართლოსი, მხარდაჭერის სერვისები მნიშვნელოვანია მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თავშესაფრები, ტრავმის შემთხვევაში დახმარება და კონსულტაცია, დანაშაულთან დაკავშირებით ფინანსურ საკითხებზე კონსულტაცია, რისკისა და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის შესახებ კონსულტაცია წარმოადგენს ზომებს, რომელსაც ითვალისწინებს მსხვერპლთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის, მათ შორის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/EU დირექტივა (მსხვერპლთა დირექტივა) (FRA 2014).
საქმეების შედეგები, ჩაშლილი დავის ტიპებისა და მსხვერპლის/მოძალადის/მომჩინის/ბრალდებულის სქესის მიხედვით	სასამართლო მასალების შესწავლა	CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ

3.2.3. მოთხოვნის მხარე

i. ყველაზე გავრცელებული პრობლემები, რომელსაც აწყდებიან მოქალაქეები მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის განხორციელებული ქმედებები

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მოქალაქეთა საჭიროებებისა და გამოწვევების შესწავლა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინტერვენციებმა და პოლიტიკამ ეფექტიანი შედეგები გამოიღოს. ამავდროულად, მხოლოდ რამოდენიმე ინდიკატორი ახდენს ამ საკითხებზე ფოკუსირებას. სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, მათ შორის, შინამეურნეობებისა და მომხმარებლების გამოკითხვის,

ექსპერტებთან ინტერვიუების, ადმინისტრაციული მონაცემებისა და საქმის მასალების მიმოხილვის გზით მოპოვებული უნდა იქნას მონაცემები დავის ტიპების, ჩადენილი დანაშაულების, მოქალაქეთა მიერ განხორციელებული ქმედებების და ხელმისაწვდომობის აღქმული ან არსებული ბარიერების შესახებ, რათა მოხდეს შეგროვებული მონაცემების შევსება და ჯვარედინი გადამოწმება.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
დავის მოგვარების მექანიზმში წარდგენილი საჩივრების ტიპი და რაოდენობა, დეტალიზებული სქესის მიხედვით	ადმინისტრაციული მონაცემები/ საქმის მასალების ანალიზი	CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ
ძირითადი განსჯადი საკითხები, სქესის მიხედვით	მომხმარებელთა კვლევა/ექსპერტული ინტერვიუ	საცხოვრებელი სტანდარტების კვლევა Afrobarometer
დავის მოსაგვარებლად განხორციელებული ქმედებები (მათ შორის, დავის მოგვარების მექანიზმისათვის მიმართვა) და რატომ განხორციელდა კონკრეტული ქმედება, დეტალიზებული სქესის მიხედვით	მომხმარებელთა კვლევა/ექსპერტული ინტერვიუ/საქმის მასალების ანალიზი	საცხოვრებელი სტანდარტების კვლევა
შეუტყობინებელი ძალადობის მაჩვენებელი: იმ გოგონებისა და მოზარდების, სრულწლოვანი და ხანდაზმული ქალების რაოდენობა, რომელთაც ბოლო 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა სახის ძალადობა განიცადეს და ძალადობის შემთხვევის შესახებ არ განაცხადეს, გაყოფილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში არსებული ქალების საერთო რაოდენობაზე	შინამეურნეობის კვლევა	MESECVI ექსპერტთა კომიტეტი (CEVI)
მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ძირითადი ბარიერები, სქესის მიხედვით	შინამეურნეობის კვლევა (კითხვები იმ რესპონდენტებისთვის, რომელთაც დავასთან დაკავშირებით განახორციელეს ქმედება)/მომხმარებელთა კვლევა/ინტერვიუ ექსპერტთან	ამ ინდიკატორის მიზანია პირველწყაროსგან მონაცემების მიღება იმ ბარიერების შესახებ (აღქმული ან რეალური), რომელსაც განიცდიან ქალები და მამაკაცები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ეს ბარიერები, შესაძლოა, მოიცავდეს ეკონომიკური რესურსების ნაკლებობას, სისტემის მიმართ უნდობლობას, არსებული უფლებებისა და დაცვის საშუალებების შესახებ ცოდნის ნაკლებობას. ერთი ან მეტი ბარიერის ზუსტად განსაზღვრა უაღრესად მნიშვნელოვანია წარმატებული პოლიტიკისა და ინტერვენციების შესამუშავებლად, რომელიც მართლმსაჯულებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს მიზნად (CEDAW კომიტეტი 2015: 4, 11-13).

ii. სამართლებრივი ცნობიერება

არსებული უფლებებისა და დავების მოგვარების მექანიზმების შესახებ ცნობიერების და მართლმსაჯულების სისტემაში ნავიგაციის შესაძლებლობის ნაკლებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას არაერთი ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, ქალებისთვის. კერძოდ, სამართლებრივი დებულებებისა და

სასამართლო პროცედურების შესახებ მათი ინფორმირებულობის ნაკლებობა, ძირითადად, გამოწვეულია ზოგადი და სამართლებრივი ცოდნის დაბალი დონით (ან არარსებობით), დროის ნაკლებობითა და ეკონომიკური რესურსების სიმწირით. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ცნობიერების შეფასება საკმაოდ რთულია, იგი მნიშვნელოვანი საკითხია "მოთხოვნის მხარის" შესაძლებლობების შესაფასებლად.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
ქალები და მამაკაცები რამდენად არიან ინფორმირებული კონკრეტული კანონების/უფლებების შესახებ, რომელიც რელევანტურია ეროვნულ კონტექსტში	შინამეურნეობის კვლევა	ადაპტირებულია "მშვიდობისა და სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ საერთაშორისო დიალოგის" მიერ შემოთავაზებული ინდიკატორიდან
ქალები და მამაკაცები რამდენად არიან ინფორმირებული დავების მოგვარების არსებული ხუთი ძირითადი მექანიზმის შესახებ	შინამეურნეობის კვლევა	ადაპტირებულია განას საცხოვრებელი სტანდარტების კვლევიდან (მე-6 რუნდი)
ქალებს და მამაკაცებს რამდენად მიაჩნიათ, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა გამართლებულია შემდეგ სიტუაციებში: - თუ იგი გარეთ გავა ისე, რომ ქმარს არ გააფრთხილებს - თუ იგი ბავშვებს არ მიაქცევს ყურადღებას - თუ იგი ქმარს ეკამათება - თუ უარს აცხადებს მასთან სექსუალურ კავშირზე - თუ საკვებს დანავს	შინამეურნეობის კვლევა/ მამაკაცების მოდული და ქალების მოდული	DHS
ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა, რომელთაც ისარგებლეს სამართლებრივი დახმარებით, სქესისა და შემოსავლის მიხედვით	ადმინისტრაციული მონაცემები	ამ ინდიკატორის მიზანია იურიდიულ დახმარებაზე ქალების რეალური წვდომის გაზომვა. მაშინაც კი, როდესაც სამართლებრივი დახმარების სისტემები არსებობს და აათანადოდ არის დაფინანსებული, ქალები, შესაძლოა ნაწყენდნენ ხელმისაწვდომობის შემზღუდავ ბარიერებს, როგორცაა, მაგალითად, კულტურული და სოციალური ღირებულებები, რომელიც მათ დახმარების მოძიებაზე უარს ათქმუვინებს. მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად სარგებლობენ ქალები იურიდიული დახმარებით ნათელს მოჰყენს მოთხოვნის მხარეს არსებულ ბარიერებს, რომლის გათვალისწინებაც სხვა შემთხვევაში არ მოხდებოდა
ქალებისა და მამაკაცებისათვის სამართლებრივი ცოდნის და ცნობიერების პროგრამების არსებობა და გავლენა, რომელიც ფოკუსირებას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე, გენდერით მოტივირებულ ძალადობაზე და ქალებისათვის საინტერესო სხვა მიმართულებებზე. ბოლო კალენდარული წლის მანძილზე ჩატარებული პროგრამების რაოდენობა და შინაარსი. იმ ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს პროგრამაში. პროგრამების "გაზომვადი" გავლენა სამართლებრივი ცოდნისა და ცნობიერების გაზრდის კუთხით	სავლე და ადმინისტრაციული მონაცემები/მონაწილეთა გამოკითხვა (საბაზისო მონაცემები და შეფასება)	ეს ინდიკატორი მიზნად ისახავს იმ ძალისხმევის შეფასებასა და სტიმულირებას (როგორც მთავრობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან), რომლის მიზანია ქალთა შესაძლებლობის გაუმჯობესება საკუთარი უფლებების დაცვისა და იურიდიულ და სამართლებრივ სისტემაში ნავიგაციის კუთხით. ეს ინდიკატორი, ასევე, აფასებს ამ ძალისხმევის შედეგებს. აღნიშნული პროგრამები, როგორც წესი, განსაკუთრებით სასარგებლოა ქალებისათვის, მათი შედარებით დაბალი ზოგადი და სამართლებრივი ცოდნის გათვალისწინებით, და უარესად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

სამართლებრივი ცოდნის, უფლებების შესახებ ინფორმირებულობისა და მობილობის შესახებ (სატრანსპორტო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით) მონაცემები, რომელიც დეტალიზებულია სქესის მიხედვით, ქალებისა და მამაკაცების საჭიროებების უკეთ გააზრებისა და იმ ინტერვენციების კიდევ უფრო დახვეწის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც იურიდიულ დახმარებაზე ახდენს ფოკუსირებას.

iii. საქმეების სისტემიდან გადინება

მაშინაც კი, როდესაც დავა ან დანაშაული მართლმსაჯულების სისტემაში ხვდება²⁸, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საქმე მიაღწევს საბოლოო ეტაპს და საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. მართლმსაჯულების სისტემაში ნავიგაცია კომპლექსური პროცესია და საჭიროებს რესურსებს, უნარებსა და ნებას როგორც მოქალაქეების, ისე მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების მხრიდან. მომჩივნებმა და დაზარალებულებმა (თუ კანონი ამის საშუალებას იძლევა), შესაძლოა, საქმე შეწყვიტონ სამართლებრივი ცოდნისა და სისტემაში ნავიგაციის შესაძლებლობის ნაკლებობის ან ეკონომიკური რესურსების, დროისა თუ ინტერესის სიმცირის გამო. აღნიშნული, შესაძლოა, ასევე, განპირობებული იქნას სოციალური ან ოჯახის მიერ განხორციელებული ზეწოლის ან შურისძიების შიშის შედეგად. საქმე, შესაძლოა,

შეწყვიტოს თავად პოლიციამ, პროკურორებმა ან მოსამართლეებმა, იმის გამო, რომ მოძალადე ვერ იქნა იდენტიფიცირებული, მტკიცებულების ნაკლებობის ან სხვა პროცედურული საკითხების გამო.²⁹ ამ ფენომენს ეწოდება საქმეების სისტემიდან გადინება და იგი განსაკუთრებით მწვავეა გაუპატიურების შემთხვევებში, რადგან საქმეთა შეწყვეტის მაჩვენებელი არის საკმაოდ მაღალი და მხოლოდ საქმეთა მცირე რაოდენობა სრულდება დამნაშავის მსჯავრდებით.³⁰ მონაცემების შეგროვება საქმეების სისტემიდან გადინებაზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს იმ ბარიერებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, რაც ზღუდავს ადამიანების შესაძლებლობას, მიიღონ სამართლიანი მართლმსაჯულების შედეგი - და დაისახოს სტრატეგიები პრობლემის გადასაჭრელად.

ინდიკატორი	მონაცემთა წყარო/ვერიფიკაციის საშუალება	იყენებს/შემოთავაზებულია/კომენტარები
საქმეების სისტემიდან გადინების ყოველწლიური მაჩვენებელი გაუპატიურების შემთხვევებში, პროცედურული ეტაპისა და გადინების მიზეზის მიხედვით, ჩამოლილი იმის მიხედვით, არის თუ არა მსხვერპლი არასრულწლოვანი	ადმინისტრაციული მონაცემები/ინტერვიუ ექსპერტთან	საქმეების სისტემიდან გადინება განსაკუთრებით მწვავეა გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევებში, ოჯახში ძალადობის ჩათვლით. თუმცა, მონაცემები გადინების შესახებ მწირია. ამ ინდიკატორების მიზანია გადინების ფენომენის შეფასება და შესაბამისი მონაცემების შეგროვების ნახალისება. ამასთან, საქმის შეწყვეტის სოციალური წნეხი განსაკუთრებით მწვავეა სრულწლოვანი ქალების, ვიდრე ბავშვების (არასრულწლოვნების) შემთხვევაში. ამრიგად, გადინების მაჩვენებლის გაზომვა ამ ორ ასაკობრივ ჯგუფთან მიმართებით, ცალ-ცალკე, ნათელს მოჰფენს პრობლემის რეალურ განზომილებას.
საქმეების სისტემიდან გადინების ყოველწლიური მაჩვენებელი ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, პროცედურული ეტაპისა და გადინების მიზეზის მიხედვით, ჩამოლილი იმის მიხედვით, არის თუ არა მსხვერპლი არასრულწლოვანი	ადმინისტრაციული მონაცემები/ინტერვიუ ექსპერტთან	
საქმეების სისტემიდან გადინების ყოველწლიური მაჩვენებელი სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, პროცედურული ეტაპისა და გადინების მიზეზის მიხედვით, ჩამოლილი იმის მიხედვით, არის თუ არა მსხვერპლი არასრულწლოვანი	ადმინისტრაციული მონაცემები/ინტერვიუ ექსპერტთან	

iv. ნდობა სამართლის სისტემ(ებ)ის მიმართ

მართლმსაჯულების პროცესებისა და შედეგების საჯარო აღქმა, ასევე, განსაზღვრავს მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის ხარისხს. მართლმსაჯულების სისტემაში ნდობის ნაკლებობა აფერხებს ხელმისაწვდომობას იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ არიან დარწმუნებული, რომ მათი საჩივარი ეფექტიანად და სამართლიანად იქნება განხილული. განსხვავებული კულტურა, ღირებულებები, კორუფციის აღქმა, არაეფექტიანობა და დისკრიმინაცია, ეს ის ელემენტებია,

რომელიც მოქალაქეებს მართლმსაჯულების მანქანის მიმართ უნდობლობას უჩენს. მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის გაზომვა ნათელს მოჰყენს იმას, თუ რამდენად რეაგირებს მართლმსაჯულების სერვისები ადამიანების საჭიროებებზე.³¹ აღქმის მონაცემების ჩაშლა უზრუნველყოფს ღირებულ ინფორმაციას მართლმსაჯულების პროცესში ქალებისა და მამაკაცების გამოცდილებების შესახებ.

მოქალაქეებს მიაჩნიათ თუ არა, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა, სქესის მიხედვით	შინამეურნეობის კვლევა	ადაპტირებულია ღია საზოგადოების ფონდისა და ორგანიზაცია Namati-ს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორიდან, 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის შესახებ დიალოგის კონტექსტში
იმ ადამიანების %, რომელსაც მიაჩნია, რომ მას პოლიცია/მოსამართლეები/პროკურორები/ტრა დიციული ლიდერები/რელიგიური ლიდერები სამართლიანად და დისკრიმინაციის გარეშე მოეპყრობიან, სქესის მიხედვით	შინამეურნეობის კვლევა	UNROLI Afrobarometer
იმ ადამიანებისგან, ვისაც საჩივარი აღუძრავს, რამდენს (%) მიაჩნია, რომ მას დავის მოგვარების დამაკმაყოფილებელ მექანიზმზე მიუწვდება ხელი, სქესის მიხედვით ³²	შინამეურნეობის კვლევა	გათვალისწინებულია "მე-16 მიზნის პრიორიტეტულ ინდიკატორებში", რომელიც შემოთავაზებულია 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ

დანართი: ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის იმედის მომცემი მიდგომები³³

ბარიერები, რომელიც ზღუდავს ქალების ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე არის უამრავი და ერთმანეთისაგან განსხვავებული. ეს ბარიერები მოიცავს ინსტიტუციურ ფორმებს, ფუნქციებსა და კულტურას; ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ბარიერებს; და სოციალურ-კულტურულ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც ქალებს არ აძლევს საშუალებას, ისარგებლონ დავების მოგვარების საჯარო მექანიზმებითა და სამართალდამცავი ორგანოებით. რადგან მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი ბარიერები კომპლექსური და მრავალსახოვანია, მათი აღმოფხვრა გამოწვევებთან არის დაკავშირებული. თუმცა, არსებობს გარკვეული იმედის მომცემი მიდგომები, რომელიც წარმატებით გამოიყენება მართლმსაჯულების სისტემაზე ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის.

ამ მიდგომებით გათვალისწინებული ინტერვენციები ეხება იმ სხვადასხვა ელემენტებს, რომელიც ყველაზე მეტად აფერხებს ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას - შეზღუდული გადაადგილება, ეკონომიკურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა, სამართლებრივი ცნობიერებისა და ცოდნის ნაკლებობა, გენდერული მიკერძოებები და გენდერული სენსიტიურობის ნაკლებობა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალებს შორის, და, ასევე, მართლმსაჯულების სისტემაში ნაჯიგაციის სირთულე, რაც ხშირად იწვევს საქმეების გადინების მაღალ მაჩვენებელს.

ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება

მზა სახით ხელმისაწვდომი (მათ შორის, ფინანსურადაც) იურიდიული კონსულტაცია და წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თანასწორი კანონები და სისტემების არსებობის პირობებშიც კი, შესაძლოა, ადამიანებმა ვერ განახორციელონ და დაიცვან თავიანთი უფლებები პრაქტიკაში, ცოდნის ან რესურსებზე წვდომის და მართლმსაჯულების სისტემაში ნაჯიგაციის შესაძლებლობის ნაკლებობის გამო. ქალები მამაკაცებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან საშუალოდ მათი ცოდნის დონე, ინფორმაციაზე წვდომა, სამართლებრივი ცნობიერება და ეკონომიკურ რესურსებზე წვდომა დაბალია, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები, ხშირად ზღუდავს მათ შესაძლებლობას, მიმართონ მართლმსაჯულებას საკუთარი უფლებების დასაცავად. აღნიშნული "შესაძლებლობის სხვაობა", რომელიც მოთხოვნის მხარეს არსებობს, დაძლევადაა ხარისხიანი, ფინანსურად ხელმისაწვდომი და გენდერულად სენსიტიური იურიდიული დახმარებისა და სხვა სახის სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფით, მათ შორის, ფორმალური (სახელმწიფო) სამართლებრივი დახმარების პროგრამების, სამოქალაქო საზოგადოების მიერ შექმნილი იურიდიული კლინიკებისა და სამართლებრივი კონსულტაციის ან დახმარების პროგრამების საშუალებით, რომელიც ეყრდნობა იურისტის

დამხმარების მიერ შესრულებულ სამუშაოს. არაერთ ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი მხარდაჭერის პროგრამები, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობაზე. გვატემალაში მთავრობამ 1996 წელს მიღებული სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ შექმნა Defensoría de la Mujer Indígena (DEMI, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების იურიდიული დახმარების ოფისი). DEMI-ს თანამშრომლები არიან მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალები - იურისტები და სოცმუშაკები. იურიდიული დახმარების ოფისი მუშაობს ძალადობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე, რომელიც მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების მიმართ განხორციელდა. 2007 წლის მონაცემების თანახმად, DEMI-ს მიერ იმ წელს წარმოებაში მიღებული 2,600 საქმიდან 85% შეეხებოდა ოჯახში ძალადობას, 11% - გაუპატიურებას და 4% ეთნიკურ დისკრიმინაციას (DEMI 2007; Sieder and Sierra 2010). აღნიშნულის მსგავსად, ბანგლადეშის სოფლად განვითარების კომიტეტი უზრუნველყოფს იურიდიულ განათლებასა და კონსულტაციას ქალებისათვის. იგი ქალებს ეხმარება ისეთი საჩივრების შეტანასა და წარმოებაში, რომელიც შეეხება მემკვიდრეობას, უკანონო ქორწინებას, პოლიგამიასა და მზითვებს (UN Women 2012: 57). ინდონეზიაში Pemberdayaan Perempuan Kepala Keluarga (PEKKA, პროგრამა იმ ოჯახების გასაძლიერებლად, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ) უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ. 2007 წელს, ადვოკატების საშუალებით, რომელიც მოიცავდა არაერთი დაინტერესებული მხარის - მათ შორის, მოსამართლეების, პოლიციის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარებულ ფორუმებს, PEKKA-მ ხელი შეუწყო პოლიტიკის ცვლილებას, რათა გაზრდილიყო რელიგიური სასამართლოებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რის შედეგადაც შეიქმნა იურიდიული დახმარების პროგრამები და გადახდისუნარიო პირებს მოსახურების უფასოდ მიღების შესაძლებლობა მიეცათ. 2007 წლიდან 2010

ნლაშდე, 10-ჯერ გაიზარდა იმ გადახდისუნარო პირების რაოდენობა, რომლებიც რელიგიურ სასამართლოებს მიმართავენ, ხოლო იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც (რელიგიურ) საოლქო სასამართლოებს მიმართავენ, ოთხჯერ გაიზარდა (Sumner, Zurstrassen and Lister 2011).

პარალელალების მონანილოებით განხორციელებული პროგრამები დიდი ხანია წარმოადგენს სამართლებრივი გაძლიერებისა და იურიდიული დახმარების პროგრამების შემადგენელ ნაწილს. პარალელალები, როგორც წესი, თემის წევრები არიან, რომელთაც გაიარეს მომზადება სამართლის ძირითად საკითხებზე, ადგილობრივი სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, და მათ აქვთ შესაძლებლობა, დაამყარონ კომუნიკაცია იურიდიული კონსულტაციის მაძიებელ პირებთან და მათ დახმარება აღმოუჩინონ. ამასთან, არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ქალი პარალელალები ეფექტიანად რეაგირებენ ქალების საჭიროებებზე, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და გაუპატიურების შემთხვევებში. ეს ის შემთხვევებია, რომელთა განხილვაც ქალებს მამაკაცებთან არ სურთ ან სოციალურ-კულტურული ბარიერების გამო არ შეუძლიათ.34

ერთი ფანჯრის პრინციპი

სასამართლოში საქმის შეტანა რამოდენიმე ნაბიჯს მოიცავს, მათ შორის, სხვადასხვა დოკუმენტების შეგროვებას, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და საქმის მხარდაჭერი მტკიცებულება. აღნიშნული საჭიროებს სხვადასხვა ოფისებში ვიზიტს, რომლებიც, ხშირად ქალაქის სხვადასხვა ან, შესაძლოა, სხვადასხვა ქალაქებშიც კი მდებარეობს. ყველა ადამიანს, რომელსაც სასამართლოში საქმის შეტანა ან დანაშაულის შეტყობინება სურს, არ აქვს საშუალება, რომ გზა გაიკვლიოს ოფისებისა და პროცედურების ლაბირინთში, რადგან ეს დიდ დროს მოითხოვს, ან მათ ხელი არ მიუწვდებათ სატრანსპორტო საშუალებებზე, ან, უბრალოდ არ იციან, სად წავიდნენ. შედეგად, ხდება საქმეების შეწყვეტა (სისტემიდან გადენა) ან საქმე ვერც აღწევს კომპეტენტურ ორგანომდე და იკარგება სისტემის ლობებში. იმ ინსტიტუციური და სოციალური ბარიერების გამო, რომლებსაც ქალები აწყდებიან, ხშირია მათი საქმეების ნაადრევად შეწყვეტის შემთხვევები. საქმეების გადინებისა და დანაშაულის შეტყობინებლობის მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალია გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში. იმის გამო, რომ ეს საკითხები საკმაოდ სენსიტიური, მტკიცებულების დროულად შეგროვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული გათვალისწინებით და იმ წნების გამო, რასაც მსხვერპლები ხშირად განიცდიან, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევები ხშირად სასამართლომდე ვერ აღწევს, ან ნაადრევად წყდება (UN Women 2011: 50). აღნიშნული საკითხისადმი იმედისმომცემ მიდგომას წარმოადგენს ინტეგრირებული სერვისების ანუ ისეთი დაწესებულებების შექმნა, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობს. ეს დაწესებულებები მომხმარებლებს სთავაზობს არაერთ მომსახურებას, ამცირებს სასამართლოში საქმის შეტანასთან დაკავშირებული ნაბიჯების რაოდენობას და სხვადასხვა ოფისებს შორის კოორდინირებას უწყობს ხელს. ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე დაწესებულებები განსაკუთრებით ეფექტიანია სექსუალური და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. ეს დაწესებულებები, როგორც წესი, საავადმყოფოებში ან ჯანდაცვის ცენტრებში მდებარეობს და ხშირად, პირველ საკონტაქტო ობიექტს წარმოადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი საჯარო დაწესებულებებისთვის და დაკომპლექტებულია სამედიცინო პერსონალით, სოციალური და პოლიციელებით, რომელთაც გაიარეს სპეციალური მომზადება ერთ ინტეგრირებულ ორგანოდ მუშაობაში. სამხრეთ აფრიკაში მზრუნველობის ცენტრები (Thuthuzela Care Centre) ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე დაწესებულების

მაგალითია, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს ემსახურება. ეს ცენტრები სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში შეიქმნა და მდებარეობს საჯარო საავადმყოფოებში. ისინი გაუპატიურების მსხვერპლებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზრუნველობით უზრუნველყოფს, მათ ეხმარება დანაშაულის შეტყობინების პროცესში, ხოლო საქმის მონიტორინგი უზრუნველყოფენ მსხვერპლთა საქმის მასალების სათანადოდ წარმოებას და მომსახურების კოორდინირებას მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად. მონაცემები ადასტურებს, რომ მზრუნველობის ცენტრები ეფექტიანად ამცირებს პროცესის ხანგრძლივობას: იმ საქმეების საშუალო ხანგრძლივობა რომელზეც ცენტრი მუშაობს, შვიდთვესახევარია, მაშინ, როდესაც თეთი ქვეყნის მასშტაბით იგივე ტიპის საქმეების საშუალო ხანგრძლივობა ორი წელია. Thuthuzela Care Centre-ის მოდელის ადაპტირება მოახდინეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა ეთიოპია და ჩილე (UN Women 2011: 47). აღნიშნულის მსგავსად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ინტეგრირებულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მალაიზიაში ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე კრიზისული ცენტრები, რომლებიც სახელმწიფო საავადმყოფოებში მდებარეობს (World Bank 2011: 312).

მხოლოდ ქალებით დაკომპლექტებული პოლიციის განყოფილებები, მართლმსაჯულების ქალი პროვაიდერები და გენდერულ საკითხებზე მომზადება მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალებისათვის

გენდერული მიკერძოება პოლიციელებსა და მართლმსაჯულების პროფესიონალებს შორის ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შემაფერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს, რაც მათ ართმევს სამართლიანი მოპყრობის, პროცესებისა და შედეგების მიღების შესაძლებლობას. ქალებისათვის ხშირად დისკომფორტია მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის მამაკაცებისათვის შეტყობინება, ან ისინი სოციალურ-კულტურული ნორმების გამო იკავებენ თავს აღნიშნულისგან. ეს განსაკუთრებით ეხება სექსუალური ძალადობის შემთხვევებს, თუმცა, ასევე, განქორწინებასა და ოჯახურ პრობლემებს მამაკაცთან. 2013 წელს, ავღანეთში ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების დროს (Marchiori 2014), ქალებმა ისაუბრეს პოლიციელთა მიერ გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების არასათანადო მოპყრობაზე და განაცხადეს, რომ მათ პოლიციის მიმართ დაბალი ნდობა ჰქონდათ და მისი ემინოდათ კიდევ. ეს პრობლემა წარმატებით გადაიჭრა მხოლოდ ქალებით დაკომპლექტებული პოლიციის განყოფილებების შექმნით, რითიც დასაწყისშივე შემცირდა ხელმისაწვდომობის ბარიერები. ამ მიდგომას 1985 წლიდან წარმატებით იყენებენ ბრაზილიაში; იგი, ასევე, წარმატებით დანერგეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა პერუ, გვატემალა და არგენტინა (World Bank 2011: 313). ცოტა ხნის წინ მხოლოდ ქალებისგან დაკომპლექტებული პოლიციის 188 განყოფილება შეიქმნა ტაილანდის შტატის (ინდოეთი) სოფლებსა და ქალაქებში. ამ განყოფილებებმა, რომლებიც ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მუშაობენ, გაზარდეს ხელმისაწვდომობა ქალებისთვის და სექსუალური და ოჯახში ძალადობის ინციდენტთა შეტყობინების მაჩვენებელი (Jubb and Izumino 2003). სასამართლო ხელისუფლებაში ქალების მონანილოების გაზრდა პოზიტიურ გავლენას მოახდენს მათ მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობაზე. არ არსებობს თანმიმდევრული მტკიცებულება იმისა, რომ

მოსამართლე ქალები უფრო მეტად ქალების სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებას, ან იმუნუერები არიან გენდერული მიკერძობების მიმართ, თუმცა, სასამართლო ხელისუფლებაში ქალების მონაწილეობის შედეგად შეიქმნება უფრო დაბალანსებული და მრავალფეროვანი ინსტიტუტი, სადაც უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სიკეთეების შესახებ დისკურსს განსხვავებული ხმები გაამდიდრებს. პაპუა ახალი გვინეა 2000 წლიდან ახორციელებს ახალ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მაგისტრატ მოსამართლეთა შორის ქალების წარმომადგენლობის გაზრდას. 2004 წელს სოფლებში ქალი მაგისტრატ მოსამართლეების რაოდენობა იყო 10, ხოლო 2011 წლიდან აღნიშნულმა მაჩვენებელმა 700-ს მიაღწია. ამასთან, 300 ქალი სასამართლოებში კლერკებისა და მშვიდობის ოფიცების თანამდებობებზე მუშაობს, რასაც პოზიტიური გავლენა აქვს ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. კერძოდ, ქალმა მაგისტრატმა მოსამართლეებმა შეძლეს კაცი მაგისტრატ მოსამართლეების ყურადღება მიემართათ საქმეების განხილვისას გენდერულად მგრძობიარე მიდგომის გამოყენების საჭიროებაზე.35 დაბოლოს, გენდერულ თანასწორობაზე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე და ქალთა მიმართ ძალადობაზე სავალდებულო ტრენინგის უზრუნველყოფა ზრდის ქალების შესაძლებლობას, მიიღონ სამართლიანი მოპყრობა და მართლმსაჯულების შედეგები. მართლმსაჯულებისა და აღსრულების სფეროში მომუშავე პროფესიონალები, რომელთაც ასეთ ტრენინგში აქვთ მონაწილეობა მიღებული, აცხადებენ, რომ მათ მიდგომის განსხვავებული პერსპექტივა შეიძინეს ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც ქალებს ეხება (World Bank 2011: 313).

მობილური სასამართლოები

მართლმსაჯულების ქალებთან დასახლებლად, განსაკუთრებით სოფლად და მოშორებით მდებარე ტერიტორიებზე, არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, სომალი, სიერა ლეონე, პაკისტანი, პერუ და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გამოიყენება მობილური სასამართლოები. მობილურ სასამართლოებში ჩვეულებრივი მოსამართლეები და სასამართლო მოხელეები მუშაობენ. მობილური სასამართლოები წინასწარ განსაზღვრულ დღეებში ჩადიან სოფლად ან მოშორებით მდებარე ტერიტორიებზე და მართავენ სხდომებს. მობილური სასამართლოები, როგორც წესი, განიხილავენ წვრილმან დავებს, რომელიც უკავშირდება საკუთრებას, აღიშენებს, ბავშვზე მზრუნველობასა და სხვა ოჯახურ საკითხებს. აღნიშნული სამართლებრივი საკითხები ყველაზე მეტად ქალებზე ახდენს გავლენას. პეშავარში (პაკისტანი) UNDP-ის მხარდაჭერით მობილური სასამართლოები უფასოდ მუშაობენ და მხარეებს დავის მედიაციის საშუალებით გადაჭრის შესაძლებლობას სთავაზობენ, ნაცვლად ფორმალური გადაწყვეტილებისა, რასაც შესაძლოა საკმაოდ დრო დასჭირდეს. სიერა ლეონეში, სომალიმ და კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მობილური სასამართლოები გამოიყენეს მართლმსაჯულების სისტემის ხელახლა ასაშენებლად, მას შემდეგ, რაც კონფლიქტის დროს ინსტიტუტებმა კოლაფსი განიცადა, ფიზიკური ინფრასტრუქტურა დაზიანდა, ადამიანური რესურსები მნიშვნელოვნად შემცირდა და განადგურდა კანონის უზენაესობა. კერძოდ, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მობილური სასამართლოები წარმატებით გამოიყენება ფართოდ გავრცელებულ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების მიზნით, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივმა სასამართლოებმა, რომლებიც გადატვირთული არიან და ადამიანური რესურსების ნაკლებობას განიცდიან, ამ პრობლემასთან გამკლავება ვერ შეძლეს (UNDP 2014).

სპეციალიზებული სასამართლოები და სპეციალური პროცედურები

დაბოლოს, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და მართლმსაჯულების სფეროში ქალების გამოცდილების გასაუმჯობესებლად კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ადეკვატურად დაფინანსებული სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სპეციალურად მომზადებული პერსონალით და იმუშავებს ქალებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გამარტივებული პროცედურები, მცირე ან არარსებული სასამართლო ხარჯები და სპეციალური დებულებები პროცესის დასაჩქარებლად (გამარტივებული წარმოების წესი) სასამართლოებს უფრო ადვილად ხელმისაწვდომს და ქალთა საჭიროებებზე ადაპტირებადს ხდის. სპეციალიზებული სასამართლოების კიდევ ერთი დადებითი მხარე არის კომპეტენციების მაღალ დონეზე განვითარება მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტებს შორის, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით მუშაობენ. სპეციალიზებული სასამართლოები, ასევე, ხელს შეუწყობს სასამართლოების ხილვადობის გაზრდას, რადგან მოპოვებული მტკიცებულება ადასტურებს, რომ ჩვეულებრივ სასამართლოებთან შედარებით, საზოგადოება უფრო კარგად იცნობს სპეციალიზებული სასამართლოების ფუნქციებს. საოჯახო დავების განმხილველი სასამართლოები სპეციალიზებული სასამართლოების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს. ეს სასამართლოები (ცალკე სასამართლოს ან რიგითი სასამართლოს ცალკე სექციის სახით) ისეთ განსხვავებულ ქვეყნებში არსებობენ, როგორებიცაა ავღანეთი, მაროკო36 და აშშ. ბოლო პერიოდის მანძილზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების მიზნით არაერთმა ქვეყანამ შექმნა სასამართლოები, ოფისები და სპეციალური პროცედურები. უელსში (გაერთიანებული სამეფო) გამარტივებული წარმოების პროცედურის წყალობით ოჯახში ძალადობის შემთხვევების განხილვის დრო განახევრდა, სამხრეთ აფრიკაში იმ სასამართლოებში, რომლებიც სექსუალური ძალადობის დანაშაულებს განიხილავენ, მსჯავრდების მაჩვენებელი უფრო მაღალია (70%), ვიდრე ჩვეულებრივ სასამართლოებში და მათ უფრო მაღალი რეპუტაციით სარგებლობს თანამშრომლებს, მსხვერპლთა ოჯახის წევრებსა და თავად მსხვერპლებს შორის.37

ბიბლიოგრაფია

- Berg, L.-A. and D. Desai. 'Background Paper: Overview on the Rule of Law and Sustainable Development for the Global Dialogue on Rule of Law and the Post-2015 Development Agenda.' UNDP, 2013. Available from <http://bit.ly/1rqf5fR>
Accessed 12 February 2016.
- Berenschot, W. and T. Rinaldi. 'Paralegalism and legal aid in Indonesia. Enlarging the shadow of the law'. Van Vollenhoven Institute for Law, Governance, and Development, Open Society Institute and UNDP, 2011.
- CEDAW Committee. General recommendation on women's access to justice, CEDAW/C/GC/33, 2015.
- Chiongson, R. A., et al. 'Role of law and justice in achieving gender equality', 2011. Background paper for the World Development Report 2012.
- Council of Europe. Administrative data collection on domestic violence in Council of Europe member states. EG-VEW-DC (Study), 2008.
- Feasibility study: Equal access of women to justice. Strasbourg: Council of Europe Publishing, 2013.
- Council of Europe's Gender Equality Strategy 2014-2017. Strasbourg: Council of Europe Publishing, 2014a.
- 'Tackling the gaps in research and the lack of data disaggregated by sex concerning women's equal access to justice'. Seminar of the Council of Europe Gender Equality Commission, 26 and 27 June 2014. Paris, 2014b. Available from www.coe.int/equality-Paris2014.
Accessed 12 February 2016.
- 'Ensuring data collection and research on violence against women and domestic violence', Article 11 of the Istanbul Convention. Strasbourg: Council of Europe Publishing, 2016.
- Dale, P. 'Delivering Justice to Sierra Leone's Poor. An Analysis of the Work of Timap for Justice'. Justice for the Poor research report. Washington, D.C.: World Bank, 2009.
- Dinnen, S. and N. Hailey. 'Evaluation of the community officer project in Solomon Islands'. Justice for the Poor research report. Washington, D.C.: World Bank, 2012.
- Dugard, J. and K. Drage. 'To Whom Do the People Take Their Issues? The Contribution of community-based paralegals to access to justice in South Africa'. Justice for the Poor research report. Washington, D.C.: World Bank, 2013.
- European Institute for Gender Equality. 'Mapping administrative data sources on gender-based violence in the EU-28: current status and potential'. Studies on gender-based violence, 2014.
- Franco, J., H. Soliman and M.R. Cisneros. 'Community based paralegalism in the Philippines'. Justice for the Poor research report. Washington, D.C.: World Bank, 2014.
- High-Level Panel of Eminent Persons on the Post-2015 Development Agenda. 'A new global partnership: eradicate poverty and transform economies through sustainable development'. Report of the High-Level Panel of Eminent Persons on the Post- 2015 Development Agenda, New York: United Nations, 2013.
- Himelein, K., N. Menzies and M. Woolcock. 'Surveying justice: a practical guide to household surveys'. Justice and Development Working Paper Series. Washington, D.C.: World Bank, 2010.
- International Development Law Organization. 'Accessing justice: models, strategies and best practices on women's empowerment'. Rome: International Development Law Organization, 2013.
- 'Women's professional participation in Afghanistan's justice sector: challenges and opportunities'. Rome: International Development Law Organization, 2014.
- Jubb, N. and W.P. Izumino. 'Women and policing in Latin America. A revised background paper'. Paper presented at the meeting of the Latin American Studies Association in Dallas, Texas, 2 March 2003.
- Marchiori, T. 'Women's access to justice in Afghanistan'. Mimeo. Washington, D.C.: World Bank, 2014.
- Open Society Justice Initiative. Community-based paralegals: a practitioners' guide. New York: Open Society Foundations, 2010.
- Organization of American States 'Progress indicators for measuring the implementation of the Inter-American Convention on the Prevention, Punishment and Eradication of Violence against Women Belém do Pará Convention'. Washington, D.C.: Organization of American States, 2013.
- 'Guía práctica para la aplicación del sistema de indicadores de progreso para la medición de la implementación de la Convención de Belém do Pará'. Washington, D.C.: Organization of American States, 2015.
- Rule of Law Initiative. Access to justice assessment tool. Washington, D.C.: American Bar Association, 2012.
- Sumner, C., M. Zurstrassen and L. Lister. 'Increasing access to justice for women, the poor and those living in remote areas: an Indonesian case study'. Justice for the Poor Briefing Note, Volume 6, Issue 2. Washington, D.C.: World Bank, 2011.
- UN. 'Indicators to measure violence against women'. Report of the Expert Group Meeting. Geneva: United Nations, 2007.
- 'The road to dignity by 2030: ending poverty, transforming all lives and protecting the planet'. Synthesis report of the Secretary-General on the post-2015 sustainable development agenda., 2014. Available from <http://bit.ly/1XXqoKU>
Accessed 12 February 2016.
- UN DESA-DAW. Handbook for legislation on violence against women. New York: United Nations, 2009.
- UN Women. Progress of the world's women. In pursuit of justice. New York: UN Women, 2011.
- A transformative stand-alone goal on achieving gender

equality, women's rights and women's empowerment: imperatives and key components. New York: UN Women, 2013.

UN Women/UNICEF/UNDP. Informal justice systems. Charting a course for human-rights based engagement, 2009.

UNDP. 'Access to justice'. Practice note, 2004. Available from

<http://bit.ly/1Pu4NBq>

Accessed 12 February 2016.

— Programming for justice: access for all – A practitioner's guide to a human rights-based approach to access to justice. Bangkok: UNDP, 2005.

— Evaluation of UNDP's support to mobile courts in Sierra Leone, Democratic Republic of the Congo, and Somalia. New York: UNDP, 2014.

UNODC. Accounting for security and justice in the post-2015 development agenda. New York: UNODC, 2013.

Vetten, L., R. Jewkes, R. Sigsworth, N. Christofides, L. Loots and O. Dunseith. 'Tracking Justice: The Attrition of Rape Cases through the Criminal Justice System in Gauteng. Johannesburg: Tshwaranang Legal Advocacy Centre, the South African Medical Research Council and the Centre for the Study of Violence and Reconciliation, 2008. Available from

<http://bit.ly/1UV1jJB>

Accessed 12 February 2016.

World Bank. Engendering development – Through gender equality in rights, resources and voice. Washington, D.C.: World Bank, 2001.

— World Development Report 2012: gender equality and development. Washington, D.C.: World Bank, 2011.

— Women, Business and the Law 2014 – Removing restrictions to enhance gender equality. Washington, D.C.: World Bank, 2013.

განმარტებები და შენიშვნები

1. არ არსებობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ერთიანი განმარტება. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) აღნიშნულს განმარტავს ფართოდ, როგორც "ხალხის შესაძლებლობას, ედიოს და მოიპოვოს სამართლებრივი დაცვის საშუალება მართლმსაჯულების ფორმალური ან არაფორმალური ინსტიტუტების საშუალებით და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად", იხ. UNDP (2005). გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის N33 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება "მოიცავს სასამართლოს გზით აღსრულების შესაძლებლობას, მართლმსაჯულების სისტემების არსებობას, ხელმისაწვდომობას, კარგ ხარისხსა და ანგარიშვალდებულებას და მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას, იხ. CEDAW კომიტეტი (2015).

2. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი მართლმსაჯულებაზე და მის შემადგენელ ელემენტებზე ხელმისაწვდომობის ანალიზი ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ადამიანებს აქვთ მართლმსაჯულების ინსტიტუტების საშუალებით თავიანთი საჩივრების გადაჭრის უფლება. აღნიშნული გათვალისწინებით, ჩვენ ვახდენთ მართლმსაჯულების ჯაჭვის იმ ელემენტების იდენტიფიცირებას, რომელიც მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, რადგან ეს ნაბიჯები ან კომპონენტები ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ადამიანების შესაძლებლობაზე, განხორციელონ აღნიშნული უფლება. თუ ეს ელემენტები არ არსებობს ან არასათანადოდ ფუნქციონირებს, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვანი დაბრკოლება ექმნება, ხოლო მათი სათანადოდ შემუშავებისა და განხორციელების შემთხვევაში, ისინი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს წარმოადგენენ

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. მაგალითად, იხ. UNDP (2004); UN Women (2011); World Bank (2011); Rule of Law Initiative (2012).

3. CEDAW კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ "ნებისმიერი დისკრიმინაციისგან ქალთა ეფექტიანი დაცვა" და, ამ მიზნით "კომპეტენტური ეროვნული ტრიბუნალებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების" შექმნა. მე-15 მუხლის თანახმად, ქალები და მამაკაცები კანონის წინაშე თანასწორები უნდა იყვნენ. დაბოლოს, CEDAW კომიტეტის არაერთი რეკომენდაციის თანახმად, CEDAW-ს დებულებები სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ "ყველა ქალს აქვს განათლება და თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმაციაზე, დავების მოგვარების კომპეტენტურ და გენდერულად სენსიტიურ სისტემებზე ხელმისაწვდომობა და, ასევე, სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებზე თანაბარი წვდომა", იხ. CEDAW კომიტეტი (2015).

4. მაგალითისათვის, იხ. UN Women (2012); World Bank (2012); Council of Europe (2014a); Council of Europe (2014b); CEDAW Committee (2015); და UN Women/UNICEF/UNDP (2009).

5. ქალთა მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი სფერო, რომელსაც შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა, არის გენდერთი მოტივირებული ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა. მაგალითად, გაეროს "ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სახელმძღვანელო პრინციპები: სტატისტიკური კვლევები" სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უზრუნველყოფს ინსტრუმენტებით ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების "გასაზომად" და გასაანალიზებლად. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) ახდენს მონაცემების შეგროვებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობაზე. ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია (OAS), ბელემ დო პარას კონვენციის რეაგირების

მექანიზმის საშუალებით, უზრუნველყოფს სახელმძღვანელო პრინციპებს კონვენციის განხორციელების შესახებ და ამზადებს ინდიკატორებს კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით ეროვნულ დონეზე განხორციელებული პროგრესის შესაფასებლად. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია) სახელმწიფოებს აკისრებს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებულ სავალდებულო მოთხოვნებს. მონიტორინგის მექანიზმი ახდენს მხარეთა მიერ კონვენციის იმპლემენტაციის შეფასებას. გენდერული თანასწორობის ევროპულმა ინსტიტუტმა მოაზიარა ანგარიში მთავრობების მიერ გენდერთი მოტივირებულ ძალადობაზე ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების შესახებ (European Institute for Gender Equality, 2014), სადაც ხაზგასმულია არსებული ხარვეზები და შესაძლებლობები. 2008 წელს, ევროპის საბჭომ გამოაქვეყნა ანგარიში "ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვება ოჯახში ძალადობაზე ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში."

6. იხ. გაეროს რეზოლუცია A/RES/70/1, გვ. 1.

7. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გენდერული თანასწორობის ცალკე მიზნის სახით გათვალისწინებას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ამოცანის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის არსებული ფორმულირება ითვალისწინებს ასეთ მიზანს (მიზანი 5), იგი არ ითვალისწინებს ამოცანას "ქალებისა და გოგონებისთვის უსაფრთხოების, მხარდაჭერის სერვისებისა და მართლმსაჯულების" უზრუნველყოფის შესახებ, რასაც მხარს უჭერს გაეროს ქალთა ორგანიზაცია (იხ. UN Women 2013). აღნიშნული შემოთავაზებული ამოცანა, რომელიც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მიზანს ემსახურება, გაითვალისწინებს ინდიკატორს, რომელიც გაუწევს მონიტორინგს იმისა, თუ "სამართალდამცავ სფეროში მომუშავე სპეციალისტების რა

ნაწილს შეადგენენ ქალები (მათ შორის, მოსამართლეები და პოლიცია)."

8. მონიტორინგის პროცესი დაიწყო 2016 წელს.

9. არსებობს ინდიკატორთა სხვა კრებულები, რომლებიც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას ზომავს და წინამდებარე კვლევაში არ არის გათვალისწინებული, ესენია: Global Competitiveness Report; Global Gender Gap Report; Transparency International Corruption Perceptions Index; Freedom House "Freedom in the World" report; Doing Business; World Values Survey; UNICEF Multiple Indicator Cluster Surveys; Latinobarómetro და სხვა. რაც შეეხება ინდიკატორებს, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იყენებენ, ქვეყნების უმეტესობა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აგროვებს სასამართლოს მოხელეების, საქმის ნაკადისა და საზოგადოების მიერ უსაფრთხოებისა და ინსტიტუტების აღქმის შესახებ.

10. OECD SIGI ინდიკატორები ეფუძნება ექსპერტების მიერ მომზადებულ ანგარიშებს ქვეყნების შესახებ და, ასევე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა მეორად წყაროებს (DHS, MICS, World Bank World Development Indicators და სხვა). ქვეყნის შესახებ ანგარიშები მზადდება თითოეულ ქვეყანასთან დაკავშირებით, რომელიც SIGI ინდექსშია, ქვეყნის ექსპერტების მიერ, რომლებიც ეყრდნობიან მონაცემთა მეორად წყაროებსა და არსებულ ლიტერატურას.

11. იმ ინდიკატორების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც ამ "განზომილებების" ქვეშ ხვდება, ჩვენ ისინი მატრიცაში არ შევიტანეთ. ინდიკატორთა სრული ჩამონათვალისთვის იხილეთ WBL ვებ-გვერდი: <http://wbl.world-bank.org/data/exploretopics/getting-a-job>, ნანახია 2016 წლის 11 თებერვალს.

12. აღნიშნულს ეწოდება მეტა-ინდიკატორი, ე.ი. ინდიკატორი, რომელიც ახდენს გარკვეული ფუნქციონის შესახებ მონაცემების შეგროვების მონიტორინგს და არ მოიცავს მონაცემებს თავად ფუნქციონის შესახებ. ეს ინდიკატორი

ჩამონათვალში გათვალისწინებულია იმის გამო, რომ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს იმის შესახებ, თუ რამდენად აგროვებენ ისინი ინდიკატორით გათვალისწინებულ მონაცემებს.

13. სექსუალური ძალადობა მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობას მათი პარტნიორის მხრიდან. იხ. ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (2012: 33 and ff.).

14. MESECVI ინდიკატორებს ჯერ არ აქვთ საბოლოო სახე, ხოლო მონაცემთა წყაროების შესახებ დისკუსიები წევრ-სახელმწიფოებს შორის კვლავ მიმდინარეობს. ცხრილში 2.5 წარმოდგენილი ინდიკატორები, სავარაუდოდ, დაეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ შეგროვებულ ადმინისტრაციულ მონაცემებს.

15. ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ, "ბელემ დო პარას კონვენცია", მიღებულია ბელემ დო პარაში, ბრაზილია, 1994 წლის 9 ივნისი; ძალაში შევიდა 1995 წლის 5 მარტს.

16. ეს ინდიკატორი არ ეყრდნობა ადმინისტრაციულ მონაცემებს, თუმცა, სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად აგროვებენ ისინი ინდიკატორით გათვალისწინებულ მონაცემებს.

17. ეს და ზოგიერთი ინდიკატორები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ანგარიშში წარმოდგენილია იმის გამო, რომ სახელმწიფოს მიერ ამ ინდიკატორების საპასუხოდ წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს იმის შესახებ, თუ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ რა სახის სტატისტიკას აგროვებენ ქვეყნები.

18. g7+ არის ქვეყნების ნებაყოფლობითი ასოციაცია, რომლებმაც განიცადეს ან აშუამად განიცადენ კონფლიქტს და ახორციელებენ განვითარების მომდევნო ეტაპზე გადასვლას. g7+ -ის ძირითადი მიზანია გამოცდილებების

გაზიარება, ერთმანეთისგან სწავლა და რეფორმების ადვოკატობა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. www.g7plus.org.

19. მონიტორინგის პროცესი დაიწყო 2016 წელს.

20. ასევე, იხ. Council of Europe (2016).

21. მართლმსაჯულების "მოთხოვნის მხარესთან" დაკავშირებული ინდიკატორების წყაროა Afrobarometer, UNROLI და საცხოვრებელი სტანდარტების სხვა კვლევები. მაგალითად, განას საცხოვრებელი სტანდარტების კვლევა (მე-6 რაუნდი), გვატემალას საცხოვრებელი სტანდარტების ეროვნული კვლევა (2000) და საცხოვრებელი სტანდარტების შესახებ აღმოსავლეთ ტიმორის კვლევის გაგრძელება (2008) მოიცავს კითხვებს იმ ძირითადი კონფლიქტების შესახებ, რომელიც თემში ან პირდაპირ რესპონდენტმა და მისი ოჯახის რომელიმე წევრმა განიცადა. საცხოვრებელი სტანდარტების შესახებ აღმოსავლეთ ტიმორის კვლევის გაგრძელება, ასევე, ითვალისწინებს კითხვებს იმის შესახებ, თუ რა მოიმიქმედეს რესპონდენტებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ დავაში და რატომ. ამასთან, განას საცხოვრებელი სტანდარტების შესახებ კვლევა და აღმოსავლეთ ტიმორის საცხოვრებელი სტანდარტების შესახებ კვლევის გაგრძელება, Afrobarometer და UNROLI ითვალისწინებს კითხვებს მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ რესპონდენტების ნდობის შესახებ.

22. მაგალითად, იხ. Rule of Law Initiative (2012); Council of Europe (2013); CEDAW Committee (2015).

23. "დავების მოგვარების არსებულ მექანიზმებზე საზოგადოების ცოდნის" შესახებ ინდიკატორი გამოიყენება, მაგალითად, განას საცხოვრებელი სტანდარტების კვლევაში.

24. ცხრილში 2.1 წარმოდგენილია იმ ინდიკატორების მაგალითები, რომელიც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას ზომავს. WJP-ის ინდიკატორების კრებული ითვალისწინებს ინდიკატორს სასამართლოს ადგილმდებარეობაზე, ხოლო Global Integrity-ის ერთ-ერთი

ინდიკატორი ექსპერტებისათვის ითვალისწინებს კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს ყველა მოქალაქეს სასამართლოზე წვდომა "გეოგრაფიული ადგილმდებარეობის" მიუხედავად. CEPEJ-ის ახორციელებს სასამართლოების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის მონიტორინგს.

25. ტერმინი "იურიდიული დახმარება" მოიცავს, ინდიკატორის მიზნებისთვის, ადვოკატებსა და არაადვოკატებს, რომლებიც სამართლებრივ კონსულტაციას, დახმარებასა და წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი იურიდიული დახმარების სახელმწიფო პროგრამების წარმომადგენლები ან დაფინანსებული მთავრობის მიერ.

26. უფასო ან სუბსიდირებული იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ამცირებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ეკონომიკურ ბარიერებს, თუმცა, სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები, შესაძლოა, კვლავ შემზღუდავი იყოს მართლმსაჯულების მაძიებელთა დიდი ნაწილისთვის და განსაკუთრებით ქალებისთვის, რომელთაც ეკონომიკურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა აქვთ ან საერთოდ არ აქვთ წვდომა - მაგალითად, ოჯახის მეთაური ქალები; განქორწინების შემდგომ ალიმენტის მაძიებელი ქალები ან ისინი, ვინც ოჯახში ძალადობისგან გაქცევას ცდილობს. კამბოჯაში გაუპატიურების შემთხვევებში სასამართლო ექსპერტიზის ღირებულება, საშუალოდ, სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ორი კვირის შემოსავლის ტოლია (2007 წლის მონაცემები); ინდონეზიაში, სადაც განქორწინების საშუალო ღირებულება 10-ჯერ აღემატება ღარიბი ქალის ყოველთვიურ შემოსავალს, სასამართლოებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ მხრივ დაწესებული შეღავათები. იხ. UN Women (2011: 54); World Bank (2011: 168, 367); Chionson et al. (2011).

27. CEDAW კომიტეტის (2015: 8)

ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, მნიშვნელოვანია "მართლმსაჯულების ინსტიტუტების კომპონენტის სახით გენდერული განყოფილებების შექმნა."

28. ევროკავშირში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევის (გამოქვეყნდა 2014 წლის მარტში) თანახმად, პარტნიორის მიერ განხორციელებული ძალადობის ყველაზე მძიმე ინციდენტების მხოლოდ 14% შეატყობინეს პოლიციას (და არაპარტნიორის მიერ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების მხოლოდ 13%), FRA (2004).

29. საქმეების სისტემიდან გადინება მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების როგორც მოთხოვნის (სოციალური ზეწოლა ან შურისძიების შიში) ისე მიწოდების მხარეს (ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცედურები). ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საქმეების გადინება გავვეთვალისწინებინა მოთხოვნის მხარეს, რადგან მისი ზოგიერთი ასპექტი განსაკუთრებით საინტერესოა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გენდერული ანალიზისთვის.

30. სამხრეთ აფრიკის გუტენგის პროვინციის მონაცემების თანახმად, გაუპატიურების შეტყობინებული შემთხვევების მხოლოდ 17%-მა მიაღწია სასამართლომდე და მხოლოდ 4%-ი დასრულდა მსჯავრდებით. იხ. UN Women (2012: 49); Vetten et al. (2008); Council of Europe (2013: 12).

31. ვინაიდან ნდობა არსებითად სუბიექტური ელემენტია, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ ფაქტების ინტერპრეტაციას, ინდიკატორთა შესაბამისი კალათები გამოყენებული უნდა იქნას მონაცემთა სწორი ანალიზისათვის კონტექსტის შესაქმნელად. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მომხმარებელთა კვლევით ან ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებით: მაგალითად, მართლმსაჯულების სფეროში კორუფციის ზოგადი აღქმის განსაზღვრა შესაძლებელია მომხმარებელთა გამოკითხვით იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად მოსთხოვეს მათ ქრთამის გადახდა, პროცესის გასაგრძელებლად ან

იმისათვის, რომ დამდგარიყო მათთვის სასურველი შედეგი.

32. ეს ინდიკატორი გათვალისწინებულია "მე-16 მიზნის პრიორიტეტული ინდიკატორების" ბოლო ვერსიაში, რომელიც წარმოადგენდა 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგის ტექნიკური მხარდაჭერის გუგუმს.

33. ევროპის საბჭომ მოამზადა და 2015 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა კარგი პრაქტიკის ყოვლისმომცველი კრებული. კრებული მოიცავს 65 თავს ევროპის საბჭოს 24 ქვეყნის შესახებ და ხელმისაწვდომია: www.coe.int/equality, ნანახია 2016 წლის 12 თებერვალს.

34. იხ. Dinnen S. and Hailey N (2012); Open Society Justice Initiative (2010); Dale P. (2009); Berenschot W. and Rinaldi T. (2011); Open Society Institute and UNDP; Dugard J. and Drage K. (2013); Franco J., Soliman H. and Cisnero M. (2014).

35. იხ. "Global education empowering women in Papua New Guinea", Papua New Guinea Village Courts and Land Mediation Secretariat, unpublished background study on female village magistrates in Papua New Guinea, ხელმისაწვდომია: www.globaleducation.edu.au/case-studies/empowering-women-in-png.html, ნანახია 2016 წლის 12 თებერვალს.

36. UN Women (2011: 59). 2010 წლის კვლევის თანახმად, გამოკითხული ქალების 85% ჰქონდა ინფორმაცია განქორწინების უფლების შესახებ და მათ იცოდნენ, რომ ამ უფლების აღსრულება შესაძლებელია სასამართლოს სპეციალური განყოფილების საშუალებით, რომელიც ოჯახურ დავებს განიხილავს (განყოფილებები შექმნილია 2004 წელს)

37. სპეციალიზებულ პროკურორებს შეუძლიათ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების შემცირება, იხ. www.endvawnow.org/en/მუხლის/894-specialized-prosecutors-can-reduce-barriers-to-justice.html?next=895, ნანახია 2016 წლის 12 თებერვალს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მუშაობს
გენდერული თანასწორობისა და ქალთა
გაძლიერების კუთხით. როგორც ქალებისა და
გოგოების გლობალური დამცველი, გაეროს
ქალთა ორგანიზაცია შექმნილია მსოფლიოში
ქალებისა და გოგოების საჭიროებების
დაკმაყოფილების კუთხით პროგრესის
დასაჩქარებლად.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაეროს წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის გლობალური სტანდარტების შესრულებაში და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობს ისეთი კანონების, პროგრამებისა და სერვისების შემუშავების პროცესში, რომელიც ამ სტანდარტების განსახორციელებლად არის საჭირო. იგი მხარს უჭერს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში ქალების თანაბარ მონაწილეობას და ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებაზე ამახვილებს ყურადღებას: ქალების ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; ქალების ჩართვა მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება; და ეროვნული განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესში გენდერული თანასწორობის ცენტრალურ საკითხად გათვალისწინება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ასევე, ახორციელებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კუთხით გაეროს სისტემის საქმიანობის კოორდინირებასა და მხარდაჭერას.



220 East 42nd Street
ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი 10017, აშშ
ტელ.: 212-906-6400
ფაქსი: 212-906-6705

www.unwomen.org
www.facebook.com/unwomen
www.twitter.com/un_women
www.youtube.com/unwomen
www.flickr.com/unwomen
www.instagram.com/unwomen